



ვიგარ ალან პო

ყოჩბანი

პირველი გამოცემა

რედაქციის პერიოდული თარგმანი

ედგარ ალან პოს „ყორანი“ პირველად 1845 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუ იორკ ივნიგ მირორში“. რედაქტორმა ლექსი მკითხველს ასე წარუდგინა: „ყორანი“ ამერიკული პოეზიის უბადლო ნიმუშია მისი დახვეწილი მხატვრული ჩანაფიქრისა და ლექსთწყობის დიდი ოსტატობის გამო“.

პუბლიკაცია მალევე გადაბეჭდა შტატების ათამდე პერიოდულმა გამოცემამ, შეიტანეს ამერიკული პოეზიის ანთოლოგიებში. გახმაურებული ლექსისათვის, რომელმაც პოს საქვეყნოდ აღიარება მოუტანა, პოეტმა ჰონორარის სახით სულ ხუთი დოლარი მიიღო.

„ყორანი“ პირველად ვაჟა-ფშაველამ გააქართულა 1906 წელს, რითაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა თაობის მთარგმნელთა მრავალწლიან ძიებას, სურვილს, რომ არსებობდეს ლექსის მეტნაკლებად ზუსტი პოეტური ვერსია.

კრებულში შესულია ერთი შედეგის ოცდაერთი ქართული თარგმანი და ერთიც – დაუმთავრებელი, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის.

ნიგნს ერთვის ავტორისეული ესეი „კომპოზიციის ფილოსოფია“, სადაც „ყორანის“ შექმნის ისტორია და შემოქმედებითი იმპულსებია ახსნილ-გააზრებული.

**შეადგინა და შენიშვნები დაურთო
გივი პოჯგუაძე**

THE RAVEN

Once upon a midnight dreary, while I pondered, weak and weary,
Over many a quaint and curious volume of forgotten lore –
While I nodded, nearly napping, suddenly there came a tapping,
As of some one gently rapping, rapping at my chamber door.
"Tis some visitor," I muttered, "tapping at my chamber door –
Only this and nothing more."

Ah, distinctly I remember it was in the bleak December;
And each separate dying ember wrought its ghost upon the floor.
Eagerly I wished the morrow; – vainly I had sought to borrow
From my books surcease of sorrow – sorrow for the lost Lenore –
For the rare and the radiant maiden whom the angels name Lenore –
Nameless here for evermore.

And the silken, sad, uncertain rustling of each purple curtain
Thrilled me – filled me with fantastic terrors never felt before;
So that now, to still the beating of my heart, I stood repeating,
"Tis some visiter entreating entrance at my chamber door –
Some late visiter entreating entrance at my chamber door –
This it is and nothing more."

Presently my soul grew stronger; hesitating then no longer,
"Sir," said I, "or Madam, truly your forgiveness I implore;
But the fact is I was napping, and so gently you came rapping,

And so faintly you came tapping, tapping at my chamber door,
That I scarce was sure I heard you" – here I opened wide the door; –
Darkness there and nothing more.

Deep into that darkness peering, long I stood there wondering,
fearing,
Doubting, dreaming dreams no mortals ever dared to dream before;
But the silence was unbroken, and the stillness gave no token,
And the only word there spoken was the whispered word, "Lenore?"
This I whispered, and an echo murmured back the word, "Lenore!" –
Merely this and nothing more.

Back into the chamber turning, all my soul within me burning,
Soon again I heard a tapping somewhat louder than before.
"Surely," said I, "surely that is something at my window lattice;
Let me see, then, what thereat is and this mystery explore –
Let my heart be still a moment and this mystery explore; –
"Tis the wind and nothing more!"

Open here I flung the shutter, when, with many a flirt and flutter,
In there stepped a stately Raven of the saintly days of yore;
Not the least obeisance made he; not a minute stopped or stayed he;
But, with mien of lord or lady, perched above my chamber door –
Perched upon a bust of Pallas just above my chamber door –
Perched, and sat, and nothing more.

Then this ebony bird beguiling my sad fancy into smiling,
By the grave and stern decorum of the countenance it wore,
"Though thy crest be shorn and shaven, thou," I said, "art sure no
craven,
Ghastly grim and ancient Raven wandering from the Nightly shore –

Tell me what thy lordly name is on the Night's Plutonian shore!"
Quoth the Raven, "Nevermore."

Much I marvelled this ungainly fowl to hear discourse so plainly,
Though its answer little meaning – little relevancy bore;
For we cannot help agreeing that no living human being
Ever yet was blessed with seeing bird above his chamber door –
Beard or beast upon the sculptured bust above his chamber door,
With such name as "Nevermore."

But the Raven, sitting lonely on the placid bust, spoke only
That one word, as if his soul in that one word he did outpour
Nothing farther then he uttered – not a feather then he fluttered –
Till I scarcely more than muttered: "Other friends have flown before –
On the morrow he will leave me, as my Hopes have flown before."
Then the bird said "Nevermore."

Startled at the stillness broken by reply so aptly spoken,
"Doubtless," said I, "what it utters is its only stock and store,
Caught from some unhappy master whom unmerciful Disaster
Followed fast and followed faster till his songs one burden bore –
Till the dirges of his Hope that melancholy burden bore
Of 'Never – nevermore."

But the Raven still beguiling my sad soul into smiling,
Straight I wheeled a cushioned seat in front of bird and bust and door;
Then, upon the velvet sinking, I betook myself to linking
Fancy unto fancy, thinking what this ominous bird of yore –
What this grim, ungainly, ghastly, gaunt, and ominous bird of yore
Meant in croaking "Nevermore."

This I sat engaged In guessing, but no syllable expressing
 To the fowl whose fiery eyes now burned into my bosom's core;
 This and more I sat divining, with my head at ease reclining
 On the cushion's velvet lining that the lamp-light gloated o'er,
 But whose velvet-violet lining with the lamp-light gloating o'er
 She shall press, ah, nevermore!

Then, methought, the air grew denser, perfumed from an unseen
 censer

Swung by Seraphim whose foot-falls tinkled on the tufted floor.
 "Wretch," I cried, "thy God hath lent thee – by these angels he hath
 sent thee

Respite – respite and nepenthe from thy memories of Lenore;
 Quaff, oh, quaff this kind nepenthe and forget this lost Lenore!"
 Quoth the Raven, "Nevermore."

"Prophet!" said I, "thing of evil! – prophet still, if bird or devil! –
 Whether Tempter sent, or whether tempest tossed thee here ashore,
 Desolate yet all undaunted, on this desert land enchanted –
 On this home by Horror haunted – tell me truly, I implore –
 Is there – is there balm in Gilead? – tell me – tell me, I implore!"
 Quoth the Raven, "Nevermore."

"Prophet!" said I, "thing of evil! – prophet still, if bird or devil!
 By that Heaven that bends above us – by that God we both adore –
 Tell this soul with sorrow laden, if, within the distant Aidenn,
 It shall clasp a sainted maiden whom the angels name Lenore –
 Clasp a rare and radiant maiden whom the angels name Lenore."
 Quoth the Raven, "Nevermore."

"Be that word our sign of parting, bird or fiend!" I shrieked, upstarting –
"Get thee back into the tempest and the Night's Plutonian shore!
Leave no black plume as a token of that lie thy soul has spoken!
Leave my loneliness unbroken! – quit the bust above my door!
Take thy beak from out my heart, and take thy form from off my
door!"

Quoth the Raven, "Nevermore."

And the Raven, never flitting, still is sitting, still is sitting
On the pallid bust of Pallas just above my chamber door;
And his eyes have all the seeming of a demon's that is dreaming,
And the lamp-light o'er him streaming throws his shadows on the
floor;
And my soul from out that shadow that lies floating on the floor
Shall be lifted – nevermore!



ყორანი

თარგმნა ვაჟა-ფშაველამ

საშინლად ბნელა. მარტოდმარტო ვარ...
არ მეკარება თვალზედა ლული.
სნეული სევდის მორევში ვცურავ,
სულშეხუთულსა მიკვნესის გული.
წიგნებს ვალაგებ და შემომესმა,
დამიკაკუნა ვილაცამ კარი.
შიშმა შემიპყრო, თანაცა ვფიქრობ:
რა დროს მოსვლათ, ნეტავ ვინ არი?
არავის ველი, ის ხომ აღარ მყავს...
გზადაკარგული იქნება მგზავრი,
ნახა სინათლე და მომატანა...
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!

ზამთარი იყო. ჰყინავდა, თოვდა,
ქარი ღმუოდა, ძლიერად ჰქროდა.
გაჩაღებული ბუხრისა ალი
ჩემ ყრუ სადგურის კედლებზე ჰქრთოდა.
ცეცხლისა ალი დაქსაქსულიყო
უხვად ოთახის ყოველ მხარესა,
მაგრამ არც სითბო და არც წიგნები
ვერა სწამლობდენ გულის ნაღველსა.
ლენორავ! სად ხარ? აღარ მომხედავ?

სად არს შენ თვალთა მადლი ნეტარი?!
კვლავ ტირის გული, ახლდება წყლული,
ვერ ამოვითქვი, არ იქნა, სული
და აბრეშუმის ფარდის შრიალი
კვლავ მიათქეცებს ტანჯვას, ტიალი.

ვის ველოდები? ან რაზე ვკრთები?
რა მემართება? ნეტავ რას ვშვრები?
გონდაფანტული ჩემთვის ვჩურჩულებ,
ვფიქრობ ტკივილსა მით დავიყუჩებ:
„ვილას მოველი? ვინლა მომივა?
მგზავრს ვისმე სტუმრად მიგზავნის ყინვა:
სწადიან ცეცხლთან გათბეს სანყალი,
შეანუხებდა თოვნა და ქარი...
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ჩემმავე ბოდვამ გამომაფხიზლა
და გამამხნევა, შემმატა ძალი.
ათრთოლებულის წარმოვთქვი ხმითა:
„ვინა ხარ მანდა? მოხვედი სითა?
გთხოვთ მომიტევოთ, რომ გაცდევინებთ,
ამ სიცვიეში მანდ გათევენებთ.
კარის კაკუნი სუსტად მომესმა,
რომ ის მეგონა მე უბრალო ხმა.
ჩავთვალე იგი მოჩვენებადა,
ქარბუქისაგან მონაბერ ხმადა“.
ავდეგ, მაშინვე გავალე კარი,
არეს ეფარა ზენარი შავი.
შემომღმუოდა თავ-პირში ქარი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ხელახლა ისევ შემიპყრო შიშმა
არსად სინათლე, არსაიდან ხმა.
მოჩვენებათა აღტყინდა ხროვა.
წარსულ, დაკარგულ ბედნიერ წამზე
დაუსრულები მოთქმა და გლოვა.
მას ვერ მიჰხვდება ხალხისა გროვა.
ტკბილ ოცნებათა გადართხმულ ზღვაში
„ლენორა!“ – უცბად გაისმა ცაში.
ურჟოლა მომვიდა. გავიგე ცხადად
ადელვებულმა წარმოვთქვი თავად.
და გამოხმობამ ხმა მომცა მწარი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ისევ მოვუჯექ ახლო ბუხარსა,
ავყევი ისევ გულისა თქმასა.
ფანჯარას სცემენ, ცხადად მესმოდა,
ძლიერ, საბრალოდ ისიც კვენესოდა.
„იქ არის ვინმე შეჭველადა,
დარახუნდება ფანჯარა რადა,
თუკი არ ახლოს არავინ ხელი?
ვინ უნდა იყოს? ღამეა ბნელი...
იქნებ შიშისგან ეს მეჩვენება.
არას დამიშლის მე შესვენება.
მაშინ გაგება ადვილი არი.
იქნებ ბოდვაა? ან იყოს ქარი?..
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ავდეგ, გავალე მყისვე ფანჯარა,
ბნელმა ოთახი სრულად დაფარა.
როგორაც კუპრი და უკუნეთი,
შინ შემომეჭრა ფრინველი ერთი.

ფრაშუნობს სახლში, როგორც ბორანი,
ის იყო დიდი შავი ყორანი.
მრისხანე არის, ვით ჯოჯოხეთი,
მას არ ელოცა არას დროს ღმერთი.
ავლებს ოთახში წრეებს ჩუმადა
და მერე დაჯდა დინჯად, უბრადა,
პალადის ძეგლზე ბოროტი, ბნელი.
ცივად მიცქერის არაფრის მთქმელი.
ზის და მიცქერის ჩემი ამქარი...
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

იჯდა დინჯადა განრისხებული,
მეც შევცქეროდი განცვიფრებული.
მელიმებოდა. მოვყე ხუმრობას
და შევეყებდე, ვაფიცებ ძმობას:
„თუ გნამს უფალი, პირდაპირ ჩემსა
სიდან მოჰფრინავ, მითხარი, დღესა?
რომელს მხარესა წინად სცხოვრობდი?
ან ამ ქვეყანას წინადაც სცნობდი?
თუმც არ გასხია ტანზე აბჯარი,
მაგრამ გეტყობა ძველი გაქვს გვარი,
შენი სახელი, მითხარ, რა არი?“
პასუხად მესმა მისი ყრანტალი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

იმის პასუხსა გავკვირდი მენა,
რომ ამოიდგა ფრინველმა ენა.
თუმც სანუგეშო არარა სთქვა მან,
წყლულის წამალი არ მომიტანა,
არც აზრი იყო იმის სიტყვაში,
მით ყრუანტელი მივლიდა ტანში:
საშინელს სურათს იგი ჰხატავდა,

ძეგლზე ყორანი კისერს ჰსძაბავდა,
კაცთა ენაზე მის საუბარი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ბნელის ღამისა ის იყო მსგავსი.
შავის ფიქრებით იგი აღსავსი.
და მედიდური სიჩუმე ყორნის,
თან წარმოთქმული სიტყვისა ორის
საკმაო იყო გამოექვეყნა
ყორნის სულისა აზრი, კვეთება.
მე გულმოკლული ვდუდუნებ ჩემთვის:
„ყველა სიამე, რაც ვიგრძენ დღემდის,
წავიდა, გაჰქრა, როგორც ოცნება,
მე დამრჩა მხოლოდ ტანჯვა-გოდება.
ვარ მარტოდმარტო, ობოლი, მწირი,
არსად თვისტომი, არც მეგობარი.
ყორანიც წავა, ვიდრე ინათებს“.
პასუხად მესმის იგივე ყრანტალი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

შემაკრთო ფრიად ყორნის პასუხმა
მოსაზრებულმა და გონივრულმა.
თითქოს გაიგო ტკივილი ჩემი.
სულ ტყუილია: ოცნების გემი
მიმაფრენს, მივსდევ, იმიტომ ვსცდები.
დასწავლილი აქვს მაგას ეს ხმები.
ვინ იცის, ვისგან შეუსწავლია,
განდევითანა მას უცხოვრია,
რომელსაც დარდი ჰკლავდა, ჰქენჯნიდა
და დაჟინებით ამას მოსთქვამდა,
ბოლმით გვემული და განამწარი:
„ალარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

მაგრამ ყორანმა მაინც გამართო,
ავდეგ – ბუხარში შეშა დამერთო,
მერმე სკამითა მისკენ მივქანდი
და თვალებითა ყორანსა ვნთქამდი.
შევჩერებოდი იმას სახეში,
მსურდა შემეტყო ყორნის თვალებში
ღრმად დაფიქრება, მისი ოცნება,
ჰქონდა თუ არა თავში გონება,
რომ მკითხავივით მიხსნიდა ფიქრსა, –
მართლა შეგნებით ამბობდა ისა:
„არ შეიძლება აღდგომა მკვდრისა!“

იგი წინანდლებრ დინჯადვე იჯდა,
ცეცხლის ნაპერწკლებს თვალთაგან სცრიდა –
ჰსურდა ამ ცეცხლით ჩემი გაკვეთა.
სხივი ჭრაქისა უხვად ხალიჩას,
სავარძლის ხავერდს ეფინებოდა,
საცა ვავლებდი დაღალულს თვალებს,
ვიგონებდი რა წარსულსა წამებს, –
მაგრამ, ვაჰ, წყლულსა რა დააამებს?!
და აგერ, ვითომ სავარძელზედა
ლამაზის თავის შეენიშნე კვალი...
თმისა ნანწავი... არ მმტყუენობს თვალი...
„ვაი, რომ აღარ აღსდგება მკვდარი!“

ვიგრძენ, ჰაერი აღშფოთებული
წამს გაიჟღენთა საკმლის სუნითა,
იქით, კედლის წინ, ხალიჩაზედა
ნაზი ფეხის ხმა მესმა ყურიითა
ცხადად, აშკარად. და მეჩვენება:
ცით ჩამოსულა ანგელოზთ კრება,

ცოდვილს ქვეყანას სტუმრად სწვევიან,
ჩემს სახლს გარშემო შემოჰხვევიან.
ვეყირი ხმამალლა: „ნუთუ, უფალო,
შენ მომივლინე ციურნი ძალნი,
რომ დავიყუჩო გულის ტკივილი,
განკურონო ცრემლით დამწვარნი თვალნი?..
და დავივიწყო“... კვალად ხმა მესმის:
„აღდგომა მკვდრისა წესი არ არის!“

ეს დამყრანტალა ყორანმა თავზე,
გაჯავრებულმა მეც იმის ხმაზე
წამოვიძახე: „დამლონებელო,
ამ უდროვო დროს ჩემო მტანჯველო,
უბედურების, ტანჯვის მომგვრელო!
ვინც უნდა იყო, თუ გინდა ალი,
რომ ავიტანო ამდენი ტანჯვა,
მექნება კიდევ შეძლება, ძალი?
ოცნებას მოსწყდეს ჩემი მტანჯველი
და არ აფრქვევდეს ცრემლებსა თვალი?
უგუნურ ტანჯვის მთლად ამოიფხვრას,
არ ეტყობოდეს გულს მძიმე კვალი“.
შემომყრანტალა: „არ სდგება მკვდარი!“

მაშინ დავუწყე ხვენწა-მუდარა:
„მითხარი სწორე, თუ გწამს უფალი,
თუ გწამს ის წმინდა ჭეშმარიტება,
ნუ დამიმალავ, მითხარ მართალი;
თავს არ დავზოგამ და არც დაგწყველი,
იმავე წუთასა თუნდა მომკალი.
როცა უფალი ჩემს ტანჯულს სულსა
მიიღებს, ეპყრას ხელთ როგორც ჭიქა
წამტერევე-წამსხვრევი, ვწახავ, მითხარი,

ლენორას სადმე, შევხვდები იქა,
შემომხვევს კვალად კისერზე ხელებს,
შევახებ კიდევ ლოყაზე პირსა?
ვნახავ თუ არა, ვით დილის ცისკრის,
მადლის მფრქვეველსა მის თვალთა სხივსა?“
ის წყეული კი მასვე ყრანტალებს:
„სად გაგონილა აღდგომა მკედრისა?!“

ვერ მოვითმინე და შევუძახე:
„ასჯერ წყეული იყავ ღვთისგანა,
საუკუნოდა გაყრას გვიქადის
ეგ შენი ენა – ჭირსა ჭირთანა!
მაშ უნდა დავრჩე იქაც ობლადა,
ვერ დავისვენო ვერავისთანა?!
მძულს დაღვრემილი მე შენი სახე
და ღვარძლიანი ბოროტი ენა.

წადი, გამშორდი, შემზარავი ხმა
ჩასწყდეს, არ მწადის შენის ხმის სმენა!
იქ იყრანტალე, საცა ჰაერი
არარაობით არის მოცული;
სად ტანტალებენ მხოლოდ აჩრდილნი,
არც წარსულია და არც მოსული;
სადაც მხოლოდა ქარი ბობოქრობს,
ადამიანის არა სძგერს გული!
გამშორდი! ფიფქიც კი არ დასტოვო
თოვლისა, ნიშნად შენს აქ ყოფნისა,
რომ არაფერმა არ მომაგონოს
წამი შენ აზრთა, შენის ცნობისა“.
იგი კვლავ ისევ იმას ყრანტალებს:
„მკედარი ამდგარა სად და როდისა?!“

როდი გაფრინდა, იქვე ზის წყნარად,
წარბშეუხრელად, ბოროტი შავად.

ბოროტ სულივით ამაყმა, უტყვემა
ჩემ შინ დაიდვა სამუდმო ბინა,
არ ენანება ბეწვის ოდნადა
რაც დამაძმარა, რაც მანყენინა.

მისი აჩრდილი გადმონოლილი
შავბნელად ჰმოსავეს, სახლშია რაცა.
დამანვა ტანზე, გრძნობა-გონებას
ჩემსას მძლავრად ბრჯღალები სტაცა.
მთელს შენობაში გამეფებული
არის მხოლოდა ბნელი, წყვიადი,
მის აჩრდილის ქვეშ ისმის მხოლოდა
გამუდმებული კენესა დიადი.
გულზე დამედვა სამარის ლოდი,
სულში არ მოჩანს სინათლის ცვარი,
არც ველირსები მას არასოდეს, –
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!

* * *


ვაჟა-ფშაველამ (1861-1915) პირველმა თარგმნა ქართულად ედგარ პოს „ყორანი“ და 1906 წელს დაბეჭდა გაზეთ „მეგობარ-ში“ (16 დეკემბერი, № 69). შემდეგ აღნიშნული თარგმანი შევიდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრულ კრებულში ათ ტომად (ტ. VIII, თარგმანები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ., გვ. 12-18).

ვაჟას დედნად გამოუყენებია ლეონიდ ობოლენსკის რუსული თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „Свет-ის“ 1879

ნლის დეკემბრის ნომერში (იხ. ს. ყუბანიშვილისა და ნ. წერეთლის წერილი „ვინ უთარგმნია ვაჟას?“ – გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1964 წ., 5.06, № 21, გვ. 3).

„ყორანი“ ედგარ პომ, ფაქტობრივად, თექვსმეტმარცვლიანი ლექსით დანერა, მაგრამ პრესასა და კრებულებში იგი იბეჭდებოდა რვა მარცვლიანი ლექსის სახითაც. თარგმნისას სხვადასხვა ზომას იყენებდნენ მთარგმნელებიც. ვაჟა-ფშაველამ ათმარცვლიანი ლექსით სცადა მისი ქართულად ამეტიყველება, რეფრენად კი გამოიყენა „აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“ (სხვადასხვა ვარიანტით). მთარგმნელი ძირითადად იყენებს ყოველი ორ-ორი სტრიქონის გარითმვას: ფანჯარა – დაფარა; უკუნეთი – ერთი; ბორანი – ყორანი; ჯოჯოხეთი – ღმერთი; ჩუმადა – უბრადა; ბნელი – მთქმელი; ამქარი – მკვდარი.

მართალია, ეს თარგმანი არ გამოირჩევა ვაჟა-ფშაველასთვის დამახასიათებელი მაღალმხატვრულობით, მაგრამ მას მაინც ატყვია ოსტატის ხელი.



ყორანი

თარგმნა სანდრო შანშიაშვილმა

შუალამესა ფიქრით სავსეს და გარემოცულს,
ძველსა წიგნებზე დაყრდნობილსა და ფიქრში წასულს,
გაურკვეველი შემომესმა კაკუნი კარის.
„ალბად“, ვსთქვი გულში, „საყვარელი სტუმარი არის“.

მახსოვს, ვუცდიდი... შემოდგომა მწარედ ჰგოდებდა...
ბუხარში ცეცხლი ფერს ჰკარგავდა, ინავლებოდა.
ოჰ, რა გულითა განთიადსა ველოდებოდი,
ამაო პასუხს მე ვუცდიდი, არა ვცხრებოდი,
ჩემს ლენორაზე! – ვინც რომ წინად ასე ბრწყინავდა
და თვით ნათელი მნათობზედა, სულსა ჰხიბლავდა.

ნელი შრიალი ლალის ფარდის ჰგვანდა ჩურჩულსა,
იგი ჩურჩული მწარე სევდით ავსებდა გულსა.
წამოვდექ ზეზე, გავიარე გაბრუებულმა,
ვსთქვი: „მგზავრი არის, მე მომმართა გზაარეულმა.
შუალამისას ბინასა მთხოვს, გავუღებ კარსა,
დაგვიანებულს შემოვუშვებ სახლში სტუმარსა!“

გავფანტე ეჭვი... არ შევეუკრთი უღვთო ხიფათსა.
„დაყოვნებისთვის, – ვსთქვი, – ნუ დასჯით საბრალო თავსა“,
კაკუნი მეტად ნელი იყო, ვერ გავიგონე,

თვალს მოვატყუე, რა ჩამთვლიმა ავდრიან ლამეს,
ოთახის კარი გამოვალე და რასა ვხედავ? –
მხოლოდ წყვდიადსა, ლამის წყვდიადს და სხვა არაფერს!

ხედვა მომეჭრა... ვიდექ მარტო გაბრუებული,
ადამისათვის მიუწვდომელ ფიქრით მოცული,
მაგრამ, ვით უნინ, სდუმდა ლამე, არას მეტყოდა.
სიტყვა „ლენორა“ გულიდამა აღმოითქმოდა.
თვით ვჩურჩულებდი შეუმჩნეველად მე ამ სიტყვასა,
გამოძახილი წყვდიადიდან მაძლევდა ბანსა!

უკან დავბრუნდი... ვილაც მძლავრად კვლავ აკაკუნებს...
შევეკრთი, შევმინდი. მარტოკა მყოფს ვინ არ მასვენებს?
რალაცა გატყდა თუ ფოთოლმა შეიშრიალა.
სარკმლისა უკან ვილამც შავად შეიფრთხიალა.
ხან კარს ეხლება, ახმაურებს, ხანა დუდუნებს! –
დამშვიდდი, გულო, გარედ მხოლოდ ქარი ზუზუნებს!

სარკმელს ხელი ვკარ... შემოვარდა შავი ყორანი,
ამაყად მჩენი, ძველ დროისა, ავად მქროლავი.
და რა შემოჰკრა მძიმედ ფრთა ფრთას და მედიდურად,
თავს დააფრინდა პალადისა ძეგლს თავისუფლად.

გამოვერკვიე ტანჯვისაგან. გადვიხარხარე,
ძველი ფრინველისა სითამამე რა დავინახე –
„ქოჩორი გშვენის და მიცქერი სასიამოვნოდ,
მითხარ, წყვდიადის სამეფოში, სად ბნელი მეფობს,
რას გეძახოდენ, ჰე, ამაყო, შავო ყორანო?!“
და დაიჩხავლა მედიდურად სიტყვა: „არასდროს!“

უაზროდ, მაგრამ მიპასუხა ნათლად „არასდროს!“
გავკვირდი დიდად და ან სხვამა ვინ დაიჯეროს,

რომ მინდვრის სირმა თავს დამჩხავლოს სიტყვა: „არადროს!“
მიცქერს ამაყად და ნათქვამსა კვლავ იმეორებს,
თითქოს მას ჰსურდეს ამ სიტყვასა სული შთაჰბეროს.
არ შეარხია მან თვისი ფრთა, არცა ბუმბული,
ვსთქვი: „მეგობრებმა გადიყარეს ჩემზედა გული.
და ესეც ხვალე დამშორდება, დამტოვებს მარტოს“.
შავმა ყორანმა კვლავ დამჩხავლა: „არა, არასდროს!“

მარჯვე პასუხი რა ვისმინე, ვინყე კანკალი.
„მასთან ყოფილა“, – გავიფიქრე, – „შავი ყორანი“,
ვისი ცხოვრება მარად ჟამსა ტანჯვავა მწარე,
ვინცა დაჰშორდა ამა ქვეყნად ბედს სანეტაროს
და ვერც ეღირსა წამებული შვებას ვერას დროს!“

ხავერდს დავეყრდნე სკამზე მჯდომი ყორანის ახლოს
და ოცნებასა გული ჩემი მივეც უსაზღვროს.
„ეს ყორანია, მაგრამ მაგით მე რა მასწავოს,
რომ თავს დამჩხავის მუდამ შავსა სიტყვას: „არასდროს!“

ვიჯექ მდუმარე, მწარე სევდით გარემოცული,
ვით ცეცხლის ალი გულს მიწვავდა სევდა გრძნეული,
დავწექ სანოლზე მონყვეტილი, ქანცმილეული
და ვსთქვი: „არასდროს ტურფა ხავერდს არ ჩაეკვრება,
ვინც მე მიყვარდა, თავს დაჰქროდა ლალი ოცნება“.

ირგელივ ბნელდება... თითქოს ნიავს ვილაცა ჰბერავს,
საცეცხლურითა სერაფიმი ეწვია სოფელს?
უნებურადა დავიძახე: „კვლავ ღმერთი მტანჯავს,
არ ჰსურს ვუმზერდე აგზნებული ჩემსა სიყვარულს!
სირო, მიმღერე დავინყების მწარე სიმღერა
და მიადინე, მიაყუჩე გულისა ძგერა,

რომ ლენორაზე შავი ფიქრი მე გამეფანტოს“, –
და კვლავ ყორანმა დაიჩხავლა: „არა, არასდროს!“

გრძნობა აღშფოთდა და შეეცახე მალლად ფრინველსა:
„შენა ხარ სირი, თუ საზარი, სული წყეული?
ავმა მაცდურმა მოგავლინა თუ ქარიშხალმა?
ვპოვებ თუ არა განსვენებას სევდით ჩაგრული?
ნუ დამიფარავ, მითხარ, როდის და ანუ რა დროს?“
და კვლავ ყორანმა დაიჩხავლა: „არა, არასდროს!“

„შენ ხარ მისანი! მაშ მითხარი, ჰოი, მთხრობელო,
შენ ერთს გაფიცებ ცას და ხმელეთს, წინამეტყველო!
ანგელოზთ შორის სამოთხეში ვერ ვნახავ სატრფოს?“
და კვლავ ყორანმა დაიჩხავლა: „არა, არასდროს!“

განრისხებულმა დავეყვირე: „ნადი, გამშორდი!
წყვდიადის შვილო, კვლავ ჩაჰბარდი ღამის წყვდიადსა!
სულს ენატრება მარტო ყოფნა სამარადისოდ,
ამომაცალე ეგ ბრჭყალები ჩაგრულ გულ-მკერდსა!
გადაიფრინე, რომ ამ თვალმა აღარ გიხილოს!“
და კვლავ ყორანმა დაიჩხავლა: „არა, არასდროს!“

ქანდაკებაზე ზის მდუმარე ბოროტი სული,
მიმზერს ყორანი თვალ-ბედითი, მიყუჩებული;
აღარა ფიქრობს გადაფრინდეს და მომასვენოს...
არცა აღდგება დაცემული სული არასდროს.

* * *

სანდრო შანშიაშვილის (1888-1979) თარგმანი დაბეჭდილია
ჟურნალ „ფასკუნჯში“ (1909 წ., გვ. 1-3). „ყორანი“ თარგმნილია
კონსტანტინე ბალმონტის რუსული თარგმანის გამოყენებით.

თარგმანი ერთობ თავისუფალია და განყოფილია თოთხმეტმარცვლიანი ლექსით.

„ფასკუნჯის“ ამავე ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე ედგარ პოს ორი მოთხრობის – „სიჩუმე“ და „ნითელი სიკვდილის ნილაბი“ იროდიონ ევდოშვილისა და გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი. ასევე ედგარ პოს მოკლე ბიოგრაფია და შემოქმედების მიმოხილვა. მასალები ეძღვნება ორ იუბილეს – მწერლის დაბადების 100 და გარდაცვალებიდან 60 წლისთავს.

ბიოგრაფიაში აღნიშნულია: „პოეს საუკეთესო ნაწარმოებია „ყორანი“, რომლის ბედითი ჩხაველი საუცხოვოდ ახასიათებს მის პოეზიას“.

სანდრო შანშიაშვილის თქმით, მას სამსონ ფირცხალავამ ათარგმნინა ედგარ პო (იხ. სანდრო შანშიაშვილი, „სამსონ ფირცხალავა“, მოგონებები – „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წ., 6.03, № 10).



ყორანი

თარგმნა გრიგოლ მეგრელიშვილმა

ერთხელ ღამით კვნესდა ქარი...
ვიყავ მარტო და მწუხარე.
და ტომები საუკუნით
დანყევლილი, ძველთაძველი –
მე წინ მეწყო, და დაღლილი
ვკითხულობდი თავდახრილი.
და მიპყრობდა თვლემა ფრთხილი,
როს კაკუნი მესმა ნელი.
– „სტუმარია“, – ვსთქვი ჩურჩულით,
როს კაკუნი მესმა ნელი
და შევიქენ მით ფხიზელი.

მახსოვს, იყო დეკემბერი,
იყო ქარი და ნამქერი...
იატაკს კი სისხლის ფერად
ღებდა ბუხრის ძგერა ცხელი;
რარიგ მსურდა დილა ვნებით,
რა ოცნებით, რაგვარ ვნებით,
მსურდა წიგნში დამემარხა
ჭმუნვარება გულის მკვლეელი.
იმ დაკარგულ ლენორისა
ვინც, ბგერაა ცარიელი.

კრთოდა ფარდა აბრეშუმის
და შრიალიც იყო ჩუმი.
კუთხებიდან შესაპყრობლად
მოიწვედნენ უცნობთ ხელნი:
იზრდებოდა შიში ღამით
ყოველ ნუთით, ყოველ წამით
მეცხებოდა გული შხამით.
ჩუ! კაკუნი მესმის ნელი.
– „სტუმარია“, – ვსთქვი მე წყნარად,
როს კაკუნი მესმა ნელი
– „სტუმარია გამომვლელი...“

და როს თავი გავიმხნევე,
ვსთქვი ხმამალლა: „მომიტევე,
ვინაც კარებს უკაკუნებ,
პატიებას შენგან ველი.
აღარ მქონდა მეტი ღონე –
ძილს დაღლილი დავემონე,
უცხად ველარ გავიგონე
მე კაკუნი კარის ნელი“.
და ამნაირ ბოდიშითა
მე გავალე კარი ნელა,
ირგვლივ ბნელა... მხოლოდ ბნელა.

თითქოს თვაღწინ აღმემართა
ღრმა უფსკრული, ვიდექ მარტო
გამოუთქმელ ოცნებებით
წყვდიადობდა ირგვლივ ველი,
შავად სჩანდა ნისლთა გორა,
მაგრამ, ვით ხმა გუნდის შორა,
ახმაურდა მყის – „ლენორა“ –
ხანგრძლივ ტანჯვის ექო ნელი.

ჩურჩულით ვსთქვი მე – „ლენორა“ –
ხანგრძლივ ტანჯვის ექო ნელი.
და შთაინთქა ის სიბნელით.

შემოვბრუნდი შმაგი, მთვრალი,
ამ ძახილით სულ შემკრთალი
შემოველ და კვლავ კაკუნნი
შემომესმა წინანდელი.
კვლავ აიძრა შიშის ჯარი,
მაგრამ ვსთქვი მე – „ეს ფრთაჩქარი
დარაბებში იბრძვის ქარი.
ჩემს შიშს არ აქვს საფუძველი –
ფეთქავს ქარი დარაბებში.
ჩემს შიშს არ აქვს საფუძველი:
ქარმა შექმნა ხმა ეგ ძველი“.

და როს გული დავიწყნარე,
სარკმლის გახსნას დავეჩქარე
და ყორანი განვლილ დროთა
შავთა ფრთათა მწყობრად მშლელი.
შემოფრინდა. დავინახე
მედიდური მისი სახე;
ფრენით მოვლო მან ოთახის
ყველა კუთხე და კედელი,
აღლამაზე პალლადისა
დასჯდა, მოვლო, როს კედელი.
– ვით ნაცნობი ჩემი ძველი.

ვით ჩვენება მკაცრი, ავი
თეთრსა ზურზე იჯდა შავი.
გავიცინე და ვუთხარი
ლიმმა გასჭრა ბაგე ოდეს:

– «თქვენ ბრძანებლობთ სამარეში,
სთქვი, რა გქვიან მკედართ მხარეში,
სთქვი, რა გქვიან იმ არეში;
სადაც სტიქსი უნდა რბოდეს?!
რას გიხმობენ იქ, სად მარად
სტიქსი ნყნარად უნდა რბოდეს“?
– მან დამჩხავლა «არასოდეს“»

თუმც არ ჰქონდა პასუხს აზრი,
მაგრამ გული გამიბასრა
მე ჩხავილმა ყორანისა
რაც, ფათერაკს მოუნოდებს.
მოქვითინე ქარმა ველად
მოუვლინა ეს პირველად
იმ სახლს, სადაც კაცი ძნელად
ნახავს იმედს მარცვლის ოდენს;
იმ უბედურს, ვინაც იმედს
არ ატარებს მარცვლის ოდენს
ეგ ფრინველი «არასოდეს».

თეთრ ზუჩიდან პალადისა
არეს სჭვრეტდა მწყრალად ისა,
ვით მსაჯული, რომლის გულიც
მკაცრია და არ იცოდებს.
და იძახდა ისე ხშირად,
ისე ცივად... გულგამგმირად,
თითქოს ბედმა გამოსწირა,
რომ ან სხვა რამ არ მესმოდეს.
მაგრამ ვთქვი: «ხვალ მომშორდება,
რომ ჩხავილი არ მესმოდეს –

მან დამჩხავლა:

– „არასოდეს“.

და შემაკრთო კვლავ პასუხმა,
და ვიფიქრე, დანანუხმა –
„ის სცხოვრობდა იმ ბედშავთან,
ვინაც მწვავე იჭვთა ჰკოდეს;
მასთან, ვისაც ოხვრა, სევდა
მარად ახლდა, მარად სდევდა,
ვისი სულიც ვერ იშვებდა,
არ სმენია „გიხაროდეს“.
ვისაც ყოველ სურვილის დროს
ბედი, ნაცვლად „გიხაროდეს“
უმღეროდა – „არასოდეს“.

ჩავესვენე სავარძელში
და ნაღვლიან ფიქრთა ქსელში
ვეხვეოდი. შავსა ყორანს
მღვრიე თვალით ვსჭვრეტდი ოდეს,
და ვფიქრობდი: რას მიქადის
მე ფრინველი ეგ წყვდიადის?
სთქვას, რა უნდა, სთქვას, რა სნადის,
როს სურს თავზე დამჩხაოდეს.
რას მიმზადებს განაჩენით,
როს სურს თავზე დამჩხაოდეს
მკაცრი სიტყვით – „არასოდეს?“

და ყორანის ბასრი თვალი,
ისე მჩხვლეტდა, ვით ეკალი
და ფიქრები უნუგეშო
ქსოვდა ქსელსა, ქსოვდა ბადეს.

აბრეშუმზე თავი ვხარე
და ვფიქრობდი, გულმნუხარე:
„ზაფხულივით მომცინარე
აქ, თავს ხრიდა უმანკოდ ის,
მაგრამ ან კი, მაგრამ ან კი
ბავშვურად და უმანკოდ ის
თავს არ დაჰხრის „არასოდეს“.

გაფერმკრთალდა თვალში ალი
და მომესმა მე შრიალი
თითქოს კრება ანგელოზთა
ცოდვილ მინას მოვლენოდეს,
და სურნელთა კმევა მათი
მე მატკობდა, ვით შარბათი...
„ო, – შევძახე – სვას ხარბად ის
გულმა, რომ სულ არ იწვოდეს;
დე ნექტარი მოვლენილი
სვას გულმა, რომ არ იწოდეს!“
და დამძახა მე ყორანმა:
„არასოდეს“.

– „ახ, – შევსძახე, – ვინ მოგზავნა,
ეგ ყორანი, თუ ეგ მავნე,
ქარიშხალმა, თუ მაცდურთა
ჩემს სატანჯად უმწოოდეს.
თუ დახშულან ჩემთვის ცანი?
მამ, მითხარი, ჯადოსანო,
მითხარ, ბარემ სთქვი, მისანო,
მე სიმშვიდეს ეპოვებ, როდეს.
ჩემს ღრმა სევდას, ჩემს კაეშანს
დავივიწყებ, მითხარ, როდეს?“
მან დამჩხავლა: „არასოდეს“.

„ო, – შევეძახე, – ვინ მოგზავნე
ეგ ყორანი, თუ ეგ მავნე,
ცას გაფიცებ, ცას გაფიცებ
და საფლავის შავსა ლოდებს.
თუ არა მაქვს აქ ნუგეში
სხვა ანგელოზ-დობილებში
მას, ხომ ვიცნობ სამოთხეში
მიპასუხე, სთქვი – მხოლოდ ეს:
ხომ ვიხილავ ჩემს ლენორას,
სთქვი, რომ მწამდეს ან მხოლოდ ეს
და დამჩხავლა მე ყორანმა:
„არასოდეს“.

და შევეძახე შეშფოთებით:
– „ახ, მაცდურო, შავი ფრთებით
გადაფრინდი მკედართ არეში,
სადაც სტიქსი უნდა რბოდეს,
რომ ჩხავილი ეგ საზარი,
მკვლელი, გულის გამაბზარი,
ბნელი, როგორც გლოვის ზარი,
ლამემ შთანთქას, არ მესმოდეს.
შორს, ჯალათო, გესმის, გესმის,
რომ შენი ხმა არ მესმოდეს.
მან დამძახა – „არასოდეს“.

და მის შემდეგ მიდის ხანი
და თეთრ ზუჩზე ზის ყორანი,
თავს დამჩხავის უნუგეშოს.
ზის ყორანი, მოთქვამს, ჰგოდებს.
შეცვქერ მის ჩრდილს, ფრთათა რხევას,
ვიმეორებ კვნესით მე „ვას“
და ვერ შესცვლის ლოცვად წყევას,

თუნდ დრო-ჟამი ხანგრძლივ ჰქროდეს.
და თვით სულიც შავ ჩრდილიდან,
დაე, ჟამი ჰქროდეს, ჰქროდეს
– არ აღსდგება არასოდეს.

* * *

„ყორანის“ რიგით მესამე ქართველი მთარგმნელია გრიგოლ (გრძობა) გერასიმეს ძე მეგრელიშვილი („მთის ნიავი“, „ფარცხნელი“). გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცულია ერთი ხელმოწერილი ჩანაწერი – საუბარი გრიგოლ მეგრელიშვილის დასთან ოლღა მეგრელიშვილ-მგალობლიშვილთან. ამ ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ გრიგოლ მეგრელიშვილი დაბადებულია 1896 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ფარცხმაში. ოთხი წლისას გარდაცვლია დედა და სევდიანი ბავშვობა ჰქონია დედინაცვლის ხელში. უსწავლია ჩოხატაურის სკოლაში, ხონის პროგიმნაზიაში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და თბილისის უნივერსიტეტში (ეს უკანასკნელი მითითებულია გრიგოლ მეგრელიშვილის ნეკროლოგში „მთის ნიავი“, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1919 წლის № 3-ის მე-16 გვერდზე).

ორივე ცნობის მიხედვით, გრიგოლ მეგრელიშვილი ყოფილა ნიჭიერი პოეტი. წერდა ლექსებს, პოემებსა და პიესებს, მაგრამ აქვეყნებდა მხოლოდ ლექსებს („ბათუმის გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „თემი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“...).

გრიგოლ მეგრელიშვილს მიუტოვებია უნივერსიტეტი, ლეგიონერად (მოხალისედ) ჩაწერილა და მონაწილეობა მიუღია ახალციხესთან გამართულ ომში. იგი სოფელ უდესთან ცხრამეტი ტყვიით დაუცხრილავთ ოსმალთა ასკერებს. ეს უნდა მომხდარიყო 1919 წელს.

სხვა მონაცემებით გრიგოლ მეგრელიშვილი დაბადებულია 1898 წელს და გმირულად დაღუპულა 1918 წელს (იხ. „მთის ნია-

ვი" გრიგოლ მეგრელიშვილი), „შუქურვარსკვლავი“, რჩეული ლექსები და პოემები. შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ნიკო კეცხოველმა; ბოლოსიტყვა გიორგი ლეონიძისა, „მერანი“, 1973).

გიორგი ლეონიძის თქმით, გრიგოლის „პოეზია გამოირჩეოდა აზრის სიმნიფით. მისი მოქნილი სტრიქონი, მუსიკალური ლექსი, კარგი გამართული ქართული სანაქებო იყო... მას ჰქონდა მშვენიერი ლირიკული და პატრიოტული ლექსები და პოემები. ჩემი აზრით, ამ პოეტში მშვენივრად თავსდებოდა ნაზი ლირიკოსიც და ტემპერამენტიანი ტრიბუნიც“.

გოგლამ ასეთი პოეტური სტრიქონები უძღვნა მეგობარს: „ლიმილის ბიჭო, შენ აქ რა გინდა, შთამომავლობამ გმირად გახსენა; ხომ დაიცალე, ძმაო, სისხლიდან ძველი მესხეთის გამოსახსნელად!“

გრიგოლ მეგრელიშვილი თავის რომანში „პირისპირ“ გააცოცხლა ალექსანდრე ქუთათელმა, რომელიც ბავშვობაში გრიშასთან ერთად სწავლობდა ხონის პროგიმნაზიაში. აგრეთვე საინტერესოა გრივერ ფარულავასა და ზაურ მეძველიას მიერ შედგენილი წიგნი – გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი) „ბედის მდინარე, პოეზია, ღვანლი“, რომელიც თბილისში 2009 წელს გამოსცა „წიგნის სახელოსნომ“.

„ყორანის“ გრიგოლ მეგრელიშვილისეული თარგმანი 1918 წელს დაიბეჭდა გაზეთების – „რევოლუციონური ნობათისა“ და „შრომის“ ორკვირეულ სალიტერატურო დამატებაში „ლეგია“, №2. კერძოდ, რომელ ნომერში, დაუდგენელია (სულ გამოვიდა სამი ნომერი). იქნებ №2 ნიშნავდეს მეორეს.

გრიგოლ მეგრელიშვილის თარგმნილი „ყორანი“ ახალი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ ლექსის ქართულად თარგმნის ისტორიაში. იგი შესრულებულია რვაპარცვლიანი შაირით და ნარმოდგენილია თერთმეტსტრიქონიანი სტროფით. ეთერ მაგლობლიშვილის დაკვირვებით, „ყორანი“ თარგმნილია კონსტანტინე ბალმონტის რუსული თარგმანის მიხედვით (იხ. ეთერ მაგლობლიშვილი – „ედგარ პო ქართულ ლიტერატურაში (1900-1920)“, ავტორეფერატი, 1988, გვ. 7-8).

ყორანი

თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ

ეს იყო ღამე ცივი და გრძელი.
მრავალ უცნაურ სიბრძნეთა მცველი.
მე ფოლიანტი წინ მედო ძველი
და მასზე ფიქრმა დამღალა მძიმედ.
ვთვლემდი, თვალეზზე მეკიდა რული.
უცებ დაირღვა სიჩუმე სრული:
ნელმა კაკუნმა შემიკრთო გული...
„ეს სტუმარია ვილაცა, ვსთქვი მე,
ალბად ვილაცა მგზავრს მოაგდებდა
ჩემთან ეს ღამე შავად ნაფერი.
მგზავრია მხოლოდ, სხვა არაფერი“.

ო, კარგად მახსოვს მე ეს ყოველი:
თვე – დეკემბერი, ბნელი, სოველი.
ბუხარი ოდნავ შუქთა მთოველი
კედელს უცნაურ ლანდებად ხევდა.
ვნატრობდი დილას ნათელ ფერებით,
წიგნს დავეყურებდი მე გაშტერებით.
ამაოდ მსურდა მეცნიერებით
გულში ჩამეკლა მე სევდა, სევდა –
იმ ლენორაზე, ვინც მე დამტოვა
და სულ სხვა ქვეყნის ნახა ნაპირი.
ო, მას არ დარჩა აქ არაფერი!

თხელი ფარდების ნაზი რკალები
მიმოიშალნენ აკანკალებით
და მე გამევესენ შიშით თვალები,
უცნობი შიშით და ფანტასტიკით.
ძლივს შევანელე მე გულის ძგერა
და მეუცხოვა ჩემი ხმის ბგერა:
„ეს სტუმარია ვილაცა, მჯერა,
გზას დაუბნევდა ღამე სასტიკი.
აღბად მას უნდა თავშესაფარი“...
და კვლავ ვამბობდი დაკარგულ ფერით:
„ეს სტუმარია – სხვა არაფერი“.

აქ ჩემი სული გამტკიცდა კვალად
და მე კარისკენ გავსწიე ძალად.
„გთხოვთ, პატიება დამდევიტ ვალად,
ბოდისის მოხდით მივმართე სტუმარს:
კარს თქვენი ხელი ოდნავად სცემდა
და გვიან მივხვდი, სანყენად ჩემდა.
თქვენს მობრძანებას, რადგან მე მთვლემდა
მძიმე ფიქრებში გართულს და მდუმარს,
მე არ მეგონა თუ ეხლა ვინმე“...
და მე კარები გავალე ფართოდ.
სხვა არაფერი – წყვილია დი მარტო.

ვით სიზმარეულს მიმელო ცნობა,
თითქოს წყვილია დში დავიწყე დნობა.
აღბად ამ ქვეყნად ასეთი გრძნობა
ჯერ ადამიანს არ განუცდია.
თვალის წინ მედგა ღამე ულევო,
არრა არღვევდა დუმისლ სრულებით.
და მხოლოდ ოდნავ ნაჩურჩულევი
იქ ერთი სიტყვა მოხვდა ყრუ წყვილიადს.

ეს მე ვსთქვი: „ლენორ“... და ისევ „ლენორ“
მესროლა ექომ, როგორც რაპირი.
ეს იყო მხოლოდ – სხვა არაფერი.

შემოვტრიალდი, კარი დავხურე,
სულს ვამშვიდებდი ცეცხლით ნახურებს,
მაგრამ კაკუნი ესმათ კვლავ ყურებს
უფრო ხმამაღლა ვიდრე პირველად.
შიში ჩემს ენას მაინც არ აბამს:
„ეს მოჩვენებას სულაც არა ჰგავს,
მხოლოდ გარედან ფანჯრის დარაბას
ხედება რალაცა გასაკვირველად.
ამ საიდუმლოს მე გამოვიცნობ...
დანყნარდი, გულო, ამაოდ დარდობ:
სხვა არაფერი – ქარია მარტო“.

მაშინ დარაბას მივკარი ხელი,
შეირხა შავად გახსნილი ხერელი
და ჩემ წინ დინჯად ამართა ყელი
ძველმა ყორანმა რაინდულ მკერდით.
ის არ შეჩერდა არც ერთი წამით.
ჩემთვის პატივი რომ ეცა ამით,
ლორდის მიმოხვრით და სითამამით
მან გამიარა ჩუმად მე გვერდით
და კარის ზემოთ დააჯდა ქანდაკს,
პალადას ქანდაკს, ამართულს ბროლად.
სხვა არაფერი – ის დაჯდა მხოლოდ.

გამოვერკვიე სტუმრის ცნობაში,
ლიმილს ვურევდი მწარე გრძნობაში,
მის სერიოზულ გარეგნობაში
ვხედავდი ბნელი უფსკრულის რაინდს.

„მართალი არი, ვსთქვი მე, სრულიად
შენი ქოჩორი გაპარსულია.
და გზა წყვდიადით დათარსულია,
მაგრამ გულადი ყოფილხარ მაინც.
მითხარ, სახელად რა გენოდება
იმ სამეფოში, პლუტონის კარად?“
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

გაოცებულმა მივაპყარ სმენა.
ნუთუ ამ ფრინველს სცოდნია ენა?
თუმც ვერ შევსძელი მე აღმოჩენა
იმის პასუხში რაიმე აზრის.
მაგრამ ხმა იყო საოცრად მკვეთრი.
და ან ვის ჰქონდა ისეთი ხვედრი,
რომ რალაც ფრინველს ქანდაკი თეთრი,
ზემოდან მისი ოთახის კარის
ენახოს და ზედ დაფრენილიყოს?
დაფრენილიყოს ქანდაკზე წყნარად
და მას სახელად რქმეოდეს „არა“?

ჩამოიშალა სიჩუმის ფარდა:
ხმა არ დაუძრავს მას ამის გარდა,
თითქოს შეეწყო და შეეზარდა
მხოლოდ ამ სიტყვას იმისი სული.
ის თეთრ ქანდაკზე იჯდა გრძნეული,
შავ ქანდაკებად გადაქცეული.
და მე წარმოვსთქვი ხმით დაწეულით:
„სხვა მეგობრები გაფრინდნენ სულ იქ.
ისიც დილაზე დამტოვებს მათებრ
და გაფრინდება აქედან ჩქარა“.
მაშინ ფრინველმა წარმოსთქვა: „არა“.

და მე ხელახლა შემიკრთა გული,
მრევდა პასუხი უეცრად თქმული.
„ამ სიტყვაშია, – ვსთქვი, – დამალული
ავლადიდება იმისი მთელი.
აღბად მას თავის ჭკუა ჰკლებია,
ეს სიტყვა მისთვის უსწავლებია
ბატონს, რომელსაც თანა ხლებია
ბედი სასტიკი და სულის მხდელი:
ვისაც ეს ბედი სდევნიდა ისე,
რომ ყველაფერზე, ყველგან და მარად
ის იძახოდა ერთ სიტყვას – „არა“.

მე გავიღიმე და ისევ ამით
მწუხარე სულის დაფარე შხამი,
კარებისაკენ მივსწიე სკამი
და რბილ ხავერდზე დავეჯექი კვლავ მე.
მე ამოცანა ავიღე ძნელი, გავაბი ძაფად ფიქრები ნელი:
მსურდა გამეგო, – უმსგავსო, ბნელი,
გამოუცნობი ისე, ვით ღამე,
ეს თვალბედითი ყორანი, აგერ
რომ ჩამომჯდარა ქანდაკზე წყნარად,
რას ამბობს თავის ხროტინით – „არა“.

ვიჯექ უსიტყვო ფიქრით ვნებული
და ვგრძნობდი – მკერდქვეშ ჩემი მხნე გული
მკაცრი ფრინველის გაცეცხლებული
თვალების აღზე იდაგებოდა:
გადაუჭრელი საკითხი ავი ჩამინვა სულში ისე ვით ზვავი
და მე ლურჯ ხავერდს მივაყრდნე თავი,
ლამპის შუქით რომ იქარგებოდა.
მაგრამ ამ ლურჯი ხავერდის ბალიშს
ლენორას თმები ოქროსფერ ღვარად
არ დაეცემა არასდროს – არა!

შემდეგ ჰაერი შეიქმნა სქელი,
თითქოს სურნელი აკმია ცხელი
იქ სერაფიმმა უჩინარ ხელით
და მე ფეხის ხმაც მომესმა მისი.
„საბრალო!“ – ვსთქვი მე: „გახსენ თვალები,
ცაც კი დამწვარა შენი წვალებით
და ანგელოზის საშუალებით
გიბოძა ღმერთმა სასმელი თვისი.
დალიე შენ ეს სასმელი უცხო
და დაივიწყებ ლენორას მარად“.
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„შენ მისანი ხარ, მავნე საგანი!
ქაჯმა გასწავლა შენ ეს საკანი,
თუ ქარიშხალით გადმონატანი
ხარ აქ, დარაჯი ჩემი კარების?
სთქვი ამ უდაბნო ოთახში, ასე
უბედურებით რომ არის სავსე,
რომელიც მხოლოდ ოცნებობს მასზე,
სთქვი ამ ოთახში, გემუდარები,
გაქვს შენ ჩინჩახვში წამალი რამე,
რომ ჩემს იარას ეპკუროს ცვარად?“
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„მისანო“, – ვსთქვი მე მწარე ნაღველით:
ცის ან ქვესკნელის ხარ შენ მნახველი
და გვედრები იმ ღვთის სახელით,
რომელიცა გვწამს ერთგვარად ჩვენ ორს,
უთხარი ჩემ სულს, დატანჯულს ბედით,
თუ სამოთხეში იხილავს გვერდით
და მას, მშვენიერს, მიეკვრის მკერდით,
რომელსაც ცაში უხმობენ „ლენორს“?

იხილავს ქალწულს, რომელსაც ცაში
ანგელოზები ახლავან ჯარად?“
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„გასწი, გამშორდი! იყავ წყეული!“ –
ვიძახდი ოდნავ ნამონეული.
მხოლოდ უკუნი ღამის ხვეული
შენ დაგშენდებდა ყრუ საბუდარად:
ფრთაც არ დასტოვო საჩუქრად შავი
ნიშნად იმისა, ტყუილს რომ ჩხავი;
მე მსურს აქ მარტოდ ვიგულო თავი,
ან შენგან ჩემ სულს არა უნდა რა.
შორს ეგ ნისკარტი, ეგ შენი ფორმა!
თეთრი ქანდაკი დასტოვე ჩქარა!“
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

და თეთრ ქანდაკზე, ვით მუზარადი,
მოსჩანს უძრავად იგი მარადის,
თითქოს ხედავდეს სიზმრად პარადიზს,
ჩემი ოთახის კარების ზევით.
როგორც მდუმარე დემონს, თვალები
მას გავსებთან იდუმალეებით,
და ლამპის შუქი მას მოკრძალებით
ხედება და აჩრდილს ძირსა შლის რხევით.
ო, ჩემი სული ამ აჩრდილიდან,
იატაკზე რომ გაშლილა ფარად,
არ ნამოდგება არასდროს – არა!

* * *

პირველი, ვინც „ყორანი“ ინგლისურიდან ქართულად
თარგმნა, გახლდათ ცნობილი მეცნიერი, პოეტი და მთარგმნე-

ლი კონსტანტინე ჭიჭინაძე (1891-1960). მისი მშვენიერი თარგმანებით ეზიარა ქართველი მკითხველი დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ (კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად), „სიმღერას ნიბელუნგებზე“, „იგორის ლაშქრობის ამბავს“, ნიჰამი განჯევის, ალიშერ ნავოის, ვაგიფის, ბაირონის, ემილ ვერჰარნის, გამოჩენილ რუს პოეტთა ნაწარმოებებს.

კონსტანტინე ჭიჭინაძემ 1924 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ (№ 1-2, გვ. 160-163) გამოაქვეყნა „ყორანის“ თარგმანი. ამ დროს მას უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ერთ-ერთი ვრცელი ლექსი „რიონის აპოლოგია“ (1923), სადაც გვხვდება ასეთი სტრიქონი: „სადაც ყორანი გადაფრინდა მოკლე ხროტინით“. ვფიქრობ, „რიონის აპოლოგიის“ დაწერისას იგი მუშაობდა „ყორანის“ თარგმანზე. ამას მაფიქრებინებს ის, რომ „ყორანში“ ორნაირი ვარიანტით ექვსჯერ მეორდება ყორანი და მისი მოკლე ხროტინი.

კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანს უდავოდ გააჩნია თავისი ღირსებები. კერძოდ, მთარგმნელი ცდილობს მიუახლოვდეს დედნის გარეგან ფორმასა და ავტორისეული გარითმვის სისტემას. თუმცა ამ მხრივ ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ სიზუსტესა და ბუნებრიობას. მიუხედავად ამისა, თარგმანი სასიამოვნოდ იკითხება მისი განსაკუთრებული მუსიკალურობის გამო.

თარგმანში დაცულია დედნის სიუჟეტის სიზუსტე და სტროფთა რაოდენობა (18). ამასთან, თითოეული სტროფი შედგება 5 სრული და 1 ნახევარსტრიქონისაგან. ოღონდ, ნაცვლად თექვსმეტისა, თარგმანი შესრულებულია ოცმარცვლიანი ლექსით.

ედგარ პოს ლექსის რეფრენად გამოყენებული აქვს სიტყვა „nevermore“, რომელსაც სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენენ მთარგმნელები (არასდროს, აღარასდროს, აროდეს, არასოდეს, აღარასდროს, ველარასდროს, არარა და ა. შ.).

კონსტანტინე ჭიჭინაძე კი იყენებს ორმარცვლიან უარყოფით ნაწილაკს „არა“. ჩემი აზრით, ეს ფორმა ყველაზე უფრო მისაღებია და საკმაოდ მარტივიც ყორნისთვის დასახროტინებლად.

აღსანიშნავია კონსტანტინე ჭიჭინაძის მიდგომა „ყორანის“ გარითმვის სისტემასთან დაკავშირებით. თუ პირობითად დავნომრავთ ედგარ პოს „ყორანის“ თექვსმეტმარცვლიან და ექვს-ექვს

სტრიქონიან (ბნკარიან) სტროფს (ა, ბ, გ, დ, ე, ვ), ხოლო სტრიქონის I და II ნახევრებს აღვნიშნავთ ციფრებით 1 და 2 (ე. ი. ა1, ა2; ბ1, ბ2; გ1, გ2; დ1, დ2; ე1, ე2 და ვ), დედნის გარითმვის ედგარ პოსეული სისტემა ასეთი იქნება: ა1 – ა2; ბ2 – დ2, ე2 – ვ; გ1 – გ2; ე. ი. I სტრიქონის I ნახევარი გარითმულია ამავე სტრიქონის II ნახევართან და ა. შ.

კონსტანტინე ჭიჭინაძესთან კი გარითმვის სისტემა ხან მისდევს ედგარ პოსას, ხან კი შორდება. კერძოდ, სურათი ასეთია (I სტროფის მიხედვით): ა1 – ა2 – ბ1; ბ2 – დ2; გ1 – გ2 – დ1; ე2 – ვ. ე. ი. I სტრიქონის I ნახევარი გარითმულია ამავე სტრიქონის II ნახევართან და II სტრიქონის I ნახევართან (გრძელი – მცველი – ძველი); II სტრიქონის II ნახევარი – IV სტრიქონის II ნახევართან (მძიმედ – ვთქვი მე); III სტრიქონის I ნახევარი – ამავე სტრიქონის II ნახევართან და IV სტრიქონის I ნახევართან, როგორც I და II სტრიქონების შემთხვევაში (რული – სრული – გული) და, ბოლოს, V სტრიქონი – VI ნახევარსტრიქონთან (შავად ნაფერი – სხვა არაფერი).

ალბათ უნებლიე შეცდომაა ბაგრატ ბადიდის (ელგუჯა გელენავა) აზრი – თითქოს კონსტანტინე ჭიჭინაძეს გამოეყენებინოს რომელღაც რუსული თარგმანი (ე. ი. რუსულიდან ეთარგმნოს). ჯერ ერთი, „კავკასიონში“ დაბეჭდილ თარგმანს მიწერილი აქვს: „თარგმანი ინგლისურით კონსტანტინე ჭიჭინაძისა“. მეორეც, ცნობილია, რომ მას გამოუყენებია პნკარედი თარგმანი ერეკლე ტატიშვილისა.



ყორანი

თარგმნა ფილიპე ბერიძემ

შუალამისას დაღლილი, ძველ ფოლიანტზე დახრილი,
ვფიქრობდი შენუხებული, მისუსტებული, მდუმარე,
თითქოს კაკუნი მომესმა, უცებ ჩამთვლიმა როდესაც.
დაფეთებულმა თვალები კარებს მივაპყარ უმაღვე,
„ეს სტუმარია, – ვჩურჩულებ, – მოკრძალებული სტუმარი,
სტუმარი, მხოლოდ სტუმარი“.

ო, ცხადად მახსოვს ის ღამე, დეკემბრის ღამე მრისხანე,
ჭერს ნაკვერჩხლების ლანდები ლოკავს და ერთად გროვდება,
ვინატრე დღე და სინათლე, მაგრამ ამოდ ვინატრე,
ვერ განმიქარვეს წიგნებმა ლენორას ბედზე გოდება,
ანგელოსებს რომ უქიათ, იმ კეკლუც ქალზე გოდება,
ან ვილას მოაგონდება?

ამიცახცახა სხეული ფარდის შრიალმა წყეულმა,
ავივსე შიშით, რომელსაც იუცხოებდა მისანიც,
და გულის დასაწყნარებლად ვიმეორებდი კარებთან:
„ვილაც სტუმარი მენვია, ანუხებს რაღაც მიზანი;
ეს სტუმარია კარებთან, ანუხებს რაღაც მიზანი,
ის არი, მხოლოდ ის არი“.

გული იჭვს აღარ ამხელდა, ტანჯული სული გამხნევედა,
ბატონო თუ ქალბატონო, – ვთქვი მორიდებით, ალერსით, –
ვთვლემდი ფურცლებზე დაკრული და თქვენი სუსტი კაკუნი
არ გამიგია, მთვლემარეს სუსტი კაკუნი არ ესმის.
ფართოდ გავაღე კარები, ბოდიშითა და ალერსით.

მხოლოდ ღამეა კარებში!

წყვიდიადში ხმა ვერ დავძარი, შიშმა დამკრა და დამძალია,
რალა მელონა, რა ძლევდა უცხო ფიქრს გულში ჩაფრენილს,
ღუმილი აღარ მოთავდა, ვწრიალებდი და ვშფოთავდი.
ჩურჩულით ვამბობ – „ლენორა“, ჩურჩულით, არგამძაფრებით,
ექომ მესროლა – „ლენორა!“ ჩურჩულით, არგამძაფრებით,
ეს იყო, სხვა არაფერი.

რა მექნა, აღარ ვიცოდი, ცეცხლი მეკიდა, ვინვოდი.
მომესმა მკვეთრი კაკუნი. გული კვლავ შიშმა დარისხა,
იჭვი მიწვევს და მაქეზებს – რალაცა არის სარკმელზე.
ვთქვი – გავიხედავ, ეგების დავმშვიდდე, თავი დავიხსნა,
ეგებ ვიხილო რა არის, დავმშვიდდე, თავი დავიხსნა.

ისმოდა მხოლოდ ქარის ხმა.

დარაბას ვაღებ ჩურჩულით, მოქრის ყორანი ურჯულო,
ლედის თუ ლორდის იერით, კარებზე ურჩად დაფრენით
გამოაცა და ჩამაქრო, საგონებელში ჩამაგდო,
კარების თავზე ჩამოჯდა, ჭვრეტს ღამეს შავად გაფენილს,
დაჯდა პალადის ბიუსტზე, ჭვრეტს ღამეს შავად გაფენილს,
დაჯდა და სხვა არაფერი.

მედიდურობით მაცდუნა და გავილიმე მაცდურად,
ასეთი მკაცრი იერით ფრინველი ვნახე პირველად,

შევძახე: – ოხერტიალო, ღამეში მოხეტიალევ,
პლუტონურ ღამის სივრცეში, ესოდენ გასაკვირველი
რას ნიშნავს შენი სახელი, ესოდენ გასაკვირველი?

„Nevermore!“ – ჩხავის ფრინველი.

ვერას მეტყოდა, მჯეროდა და გამაოცა მსჯელობით,
სიმართლეს ჰგავდა პასუხი, მაინც არ მჯერა ამ სახით –
კაცს, ცოცხალია რომელიც, მარადის ტანჯვა მოელის,
ვერც მხეცი და ვერც ფრინველი, კარებზე მჯდარი, ნაძრახი,
ვერ დამაჯერებს ბიუსტზე ამაყად მჯდარი, ნაძრახი,
და „Nevermore“-ს რომ დამძახის.

უძრავად იჯდა, მაღლიდან მხოლოდ ერთ სიტყვას მახლიდა,
სიტყვას – თან სულს რომ აყოლებს

და მწარე შხამში ასველებს,

ხმაც არ დაუძრავს ურჯულოს, სანამ არ ნავიჩურჩულე:
ვით მეგობრებმა დამტოვეს, ისიც დამტოვებს ასევე,
„ვით იმედებმა დამტოვეს, დილით დამტოვებს ასევე“,
„Nevermore“ – აღარ მასვენებს.

მომნუსხა სწრაფმა პასუხმა, ვიფიქრე, ვის ან რას ვუხმო,
ვთქვი – იგი სიტყვა ძლიერი მას შთააგონა ბატონმა,
რომელსაც ბედი გაუწყრა, სიმღერა ყელში გაუწყდა,
უბედურებამ მისდია, იმედმაც მალე დატოვა,
სიმღერა ყელში გაუწყდა, იმედმაც მალე დატოვა,
Nevermore-მ დაიმარტოვა.

ყორანმა ისევ მაცდუნა, კვლავ გავიღიმე მაცდურად,
შევბრუნდი ბიუსტისაკენ, ღიმილი გავიმეორე,
ვთვლემ სავარძელში ჩაფლული, დაიძრა ფიქრი ზღაპრული –
ამ უშნო ფრინველს საოცარს სანამდე უნდა ვეომო,

დაღრეჯილ ფრინველს საოცარს, სანამდე უნდა ვეომო,
რას ნიშნავს მისი Nevermore.

რა უნდა, რას მედავება, შევშინდი, ენა დამება.

ცეცხლიან თვალებს მანათებს და ლამის სისხლი გამიშრეს,
გული ფიქრს კვლავაც არ იშლის, თავი ჩავფალი ბალიშში.
ლამპის სინათლე ეცემა ხავერდის ზოლებს ბალიშზე,
თმებს ველარ გაშლის ვერასდროს ლენორა ან ამ ბალიშზე.
„Nevermore“ ამას მანიშნებს...

მოჩვენებები მესევა და სული კვამლით მევსება,
საცეცხლურს დინჯად აქნევენ გრძნეული სერაფიმები,
„ლენორა ჩემო!“ – შევძახე, განგება მართმევს შენს სახელს,
დაივინყეო! იმედად გულს ველარ დამეფინები,
დაივინყეო! – დამძახის, გულს ველარ დამეფინები,
„Nevermore“ – ჩხავის, ფრინველი.

მისანო, გადავირევი. დემონი ხარ თუ ფრინველი?
როგორ გავუძლო ამ პასუხს,

ავ სიტყვას გულში მოხვედრილს,
მითხარი, ღმერთი ინამე ამ გაოხრებულ მიწაზე –
საშინელ სახლში, გამოტყედი, როგორ, რა გზებით მოხვედი,
გილედს თუ არი ბალზამი, ჩემთან რა გზებით მოხვედი?
„Nevermore“ – ჩხავის ოხერი.

მისანო, გადავირევი! დემონი ხარ თუ ფრინველი?
ღმერთი ინამე, გიყურებ, თვალები ამოვითხარე,
საიქიოში შემთხვევით ლენორას სულს თუ შევხვდები,
იმ სხივმოსილი ქალის სულს, მითხარი, მალე მითხარი,
ანგელოსები ლენორას რომ ეძახიან – მითხარი,
„Nevermore!“ – ჩხავის მკითხავი.

დე, განშორება მაუნყე, მაგ სიტყვას ღმერთი გაუნყრეს!
პლუტონურ ღამის სივრცეში წადი, ებრძოლე ქარიშხლებს!
შავი ფრთა არ დამიტოვო, უბედურების სიმბოლო!
ჩემი გულიდან ნისკარტი ამოიღე და მანიშნე,
რომ ანი მშვიდად ვიქნები, გულის სიმშვიდე მანიშნე.

„Nevermore!“ – მაინც არ იშლის.

უძრავად ზის და ოცნებობს. „გრძნეულო, ღამის მომცელო,
რა მეშველება, პასუხი კიდევ რომ გაიმეორო“,
ჭერზე ირხევა წყეული აჩრდილი მისი სხეულის,
მან ჩემი სული მონამლა და აღარ ძალმიძს ვეომო,
სული მხდება და ვილევინ, ძალა არ შემწევს ვეომო,
ან გადამიტანს – Nevermore.

* * *

როგორც ჩანს, 1924 წლის შემდეგ 1962 წლამდე „ყორანი“ არ თარგმნილა ქართულად. თითქმის ორმოცწლიანი ინტერვალის შემდეგ იგი ინგლისურიდან თარგმნა მაშინ ახალგაზრდა კრიტიკოსმა და მთარგმნელმა ფილიპე ბერიძემ (1932-1970) და გამოაქვეყნა ჟურნალ „მნათობში“ (1962 წ., № 8, გვ. 117-119). შემდეგ ეს თარგმანი განმეორებით დაიბეჭდა ფილიპე ბერიძის პოეტურ თარგმანთა კრებულში „სამაგიერო“ (თბილისი, „მერანი“, 1987 წ., გვ. 98-101). მასვე უთარგმნია (პირველად ქართულ სინამდვილეში) ედგარ პოს ლექსები „ელდორადო“ და „ულალუმი“ (ჟურნალი „საუნჯე“, № 6, 1977 წ.).


როგორც გაირკვა, ფილიპე ბერიძის თარგმნილი „ყორანი“ რიგით მეხუთეა, ხოლო უშუალოდ ინგლისურიდან თარგმნის თვალსაზრისით – მეორე (კონსტანტინე ჭიჭინაძის შემდეგ). ეს თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოა ყოველმხრივ. განსაკუთრებით შესრულების პოეტური ოსტატობით.

უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელმა „ყორანს“ შეუნარჩუნა ავტორისეული ფორმა, რიტმი, გარითმვის სისტემა, რომელიც

თითქმის სრულებით ემთხვევა დედნისას. თარგმანი საოცრად მუსიკალურია და ძალუმად სუნთქავს ცოცხალი რიტმით. მთელი ლექსი იკითხება ედგარ პოსეული სილალით.

დედანში ყოველი სტროფის მეხუთე და მეექვსე სტრიქონები თავდება ერთნაირი სიტყვებით – შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ფილიპე ბერიძე თარგმანში იცავს ამ ნიუანსსაც. მთარგმნელი უცვლელად ტოვებს ავტორისეულ რეფრენს – „Nevermore“ და არ თარგმნის მას (სხვათა შორის, ასევე მოქცეულან რუსი მთარგმნელებიც – ვ. ჟაბოტინსკი, ვ. ფუოდოროვი და მ. ზინკევიჩი).

ფ. ბერიძემ პირველმა თარგმნა „ყორანი“ თექვსმეტმარცვლიანი შაირით.



ჟორანი

თარგმნა გიორგი გამყრელიძემ

ერთხელ გვიან, გძელი ღამით, შუალამის ბნელი ნამით.
ძველ ბარათებს, ძველ ფოლიანტს

ვშლიდი სევდით დადაგული.

კაეშანი ედო მურად, აღარ ფეთქდა ძველებურად
აღტაცებით, იმედებით, ობლად მყოფი ჩემი გული.
თითქმის ვთვლემდი... როცა წნყარმა,

ყრუ კაკუნმა უეცარმა

შორეულმა, როგორც ზარმა მყუდროება დაარღვია.

ვთქვი თუ: ალბათ მგზავრი არი, აერია ბნელში კვალი,
სურს – გაულო სახლის კარი,

უჩვეულო სტუმარს გვიანს:

სურს, რომ მივსცე ჩემი ჭერი –

სხვა რა არის? არაფერი.

მახსოვს, იდგა დეკემბერი, თავს იქცევდა ქარი მღერით
და სურათებს მრავალ ფერით მიხატავდა ფანტაზია,
პარპალებდა ბუხრის ალი, სევდით ვიყავ განამსჭვალნი,
ვიგონებდი დარდით მთვრალი მე ლენორას, სახემზიანს,
ვისაც ახლა შუქი მოსავს,

ვინც ბრწყინვალეებს ანგელოსად –

ზეცის შუქით შენაფერი,

სხვა რა დამრჩა? – არაფერი.

და შრიალით მძიმე ფარდამ, გულში შიში გამიზარდა,
მომენატრა გაშლილ ვარდად, განთიადი ლალისფერი.
ქარი ახლა მდუმარეა... მაგრამ კართან სტუმარია –
სტუმარია, მე რომ მელის:
სხვა არავინ, არაფერი.

ვფიქრობ: კარებს რომ გავაღებ,
მას ზღურბლიდან გადავძახებ:
„უკაცრავად, რომ ვერ გნახეთ
სწრაფად, მიცდით დიდხანს ვგონებ;
თვალს მპარავდა ძილი მწველი, კაკუნი კი იყო ნელი...
გასაგონად მეტად ძნელი და მიტომ ვერ გავიგონე“.
მაგრამ, კარში ჩემ თვალწინა, არ მოსჩანდა არავინა;
რომ ნდომოდა ჩემი ბინა, რომ მიმელო ჩემს ოთახში.
ვთქვი – რაკუნად მომეჩვენა,
ფარდის შლა და ქარის სტვენა,
ხმელ ფოთლების ხიდან ცვენა,
დეკემბერის ყვითელ ბაღში...
კარში ღამე იდგა ბნელი,
სხვა არ სჩანდა არაფერი.

ისევ უკან შემოვბრუნდი, სულს ბორკავდა შიშის ხუნდი,
ვთქვი თუ, რატომ არის ბრუნდი შუალამის განცდა ასე,
მძაფრად ფეთქდა ჩემი გული,
როს გაისმა კვლავ კაკუნი,
უფრო მძლავრი რამ რაკუნი, ახლა ფანჯრის დარაბაზე.
და შემკრთალი მე ვლულლულეებ,
რადგან კარი ვერ გავუღე
თავის დროზე. ვერ ავუღე ალლო, იმის სურვილს ცხარეს,
ახლა ბედს ცდის ფანჯარაზე, ურახუნებს დარაბაზე,
რომ გავუღებ სახლის კარებს,
ალბათ უცდის გულის ძგერით.
სტუმარია – მე რომ მელის,
სხვა არავინ, არაფერი.

გამოვალე მე ფანჯარა, მეტად სწრაფად, მეტად ჩქარა,
გავიფიქრე: ან კი კმარა – შიში სულის გამოთიშავი...
ვხედავ ყორანს, შავს, ვით გიშერს,

ჩემი მხრისკენ კისერს იშვერს
და ოთახში მოაბიჯებს. შიგ შემოჰყო თავი თვისი.
ამართული დინჯად მოდის,

ამპარტავნად, როგორც ლორდი,
ნისკარტიდან არ ამოდის მადლობა, არც მოსალმება.
თუმც გულს მიკლავს ჩუმი სნება,
მაგრამ მაინც მეციინება.

ის კი კართან მიფრინდება და პალადის ძეგლზე ჯდება.
ვეუბნები ფრინველს წყნარად –

თუ ბრძანდებით – თქვენ სტუმარი,
უნდა უთხრათ სახელ-გვარი
თქვენს მასპინძელს, რომ გიცნობდეს.

თითქოს მიხვდა ის ჩემს სიტყვას
და პასუხად მისგან ითქვა
მხოლოდ ერთადერთი სიტყვა,
სიტყვა ერთი: „არასოდეს...“

გაოცებით მივეც სმენა, ნუთუ ყვავმა იცის ენა?
თუმც ვერ შევძელ აღმოჩენა მის სიტყვაში დიდი გონის,
ეს არ იყო დიდი დავლა, განათლება და არც სწავლა,
ერთი სიტყვა ყორანს ალბათ, ჰქონდა სადღაც განაგონი.
მაგრამ, არის მაინც ძვირი, არ ნახული, გასაკვირი,
რომ ყორანმა უცნაური პასუხით თქვას ასე ჩქარა,
შემთხვევით თქვა, რაც რომ ითქვა,

ყური მოჰკრა ამ ერთ სიყვას
და პასუხად ყოველ კითხვას იმეორებს წარამარა.
და ყორანმა შავი ტანით და თვალებით ცეცხლოვანით,
გულს რომ კვეთდა თითქოს დანით,

კვლავცა მითხრა, ვკითხე ოდეს:
„თუ ამ ქვეყნად ბედს კვლავ ვნახავ,
თუ კვლავ მიზანს დავისახავ“,
მან ყრანტალით შემომძახა – „არასოდეს, არასოდეს“.

და მოილო რეჩხი გულმა, ჯოჯოხეთის მოციქულმა –
მისი სიტყვის აზრმა კრულმა

გული ლახვრით დამიკოდეს,
ვუთხარ: „ხარობ სხვისი დარდით
და მაგ ბასრი ავ ნისკარტით?“
ყორანმა კი სიტყვის სხარტით
შემომჩხავლა – „არასოდეს“.

და ვბუტბუტებ ჩემთვის ნელა:

„თუ მექნება ნეტავ შეველა,
ნეტარებენ სადაც ყველა – სასუფეველს ვპოვებ ოდეს,
სად ლენორა რჩეულ დასში, ქერუბიმობს მრავალ ასში,
თუ მექნება შვება ცაში?“ სთქვა ყორანმა – „არასოდეს“.

ამ პასუხმა გამამწარა და შევსძახე: „ან კი კმარა!
რა ნილი გაქვს, ან რა ჩარა,

შენ ჩემს მოკლულ ობოლ გულთან,
ამოიღე ეგ ნისკარტი,
გულს რომ მიფლეთს მწვავე დარდით
და იქითკენ გადავარდი, საიდანაც მოთრეულხარ.

არ დატოვო აქ ფრთა ბნელი, ვით ნიშანი ბელზებელის,
შენ ქაოსი ისევ გელის, ჯოჯოხეთის მოციქულო,
პლუტონიის ღამე კრული, შვება არის შენთვის სრული.
ყორნებს მუდამ გახარებდათ

დაფლეთილი სხვისი გული“.
მაგრამ იგი კუპრზე შავი და დემონზე ავზე ავი:
უფრო მძიმე, უფრო მწვავი

სიტყვის მანყოფს გულზე ლოდებს,
თითქოს ჩხავის: შენთან ვრჩები, მოვკლა ყველა იმედები,
შენს ბინიდან არ გავქრები „არასოდეს... არასოდეს“.

* * *

„ყორანის“ რიგით მეექვსე ქართული თარგმანი ეკუთვნის გიორგი გამყრელიძეს (1903-1975). ლექსი უშუალოდ ინგლისური ენიდან ითარგმნა და პირველად 1963 წელს გამოქვეყნდა ვაშინგტონში. შემდეგ მისი თარგმანის პირველი სტროფი მკითხველებს გააცნო გურამ შარაძემ (გაზ. „სახალხო განათლება“, 5. 07. 1989 წ.). ბოლოს, გიორგი გამყრელიძისეული თარგმანი სრულად გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ (21. 02. 1990 წ.) როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობით. თავის მხრივ, როსტომ ჩხეიძემ პროფ. ბეჟან ბარდაველიძისგან მიიღო გამყრელიძისეული თარგმანი და მისი გამოქვეყნების ნებართვა.

ვინაიდან გიორგი გამყრელიძის ცხოვრება და შემოქმედება ნაკლებადაა ჩვენში ცნობილი, თავს ნებას ვაძლევ, შედარებით ფართოდ მიმოვიხილო იგი.

გიორგი (გუგული) გამყრელიძე (იგივე გრიგოლ ზოდელი) იყო პოეტი, მთარგმნელი, ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერი, სამთო ინჟინერი და უმშვენიერესი ვაჟკაცი. მისი მამა შავი ქვის მრეწველი იყო ქიათურაში და წარმოება ჰქონდა ქუთაისში. ამდენად, ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. გიორგიმ აქვე დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია, სადაც მასთან ერთად სწავლობდნენ სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტე, ლევან ასათიანი, აკაკი ბელიაშვილი (შემდგომში მისი სიძე – დის ქმარი), დავით გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ ჩაჩავა... გამყრელიძეთა სამკვიდრო გახლდათ სოფელი ზოდი (ქიათურის მახლობლად). პოეტმა სწორედ ამიტომ აირჩია ფსევდონიმად ზოდელი, როცა 1922 წელს გამოსცა საკუთარი ლექსების პირველი პანანინა კრებული სათაურით „დალურსმული ხელები“. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნაკის შესახებ გაზეთ „ტრიბუნაში“ (1922 წ., 28 თებერვალი) დაიბეჭდა არტურ დ'ერჩის (ტიერენტი გრანელის) დადებითი რეცენზია. შემდეგში, უკვე საზღვარგარეთ, გიორგის ლექსებს გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძე და პოეტს ნაკლად ჩაუთვალა რიტორიკულობა.

გიორგი გამყრელიძის შესახებ საინტერესო მასალები გამოაქვეყნეს გრიგოლ ნოზაძემ (ყ. „კავკასიონი“, პარიზი, 1976 წ., XVIII ნომერი, გვ. 91-92, ნეკროგლოგის სახით), პროფ. ბეჟან ბარ-

დაველიძემ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 25. 08. 1989 წ., ბიოგრაფია და შემოქმედების მიმოხილვა).

გიორგი გამყრელიძე თორმეტი წლის ასაკიდან წერდა ლექსებსა და მოთხრობებს, გიმნაზიაში რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალს („ბალდადის წეროები“), იყო „ცისფერყანწელთა“ ტრფი-ალი და პაოლო იაშვილის ღვიძლი ბიძაშვილი.

1923 წელს გიორგი სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიაში. დაამთავრა მიუნხენის უნივერსიტეტის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტი. მიუნხენშივე ცხოვრობდა 1937 წლამდე და იქვე შეირთო გერმანელი ქალი (ვალი). შემდეგ მუშაობდა ინჟინრად ჩეხოსლოვაკიასა და აშშ-ში. აქ იგი ცხოვრობდა ჯერ დალასში, შემდეგ კი - ვაშინგტონში, სადაც დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში. აქვე კითხულობდა ლექციებს ლიტერატურის დარგში, მუშაობდა თბილისოთეკაში - აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში. 1972 წელს მეუღლი-თურთ დაბრუნდა გერმანიაში და გარდაიცვალა მიუნხენში.

გიორგი გამყრელიძეს ახლო ურთიერთობა და მიმონერა ჰქონდა ემიგრანტ ქართველებთან - გრიგოლ რობაქიძესთან, მიხაკო წერეთელთან, კიტა ჩხენკელთან, გიორგი ყიფიანთან, ვიკტორ ნოზაძესთან, ნინო და კალისტრატე სალიებთან...

გიორგის სურდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ოცდაათიანი წლების სასტიკი რეპრესიების გამო (ორი ბიძა დაუხვრიტეს) ვერ აისრულა წადილი.

გიორგი გამყრელიძის კრებულები ცალკე წიგნებად გამოდიოდა ნიუ იორკში, ვაშინგტონში (1963 წ.), სანტიაგო დე ჩილეში (1960 წ.), ხოლო ლექსები ქვეყნდებოდა უცხოეთის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში - „კრებული“, „კავკასიონი“, „ქართველი ერი“, „ბედი ქართლისა“, „ქართული აზრი“... საინტერესოა გიორგი გამყრელიძის თეორიული ნაშრომი მხატვრული თარგმანის შესახებ.

1963 წელს გიორგი გამყრელიძეს ვაშინგტონში გამოუცია კრებული სახელწოდებით „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“, სადაც დაბეჭდილია 25 ორიგინალური და 15 თარგმნილი ლექსი. აგრეთვე, ნარკვევები ორნითოლოგიაში (ფრინველთა დაცვა). სწორედ ამ კრებულში შეიტანა მან ედგარ

პოს „ყორანის“ მისეული თარგმანი. საინტერესოა, რომ აღნიშნული ნიგნის რედაქტორ-გამომცემელი, ასოთამწყობი, ავტორი და კორექტორიც კი თვითონ ყოფილა.

გიორგი გამყრელიძეს თარგმნილი აქვს ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის – გოეთეს „ფაუსტი“. გიორგის ბრწყინვალედ სცოდნია გერმანული, ინგლისური, ფრანგული და თითქმის ყველა სლავური ენა.

გიორგი გამყრელიძისეული „ყორანი“ თარგმნილია თექვსმეტმარცვლიანი ლექსით (დედნის შესაბამისად), მაგრამ დარღვეულია სტროფების რაოდენობა და სტრიქონთა რიცხვი თვით სტროფში. ერთადერთია მეორე სტროფი, სადაც დაცულია ექვსსტრიქონიანი კუპლეტი, თუმცა ბოლო სტრიქონი რვა მარცვლიანი კი არ არის, არამედ გატეხილი 16-მარცვლიანი სტრიქონი გართიმული 8-8-მარცვლიან ბნკარად. გართიმვის სისტემაც განსხვავებულია დედნისგან და II სტროფის მაგალითით ასე გამოიყურება: ა1 – ა2 – ბ1 (დეკემბერი – ქარი მღერის – მრავალ ფერით); ბ2 – დ2 (ფანტაზია – სახემზიანს); გ1 – გ2, დ1 (ბუხრის ალი – განამსჭვალე – დარდით მთვრალი); ე1 – ე2 (შუქი მოსავს – ანგელოსათ); ვ1 – ვ2 (შენაფერი – არაფერი).

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი ზოგჯერ სცილდება ორიგინალს და ახასიათებს გაუმართლებელი მრავალსიტყვაობა, გამოირჩევა მკვეთრი რიტმით და სასიამოვნოდ იკითხება.



ჟორანი

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ერთხელ, ზამთარში, უამურ ღამით,
ჩემთვის, როდესაც გარდასულ ჟამის
სქელ ფოლიანტებს ვუჯექ და ღამის
დავოსდი ძველი სიბრძნის წკვარამით,
წამთვლიმა წამით და უმრუმესი
ღამის დუმილში და სიჩუმეში
ნათლად გაისმა კარზე უეცრივ
კაკუნი ფრთხილი და შემპარავი.
აღბათ სტუმარი მენვია-მეთქი,
ჰო, ვილაც ფრთხილი და შემპარავი,
მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ.

ის ღამე ახლაც მახსოვს თვალნათლივ:
მინავლულ ცეცხლზე უხმო ფარფატიტ
ვით ეყრებოდა ლანდი პალატის იატაკსა და ჭერს უთვალავი,
დილა ვინატრე გულდანყვეტილმა,
რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან
ისეთი რამე ამომეკითხა, ვინძლო ჩამეკლა გულში ვარამი.
მე ხომ მიყვარდა მარტოდენ ლენორ –
ის იყო ჩემი გულის ვარამი.
მარტოდენ ლენორ და სხვა არავინ.

უცებ ატლასის ფრია ფარდებმა –

მენამულ ღრუბლის ორმა ფარტენმა –
ლანდებთან იწყო აფარფატება

და უმაღლესი აზრი მარადი:
კაცს ღამით თრგუნავს შიში მეტნილად. –

ალბთ სტუმარი-მეთქი მენვია, –
გავიმეორე, რომ დამეძლია გაურკვეველობის შიში მზარავი,
გავიმეორე, სულანენილმა, რომ დამეძლია შიში მზარავი,
სტუმარი-მეთქი და სხვა არავინ.

ძალა მომეცა, შიშით ნატორი

გულიც აჩქროლდა და სულ სხვა ტონით
ვთქვი: ბატონი ხართ, თუ ქალბატონი,
უნდა შემინდოთ, რომ შესაფერი
არა ვარ თქვენი მე მასპინძელი –
დალღილი მხოლოდ წამით მივწევი
და ვერ გავიგე ხმა, გეფიცებით –
სქელია კარიც და დარაბებიც:
მხოლოდ წყვდიადი, სხვა არაფერი.

ვიდექ შემკრთალი და ვუყურებდი:

ოდენ წყვდიადი და უკუნეთი,
ბოლოს შევეჭვდი: განათუ-მეთქი
მართლა გაცოცხლდა სული ზღაპრების?
შემომეხვია ფიქრი მუმლივით,
ვერ მოვითმინე და ეს დუმილი
და მდუმარება ათას მუმლის მე დავარღვიე ერთი სახელით,
„ლენორ“ – წყვდიადში ნავიჩურჩულე
ჩემთვის ძვირფასი ერთი სახელი,
მარტოდენ „ლენორ“, სხვა არაფერი.

ბოლოს შევბრუნდი შინ გულნაკლული,
რომ დამეთრგუნა მანიაკური
აზრი და ისევ ატყდა კაკუნი
უფრო ძალუმად და გამძაფრებით.
– არა, ფიცი და მტკიცე რად მინდა.
– ვთქვი, – სტუმარია-მეთქი ნამდვილად,
წელან მეხუმრა და მომატყვილა,
შორს მისტიკა და შორს არაკები! –
დასტურ მაშინვე გავაღე კარი –
შორს მისტიკა და შორს არაკები! –
მარტოდენ ქარი, სხვა არაფერი.

და უცებ ქუში, როგორც ყომრალი,
შემოდის ფრთების გაუგონარი
ტლაშუნით დიდი, შავი ყორანი,
ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი,
ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის, ვით სეფე-კაცი ანთუ თავადი
გულგოროზი და ამპარტავანი
დაახტა ბიუსტს, როგორც ქვაფენილს,
ათინას ლამაზ ბიუსტზე დახტა,
ზედ დააფრინდა, როგორც ქვაფენილს,
დახტა და ვითომ აქ არაფერი.

ფრინველმა თავის გონჯი მიმიკით
შემცბარს დამტყუა მალე ღიმილი
და ისე გაქრა ის სიმძიმისი,
თითქოს ყველაფერს ყავლი გასვლოდეს,
ვკითხე: რა გქვია, რას გინოდებენ
კეთილის მამბრძოლს და მათებებელს
იქ, წარწყმედილნი სადაც ჰგოდებენ
და უნასები სად უნასობენ?!

ვკითხე: ავბედითს რას გინოდებენ იქ,
უნასები სად უნასობენ?
ხოლო ყორანმა: „ალარასოდეს“.

მართალი გითხრათ, დია განვცვიფრდი,
მოჩვენება რომ ბჭობდა კაცივით,
მაგრამ ვერაფრით ჩაენვდი მაცილის
სიტყვას, გაჩხრეკილს ბოლო ასომდე;
განა სად ხდება ღმერთის გარეშე,
რომ შუალამით რაღაც მირაჟი
გამოგეცხადოს უცებ ბინაში,
ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს,
ყორანი იყოს, გინდა მირაჟი,
ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს
და თანაც ერქვას „ალარასოდეს?“

ეს ერთი სიტყვა იყო ყორანის
აღბათ გული და სული მყოვარი,
განძი რამ სისხლით მონაპოვარი
და შეგდებული ბედის სასწორზე,
რაკი მის გარდა არრას ამბობდა,
ბოლო მე თვითონ ვარქვი ამბოკარს,
რომ ჩემს სახლს ბევრი მდგმური ამკობდა
და დღეს – კი ჭვრეტენ ცის დარბაზონებს,
სულ მალე-მეთქი შენც მიმატოვებ,
შენც მიაშურებ ცის დარბაზონებს,
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ეს სიტყვა-მეთქი ჩემმა ხიზანმა გაიგო აღბათ ვილაცისაგან,
ვინც დაიღალა და დაიზაფრა,
უთუოდ მისგან უნდა ახსოვდეს,

რკინის ჯოხით და რკინის კვერთხა
ვისაც მსახვარი ბედი დევნიდა,
ვისაც გადახდა ჭირი ბევრი და
ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,
ვინც წუთისოფლის მოჰკლა ამბოხმა
და ახლობლებმაც აღარ დაზოგეს,
ვინც სულ ამბობდა: „აღარასოდეს“.

მან ისევ შემკრა ჯადო-თილისმით,
ისევ გამიწყდა ფიქრის გვირისტი.
უნდა ჩამოვჯდე ყორნის პირისპირ,
იქნებ მივუხვდე ოინბაზობებს,
უნდა გავიგო, ასე უგვანი სახე აღსავსე ოდენ მუქარით
და ეს უნდო და ურცხვი გუგანი
დამცინიან თუ მითანაგრძობენ,
ღიახ, ეს ურცხვი და ეს წუნკალი
თვალეები იქნებ მითანაგრძნობენ
ცივი ყრანტალით „აღარასოდეს?!“

სიტყვა არ მითქვამს იმ ექიდნისთვის,
ჩემთვის ქარაგმულ რიცხვებს ვითვლიდი
და რბილ ხავერდზე ნალდი მკვიდრივით
ვიჯექი, როგორც მწვანე გაზონზე.
კიდევ კარგი, რომ გველის ნაშიერთ –
ასეთ ბოროტ და ასე საშინელ
სტუმრებს დარბაზში თუ წინკარშივე
რბილ სკამ-ლოგინებს არ სთავაზობენ,
კიდევ კარგი, რომ ამ უმსგავსოებს
ასეთ სავარძელს არ სთავაზობენ
და არც ღირსჰყოფენ აღარასოდეს.

ლურჯად აცურდნენ უცებ საგნები,
თითქოს უბინო და უზაკველი
ხელით ნაკმევი ამო საკმევლის
სურნელი ეცათ ბერ-მონაზონებს.
ვთქვი: უკეთურო, ჰა, სერაფიმმა
ნელსურნელება მით მოაფინა,
რომ დაივიწყო ის უნაპირო სევდა, სახელში რაც ჩააქსოვე,
დასძლიო ჭმუნვა, იმ უძვირფასეს
სახელში „ლენორ“ რომ ჩააქსოვე.
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ისევ ავლელდი: ბილწო ხიზანო,
იქნებ მაცდურო თუ გულთმისანო,
მე შენი თავი ვინ მომიგზავნა,
ვინ დაგაცილა ბნელ დარბაზონებს?
– ჭირში ნიადაგ იმედს მიველტვით,
მეც ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ ერთი,
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით,
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდობ,
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ ერთი
იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდობ?
ხოლო მან ბრძანა: „ალარასოდეს“.

ვთქვი: მოწყალება ერთხელ მოიღე,
გაფიცებ უფალს, არსთა მორიგეს,
რომელს მდაბლად ვცემთ თაყვანს ორივე
და ყრმობიდანვე დაგვამახსოვრეს,
მარქვი, თუ ჩემი სული ხანდახან
მისწვდება ლენორს გარსთა გადაღმა
და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადალავს,
მინას რომ ცასთან ათანასწორებს,

თუ სიყვარულის ცეცხლით დადაღავს,
სხეულს რომ სულთან ათანასწორებს?
ყორანმა ბრძანა: „აღარასოდეს“.

მაშინ, ბოროტო სულო, გამცილდი,
კვლავ გვაშორებდეს დრო და მანძილი
და დაუბრუნდი ისევ მაცილის კარს, უნასები სად უნასობენ,
აღილე შენი შავი ნისკარტი,
გულს უმონყალოდ რომ მისისხლავდი
და განერიდე მიწყვიცი სიცხადეს,
ზღვარს და სიზმარეთს მიესასოვე.
განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი
და სიზმარეულს მიესასოვე,
ხოლო ყორანმა: „აღარასოდეს“.

და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,
როგორც ცივი და ქუში ყომრალი,
ზის დემონივით შავი ყორანი,
მძორი მეტყველი და მოაზროვნე
და ჩემი სული მისი ლანდისგან,
სულ რომ იზრდება თვალწინ თანდისთან,
ღამის მრუმეში რომ გადადის და
ავაზასავით წევს და აზმორებს,
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან
ავაზასავით რომ გააზმორებს,
არ განიყოფა აღარასოდეს.

* * *

ედგარ პოს „ყორანის“ მომდევნო, რიგით მეშვიდე, თარგ-
მანი ეკუთვნის გიორგი ნიშნიანიძეს (1935-1998), რომელიც
სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ ენასა და თარგმნის ხე-

ლოვნებას. მან წლების მანძილზე ოსტატურად თარგმნა ინგლისური ხალხური ლექსები და ბალადები, აგრეთვე, ინგლისელ და ამერიკელ პოეტთა ქმნილებები და მათ თავი მოუყარა კრებულში „ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია“ (თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.).

„ყორანიც“ უშუალოდ ინგლისურიდანაა თარგმნილი. იგი სამჯერ გამოქვეყნდა: პირველად ჟურნალ „საუნჯეში“ (1980 წ., № 6, გვ. 113-116); მეორედ – ზემოხსენებულ „მცირე ანთოლოგიაში“ (გვ. 200-206), მესამედ – გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ (1999 წ., 21-28 მაისი, გვ. 15).

გიორგი ნიშნიანიძისეული „ყორანი“ თარგმნილია ოცმარცვლიანი ლექსით, თუმცა „მცირე ანთოლოგიაში“ დაბეჭდილია ათმარცვლიანი სტრიქონების სახითაც. თარგმანში დაცულია სტროფში პნკართა (6), სტროფთა (18) და მთლიანად ლექსის სტრიქონთა (108) რაოდენობა. თარგმანის რიტმი მღელვარეა, ხოლო გარითმების სისტემა ძლიერ უახლოვდება ავტორისას (ა1 – ა2, ბ1; ბ2 – დ2, ე2, ვ; გ1 – გ2).

თარგმანის ტექსტი გამოირჩევა მდიდარი პოეტური ფანტაზიითა და ლექსიკის მრავალფეროვნებით. ენობრივი ქსოვილი ხშირად გაჯერებულია XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი მასალით (უმრუმესი, განათუ, ყომრალი, ანთუ, მყოვარი, მაცილი, უნასი, მარქვი, ამბოკარი, ოდენ, ნაკმევი, ამო, ჭმუნვა, აღიღე, მათებელი, ღირსჰყოფენ და სხვა), რაც მეტად ბუნებრივია და სასურველი.

გიორგი ნიშნიანიძის თქმით, ედგარ ალან პომ „ფორმისა და ტექნიკის თვალსაზრისით დაუძლეველ სიმალღეებზე ატყორცნა ამერიკული ლექსი“. ამიტომ იგი ცდილობდა საკუთარი თარგმანითაც ეგრძნობინებინა მკითხველისთვის ეს დაუძლეველი სიმალღე და აღწევდა კიდევ სანაადელს. მისი თარგმნილი „ყორანი“ ერთ-ერთი საუკეთესოა.

ყორანი

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

ღამის ნყვდიადში, როცა ვიყავ ქანცმილეული,
ფოლიანტებში თავჩარგული, სიბრძნედ ქცეული,
როცა დუმილმა დამიხელთა რულმორეული,
უცებ კაკუნი სევდით მოცულს მომესმა წყნარად,
ჩავიჩურჩულე: „სტუმარი თუ მომადგა კარად“, –
ეს იყო, სხვა რამ – არა და არა!

ეჰ, ახლაც მახსოვს: მდუმარება, ცივი ზამთარი,
უცხო ჩრდილები, ცრიატ ცეცხლის სხივი დამცხრალი,
ვერც დილის ნატვრამ ამოავსო ღამის ნაპრალი,
ან წიგნის ფურცლებს როგორ ძალუძთ, რომ შეაჩერონ
და იმ მშვენიების სიყვარული გულს გაუნელონ,
რომელსაც ხმობენ სახელით – ლენორ!

ძონისფერ ფარდის შემომესმა ჩუმი შრიალი,
ინყეს ლანდებმა კვლავ ლაციცი და ნონიალი,
ვიმეორებდი, რომ ჩამეხშო სულის წრიალი:
„ალბათ ვიღაცა სტუმარია, სხვა ფიქრი კმარა,
შემოსვლას ითხოვს ჩემს ოთახში, გაურბის წკვარამს“.
ეს იყო, სხვა რამ – არა და არა!

და შიშმორეულს უცაბედად მომეცა ძალი,
ვთქვი: „მაპატიე, ვინც ბრძანდები, კაცი თუ ქალი,
შენს ფრთხილ კაკუნზე წამიერად მივლულე თვალი,
ხმა ძლივს გავიგე, მძიმე განცდით გულდანასერი
კვლავ გონს მოვეგე...“ და კარები წყნარად გავხსენი,
ოდენ სიბნელე, სხვა არაფერი.

ჩემ წინ გადიხსნა უკუნეთი, ყრუ, ღამეული
და მღრღნიდა ეჭვი უჩვეულო, სიზმარეული,
იყო დუმილი დაურღვევი, რაღაც გრძნეული,
მხოლოდ ჩურჩულმა ერთი სიტყვა აანთო კვარად,
„ლენორ!“ – წყვდიადში ექოსავით განიბნა ქარად,
მარტოდენ „ლენორ“, სხვა სიტყვა – არა!

შინ შევტრიალდი ფუჭ ხილვებზე ნანადირევი,
ისევ კაკუნი, უფრო მძაფრად და დაჟინებით,
ვთქვი: „ფანჯარასთან ვილაცაა დანამდვილებით!
მინდა, ამოვხსნა საიდუმლო, რომელიც მზარავს,
მხოლოდლა მისი ამოცნობით მოვიხსნი ვარამს“.
ქარია, სხვა რამ – არა და არა!

გავხსენ დარაბა. წარსულ დღეთა ნაამბორალი
ფრთების ფათქუნით შემოიჭრა დიდი ყორანი
და არკი იწყო მორიდებით ირგვლივ ქროლვანი,
ათინას ბიუსტს, მალალ გვამთა რიხით ნაფერი,
ზედ დააფრინდა და ჩაბლუჯა ნაალაფევი,
დააფრინდა და სხვა არაფერი.

მერე ღიმილით შემიცვალა ღრმად მოწყენილი
სახე ფრთოსანმა, რომ მზაფრავდა ლანდად შთენილი,
ვარქვი: „არ მჯერა, საიდანაც ხან მოფრენილი,
ის საიქიო საბრძანისი რომ არ გახსოვდეს,

რას გინოდებდნენ,

მკვდრის სულები სადაც დაძრწოდნენ?
და თქვა ყორანმა „ალარასოდეს!“

ეს მისი სიტყვა ჩემთვის იყო გასაკვირველი,
თუმც აუხსნელი, მისებრ ბნელი, გულის მყინველი,
ან მოკვდავთაგან ვის უნახავს, როსმე ფრინველი
შინ შემოეჭრას, რაგინდ კარი გადარაზოდეს,
კუპრივით ფრთებით მოქათქათე ქანდაკს დაჰკროდეს,
თანაც სახელით – „ალარასოდეს!“

მაგრამ ყორანმა, ბიუსტზე რომ იჯდა ეულად,
ეს ერთი სიტყვა ამოღვარა გულსისხლეულად,
ბოლოს მიყუჩდა, თვით ბუმბულიც არ შერხეულა,
ვთქვი: „მეგობართა ცად წარვლენა ნეტავ კმაროდეს,
შენც მიმატოვებ, რომ სულ მალე მალლა დაქროდე!“
და თქვა ფრთოსანმა: „ალარასოდეს!“

ეს სიტყვა იყო ვილაც სხვისგან წამოცდენილი,
აღბათ, ბედკრულის ბაგეთაგან წარმოდენილი,
ვინც სანუთროსგან იყო მიწყვიტ ტანჯულ-დევენილი,
ვისაც წამების შხამ-სამსალა გადაანოდეს,
ვისი სიმღერაც იმ მგლოვარი ჰანგით დაკოდეს,
რომელსაც ერქვა: „ალარასოდეს!“

რაჟამს ღიმილი საოცარი კვლავ დამეწვია,
დავჯექე ყორნის წინ, საიდუმლო რომ წამერთმია
და ჩავიძირე ხავერდსა და ფიქრში ერთიან,
ეს რაოდენგზის გადმომჩხავის, ან რას აბოდებს,
მიქადის რამეს ყიამყრალი თუ თავს მაცოდებს
ავი ყრანტალით: „ალარასოდეს!“

ხმა არ გავეცი, არ გავუხსენ გულის კარები
ფრინველს შაოსანს, გადმომზირალს კუშტი თვალებით,
ვიჯექ ხავერდზე გამოუცნობ იდუმალებით,
ლამპის სხივები ზედ იისფერ ზოლებს აქსოვდნენ,
იმ ცივ ჩრდილებში რაგინდ შუქი დათამამობდეს,
მას ჰქვია მხოლოდ „ალარასოდეს!“

თითქოს განიხვნა უცებ ლურჯად ზეცის სარკმელი
და სერაფიმმა მოაფრქვია ამო საკმელი,
ვთქვი: „უბედურო, ღვთით გებოძა სევდის საშველი,
სახელი „ლენორ“ რომ შენს ბაგეს აღარ აღმოხდეს,
გადაივინყე, შენს ხსოვნაში რომ არ სახლობდეს!“
და თქვა ყორანმა: „ალარასოდეს!“

ვუთხარი: „ვინ ხარ, მრუმე ნისლად ჩამონოლილი,
გულთამხილავი თუ ბოროტი სული ლტოლვილი,
უკაცრიეთის მაცდურისგან გადმოსროლილი,
სადაც ყოველი მიწის პირთან გათანანსორდეს,
ბჟუტავს იმედი, სულ მცირედი, რომ არ დამშორდეს?“
და თქვა ყორანმა: „ალარასოდეს!“

„გულთამხილავო, ამ ბნელ ღამით აქ რომ დაეშვი,
ღმერთს ნუ შესცდოდავ,
მარქვი, შთანთქმულს სიმნუხარეში,
რომ დავიმკვიდრებ სასუფეველს იმ გრძელ მხარეში,
ვინძლო ჩემ გვერდით
წმინდა ლენორ კვლავაც ნათობდეს
და ჩემი სული ლენორს წმინდას გადაჯაჭვოდეს!“
და თქვა ყორანმა: „ალარასოდეს!“

„მაშინ გამშორდი, ავი სული რომ ხარ მყოვარი,
ისევ ბნელეთში ჰპოვე ბუდე თუ საცხოვარი,

შავი ბუმბულიც არ დატოვო – ცრუ სახსოვარი,
მე მინდა, ოდენ მარტოობის სევდა მათოვდეს,
შორს ეუ ნისკარტი, რომ ჩემს გულში აღარ ასობდე!“
და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

კვლავ ზის ყორანი – მიღმიეთის შავი წერტილი,
ლამის ნაფლეთი, შუქჩამქრალი და ჩაშრეტილი,
როგორც დემონი, მღუმარივით, ზე ასვეტილი,
მის ლანდს სხივები კვლავ გველივით, დაბლა აცოცებს,
ამ ლანდს შეერწყა ჩემი სული, ამ ლანდს მარტოდენ,
არ განვიყოფით აღარასოდეს!

* * *

სტეფანე მხარგრძელის თარგმნილი „ყორანი“ რიგით მერვეა. თარგმანი განყობილია თოთხმეტმარცვლიანი ლექსით, შედგება ექვს-ექვსსტრიქონიანი სტროფებისაგან, ოლონდ, მეექვსე სტრიქონი ათმარცვლიანია (მოსალოდნელი შეიდმარცვლიანის ნაცვლად – როგორც ნახევარსტრიქონი). თარგმანში დაცულია დედნის სტროფთა და სტრიქონთა რაოდენობა. გართმვის სისტემა არ ემთხვევა ავტორისას. ერთმანეთთან გართმულია, ერთი მხრივ, I, II, III სტრიქონები და, მეორე მხრივ, IV, V, VI. თარგმანი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ნიგნის სამყაროში“ (22 აგვისტო, 1984 წ.), შემდეგ – ჟურნალ „საუნჯეში“ (№ 3-4, 1996 წ.), მესამედ კი – „მწერლის გაზეთში“ (12-18 დეკემბერი, 2002 წ., № 40, გვ. 10). უკანასკნელი თარგმანი საფუძვლიანად გადამუშავებულია და სწორედ ამიტომ გადაწყდა მისი შეტანა ჩვენს კრებულში. თარგმანები შესრულებულია ინგლისური ენიდან.

ყორანი

თარგმნა ჯემალ ინჯიამ

ფიქრებისგან დამძიმებულს, შუალამით ჩაძინებულს
(რომ ვეძებდი ერთ უძველეს ფოლიანტზე ახალ საზრდოს),
გამელვიდა ხმაურისგან, თითქოს რალაც ხმა ურიცხვად
კარს დაატყდა, გაურისხდა. სტუმარი თუ დაკალმასობს, –
ეს ვიფიქრე. უეჭველად სტუმარი თუ დაკალმასობს, –
ეს ვიფიქრე, კარგად მახსოვს.

ვგონებ, იდგა ადრიანი დეკემბერი, ავდრიანი,
ჩემი, უხმო, ნატვრიანი, რომ ლინორი არ მღალატობს –
შთამაგონონ იმ წიგნებმა, მიგალობონ მისი ქება,
უკვე ედემს ვინც იქნება, ო, ლინორი ამხანადო,
ანგელოზთან არის ედემს. ო, სადა ხარ ამხანადო,
მეგობარო, ამხანაგო?!

აბრეშუმის შარიშურმა სუნთქვა ლამის ჩამიჩუმა,
გეგონება, საშინელი გრძნობა რომ სულს დაღარავსო.
ჩემი თავის სიმხნევისთვის ხმამაღლა ვთქვი: იქ მე მიცდის
სტუმარი და წიგნებს მიწვდის, გამოსული საკალმასოდ.
ჩანს, გვიანი სტუმარია, გამოსული საკალმასოდ. –
ხმამაღლა ვთქვი, კარგად მახსოვს.

ვძლიე შიში, ოლონდ მახსოვს –

გავეგებე, როგორც ნაცნობს,
ბატონო თუ ქალბატონო, რაღა უნდა დავამატო,
მონყენისგან დამძიმებულს, ერთ ეტრატზე ჩაძინებულს

არ მსმენია. კაცი მეფურ ძილში როცა დანავარდობს,
სუსტ კაკუნზე ვერ იღვიძებს. კარს ვხსნი.

ქარი დანავარდობს –

აქ არავინ არა ვართო.

არვინ არის, წყვდიადს გარდა. შევრჩი იმის დიად ფარდას
იმ ოცნებით, რაც არავის სიზმრებია, რა განვმარტო?
რა ამოდ მოველოდი, გულს მომხსნოდა რომ მე ლოდი.
გავშირი მოულოდნელობით,

ვთქვი „ლინორი“ და ვარ მარტო.

„ლინორი“ თქვა ხმის ექომაც,

მას მახსენებს და ვარ მარტო.

მახსენებს, რომ დამამადლოს.

მწუხარებით არეულმა მივატოვე არე უმაღ,
გულისძგერით შემოვბრუნდი, კარი უნდა გადავრაზო.
უცებ ისევ კაკუნის ხმა შემომესმა და გულისთქმა
მკარნახობს, რომ გაგულისდა

ქარი, ცდილობს გადავლასო.

შენი სახლის ეზო-კარზე ქარი ცდილობს გადავლასო.

მე არ ვიცი, რადა ვბრაზობ.

გამოვალე დარაბები, არ მოჩანდა არაფერი.

შინ ყორანი შემოფრინდა, რალა უნდა გადავრაზო?

მოსალმება რალად უღირს,

თალხი ფრთები, თლახათლუხით

შემოფრინდა ლალად რუხი, მედიდურად, კარგად მახსოვს –

ზედ ათენას ქანდაკებას დააჯდა და კარგად მახსოვს –

თავი კარზე მალლა დასდო.

და ვფხიზლდები დარდისაგან,

პირზე ღიმილს გარდვისახავ.

თან შევცქერი ამაყ ფრინველს,

თვალს რომ ასე ლალად მასობს.

ვეუბნები ამ ყიამყრალს (ზრდილობაში არკი ამყვა) –
რომ მოანყდი ამ ღია კარს, რა გქვია შენ, აღარ გახსოვს?
თქვი, პლუტონის შავ ნყვდიადში,

რა გქვია შენ. აღარ გახსოვს?
დაიჩხავლა: „აღარასდროს“.

ტანში გამცრა ამ ჩხავიღმა, საძაგელმა, ანჩხლმა, იმან
სულ უაზროდ მიპასუხა. როგორ უნდა გავამართლო?
აღბათ ყველა მეთახმება. ამბავი, რაც ჩემთან ხდება,
სინამდვილეს ვერ თანხვდება,

რომ ყორანი ამღამ არ თმობს
კარზე მაღლა ქანდაკებას. ეს ყორანი ამღამ არ თმობს,
მეტსახელად „აღარასდროს“.

ათენაზე ყორანი ზის. სახლში ყორნის ყოლა მიძიძის.
სურს, რომ სული დააღვაროს

ღამის სივრცეს და გადასდოს.
და ზის ნისკარტმოკაკული,
ვერც მის შრიალს მოვკარ ყური.
ჩუმაღ ვამბობ, რომ ხვალ კრული
გამეცლება, აქ რა დასტოვს.
როგორც ერთ დროს მეგობრები
გამეცალნენ, აქ რა დასტოვს.
მან დამჩხავლა: „აღარასდროს“.

ამნაირ ზუსტ პასუხზე მე უცხო სტუმარს რას ვუხსენებ?
ეს ყორანი, ცხადი არის, იმეორებს სათანადოდ
თავისივე პატრონისას, ბედისწერა მარტო ვისაც
ერგო კრუღვის და ლტოღვისა

და ვისაც სულს სატანა სთხოვს.
სასაფლაოს ზარი ესმის მას, ვისაც სულს სატანა სთხოვს,
ამ სიტყვაში: „აღარასდროს“.

როგორც ნელან, გამოვფხიზლდი
(სმენად ვიქეც გაღობისთვის),

მივიწიე სავარძელი, სახლს ყორანი რახან არ თმობს.
ვთქვი, რომ მკაცრად მივიხედავ,

– კუშტი სახე მივიღე და
ნეტავ გონი მიმიხვედრა –
რას მიქადის, რა ლალას მთხოვს,
ავყია და ავბედი თი ეს ყორანი რა ლალას მთხოვს,
რომ დამჩხავის: „ალარასდროს?“

გამომიჩნდა სადარდელი – ყორანს ველარსადა ვდეენი.
ჩამაშტერა მზერა. საქმე გამიხადა არსამასხროდ.
მკრთალმა შუქმა მონისლულმა დამავინყა, ო, ის ურვა
და ბალიში მოისურვა ჩემმა თავმა. დალლა მახსოვს.
ლინორის თავს ვერ ვიხილავ ამ ბალიშზე. დალლა მახსოვს
და ჩხავილი: „ალარასდროს“.

აღარ ვიცი, რად ვისუნთქავ ჩემს ოთახში ნატისუსალს.
სერაფიმთა მობრძანება შევიგრძენი აქ, ამ ახლოს.
თავს შევძახე – ლინორისგან განკურნებად კი მოგიძღვნა
ღმერთმა შხამი, – ღვინო გისვამს,
რომ ტანჯვაზე აგამაღლოს!
სვი ეგ შხამი, რომ ლინორის დავინყებამ აგამაღლოს.
ქუხს ყორანი: „ალარასდროს“.

კვლავ შევძახე: შე ავსულო, აქ რა უნდა შეასრულო?!
ჯოჯოხეთმა გამოგგზავნა, თუ ეშმაკმა სადარბაზოდ,
რომ ჩემს ჭერქვეშ მოკალათდი,
როგორც ლანდი მოლალატის?!
მიპასუხე, დროლა გადის – გალაათში რამ დამასწროს
იმ ბალზამის მოპოვება, მე რომ მიხსნის, რამ დამასწროს?
რეკს ყორანი: „ალარასდროს“.

მე შევძახე: ყორანი ხარ, თუ დემონი, რომ არ მიხვალ?!
თუკი ღმერთმა ცა დაგვხურა,
უსატრფოოდ სადღა გავძლო?

თუ შეხვდება, მითხარ, სული,

ვის ხსოვნასაც დიდხანს ვუვლი,
იქ, ედემში მზის ასულის, ანგელოზთა საპატარძლოს
სულს, ლინორს რომ ეძახიან, უსპეტაკეს საპატარძლოს.
მან დამჩხავლა: „ალარასდროს“.

ემაგ შენს ხმამალ სიტყვას თან გაჰყევი, რახანც ითქვა.
ჯანდაბამდის გზა გქონია ეშმაკის ფეხს და თანასწორს.
ერთ ბუმბულსაც ნუ დამიგდებ,

როგორც ნიშანს – მურდალი დღე
რომ მახსოვდეს. უნდა ვიდგე ფეხზე, უნდა დაგამარცხო!
ქანდაკს ეხსენ, გულს ნისკარტი უშვი, უნდა დაგამარცხო!
ყორანი კი – „ალარასდროს“.

იგი ზის და არ ინძრევა. მისი ძნელი არის ძლევა.
ათენას ტანს შეეზარდა, თითქოს ხელში აყვანას სთხოვს.
აქ წყვდიადის მოსატანად ჩამისახლდა, ო, სატანა.
ჭალს არ შვენიის მოსართავად

და ჩემს ბინას რახან არ სთმობს.

სულზე მანევს მისი ჩრდილი

და ჩემს სულსაც რახან არ სთმობს,
მომშორდება ალარასდროს.

ჯემალ ინჯიას ნათარგმნი „ყორანი“ რიგით მეცხრეა და
გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში“ (1986, 6, გვ. 84-86). თარ-
გმანი გამართულია დედნის შესაბამისი თექვსმეტმარცვლიანი
ლექსით. დაცულია ავტორის ტექსტის ფორმა, რიტმი და მოც-
ულობა. თითქმის სრულადაა მიღწეული ედგარ პოს გარიტმვის
სისტემა. მთარგმნელი რეფრენად იყენებს ოთხმარცვლიან სი-
ტყვას – „ალარასდროს“, რაც ძნელი წარმოსათქმელი მგონია
ყორნისთვის. თარგმანი შესრულებულია რუსულიდან.

ყორანი

თარგმნა პორფირე იაშვილმა

შუალამით, დაღლილი, ძველ, კარგ ნიგნზე დახრილი,
მივიწყებულ სიბრძნეებს ვჩხრეკ, რული მომერია.
მთვლემარს მესმის ბრავუნი, შორი ხმა რამ ფხაკუნის,
ვილაც მიხმობს კაკუნით, კაკუნს რიდი ერია –
ვთქვი – „უცნობი სტუმარი მოადგა ჩემს კერიას“ –
სხვა აქ არაფერია.

დეკემბრის დგას ყინვა და – ლადრის ალი ბრწყინავდა,
იატაკი აჩრდილებს სურთ ლიცლიცით დასერონ;
გათენება ვინატრე, ანკი სულის სინათლე
ნიგნებს როგორ მივანდე, როს ვგლოვობდი მე ლენორს
უბადლოს, სხივმფინარეს ზეცად უწოდეს ლენორ –
დაშთა აქ უსახელოდ.

ფარდის ფარჩის ფრიალმა, აბრეშუმის შრიალმა
შემაშინა – დავუფრთხი ხმებს დუმილში დანარხევს;
ლამის გული ამოხტა და მხოლოდ ეს აღმომხდა:
„სტუმარია – მიღებას მთხოვს, მოადგა დარაბებს –
სტუმარია უცნობი, მოადგა ჩემს დარაბებს –
სხვას არ ველი არაფერს.

გულში გაჩნდა იმედი და სტუმართან მივედი –
„მომიტევეთ, მთვლემდა, როს სუსტი, რიდით ნაფერი
შემომესმა ფხაკუნი – კარზე კრძალვით კაკუნი,
კარზე კრძალვით კაკუნი – უცხო სტუმრის საფერი“ –
დ გავაღე კარები ღიმილით, შესაფერით –
ბნელა, სხვა არაფერი.

ვუმზერ ბნელეთს ღამისას, შიშმა, ფიქრმა, დამნისლა,
ექჭვი მღრღნის, მოკვდავთათვის უცხო, განა საფერი;
არსით ჩქამის ნიშანიც, სდუმდა ღამის სიშავეც,
როს მესმის გამთიშავი: „ლენორ!“ – სევდით ნაფერი,
ეს ჩემივე ჩურჩულის დამიბრუნდა ნახმევი,
„ლენორ!“ – სხვა არაფერი.

კვლავ მივეკეტე კარები, მწვავედა ცეცხლის ალები,
ისევ მესმის კაკუნი – უფრო მჭახე ხმებია;
ხმა გისოსმა გაიღო, ამ ხმამ სული წაიღო,
ვნახავ, ვინ და რა იყო – ამოვხსნი მისტერიას –
გულო, ჩადექ საგულეს, ამოვხსნი მისტერიას –
ქრის, სხვა არაფერია.

გამოვალე დარაბა – პრანჭვით, დავიდარაბით,
შემობრძანდა ყორანი ღირსებაშენაფერი;
თითქოს სალამმოხდილით, ნირით დიდკაცთ საფერით,
კარის თავზე მოევლო სპეკალ ქანდაკს პალადის –
შეხტა – სხვა არაფერი.

გიშრის ჩიტმა ძლიერი ბლენძვით, მკაცრი იერით,
მწუხარს ღიმი მომგვარა – პატივს არა კმარობდეს –
ვთქვი: „უქოჩროდ დადიხარ, მაგრამ განა მხდალი ხარ!“
ნას აჩრდილის ცალი ხარ – ბნელეთს რაკი გადმოხვედ,

რა გერქვა იმ ნაპირზე – შენს სახელსა მწყალობდე!“
ყორანმა სთქვა – „აროდეს“.

გამოცა ფრინველის თქმულმა სიტყვამ, პირველმა,
თუმცა შეუსაბამო, არც აზრითა კმაროდა;
არა მჯერა, რომ მავანს, კაცსა ამ ქვეყნად მავალს,
ეხილოს – კარის თავანს ჩიტი სკამად ხმარობდეს,
ჩიტია თუ ეშმაკი – ქანდაკს მერხად ხმარობდეს –
თანაც ერქვას – „აროდეს“.

და ყორანი ეული, ქანდაკზე, ვით წვეული,
ზის – ამოთქვამს იმ სიტყვას, თან სულს ამოაყოლებს;
და როს ჯდა გალურსული, შავბუმბულდაყურსული;
მე წამომცდა ჩურჩულით: „დროა ესეც ჩქარობდეს!
მეგობრები წასვლიან, დროა ესეც ჩქარობდეს!“
ჩიტი ჩხავის – „აროდეს“.

შევერთი, სიტყვამ ნათელმა, დუმილი რომ გათელა,
ვთქვი – „ცხადია, რაც უვის იმას ამოაბოდებს,
ბაძავს პატრონს ნანვალებს, ბედისგან განანამებს,
ბედისწერის ზახილს რომ ვერ გაუძლო ამოდენს –
იმედების სატირალს ვერ გაუძლო ამოდენს –
დარდს სიტყვისა – „აროდეს“.

მაგრამ ყორნის იერით ღიმი მიპყრობს ძლიერი,
სკამით მისკენ შევბრუნდი, თითქოს რამ მიხაროდეს.
ვზი ხავერდში ნებივრად, ფიქრი ფიქრს დაეფინა.
ვჩხრეკ – რის თქმას დაეპირა, ან რას უნდა ამბობდეს
ავი, უშნო, მიხრწნილი რალას უნდა ამობდეს.
ამ ჩხავილით – აროდეს.

ვზივარ განსჯით გართული, დუმილში გადართული,
ყორნის ავი თვალები მდაგავს გულის ხარომდე;

ფიქრიანი ვდარდობდი: ამ მერხს, სადაც დანდობით
ვზივარ და ზედ სანდომი შუქი კელაპტარობდეს –
სად იისფერ ხავერდზე შუქი კელაპტარობდეს –
ლენორ არ მიეყრდნობა აწი არა, აროდეს.

მომეჩვენა – საკმეველს სურნელოვანს აკმევენ,
სერაფიმი წკრიალით ფარდაგზე ფარფატობდეს.
– უბედურო, იმედად უფალმა გაგიბედა –
ბალზამი დაგიბედა – რომ ლენორს არ დარდობდე –
შესვი შრატი კეთილი, ლენორს რომ არ დარდობდე.
ყორანმა თქვა – „აროდეს“.

„მისანო“, ვთქვი, „მაცილო, თუ ეშმაკის ნანილო!
ეგებ ქაჯმა გაცდუნა, ანდა ქარმა მაცდურმა
მოგაგდო ამ სამანებს, ვერან, მწუხრის სავანეს
და გლოვით ნასამარებს, სთქვი, სიმართლით ვხარობდე –
არის გილედს ბალსამონ – სთქვი, სიმართლით ვხარობდე –
ყორანმა სთქვა – „აროდეს“.

„მისანო“ – ვთქვი – „მაცილო, თუ ეშმაკის ნანილო!
მალლით ზეცას გაფიცებ,
ლმერთს, რომელიც გვწამს ჩვენ ორს,
მარქვი – როდის მომელის ხილვა სულის ცხოველის,
ანგელოსი ყოველი რომ ეძახის ცად – ლენორ –
ხილვა სხივმფენ ასულის, ცად ეძახიან – ლენორ.
ყორანმა თქვა – „ნევამორ“.

„დე მაგ სიტყვამ, აშარო, ეს სტუმრობა აშალოს –
დაუბრუნდი ქარიშხლებს და ბნელეთში აბოდე!
ნიშნად უმსგავს ხადილის, თუ ნატყუარ ქადილის,
ფრთის ღერიც შავ მანდილის არსად დაგრჩეს, კმაროდეს!

განვედ ტანით უჴმურით, გულის კორტნა კმაროდეს!“
ყორანმა თქვა – „აროდეს“.

და ყორანი, უმზრახად, ზის ქანდაკზე უძრავად –
სპეკალ პირზე პალადის, კარის თავზე ზის მარტო;
ავ ჩვენებით გართული, მალლით გადმოფაფრული,
ჩიტის – რამ დაზაფრული ჩრდილი ძირს დაფარფატობს
და ეს სული ტანჯული აჩრდილს, აქ რომ ფარფატობს,
თავს დააღწევს? – „არასდროს!“

* * *

შეიძლება ითქვას, რომ პორფირე იაშვილმა სამგზის თარგმ-
ნა „ყორანი“. მისი თარგმანი რიგით მეათეა. როგორც ჩანს, იგი
გამუდმებით მუშაობდა თარგმანის დახვეწაზე და შექმნა სამი
ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული, გაუმჯობესებული
ვარიანტი. პირველი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1987 წ.,
8, გვ. 84-88), მეორე – გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო-
ში“ (2000 წ., 5, გვ. 15), მესამე ხელნაწერია, დათარიღებულია
(25.11.2004 წ.) არ გამოქვეყნებულა.

სამივე ვარიანტი თოთხმეტმარცვლიანი ლექსითაა წარმოდ-
გენილი. I და II ვარიანტების სტროფები 11-11-სტრიქონიანია და
არა 6-6 – დედნის შესაბამისად. ამის გამო ლექსის მოცულობა
გაზრდილი იყო 196 სტრიქონამდე 108-ის ნაცვლად. პირველ-
მეორე ვარიანტში არ იყო დაცული ავტორისეული გართმვის
სისტემა და არ მიესადაგებოდა ორიგინალს.

მესამე ვარიანტი პირველად იბეჭდება ჩვენს კრებულში. პორ-
ფირე იაშვილის ხელნაწერი მომანოდა ბატონმა ლევან ბრეგაძემ,
რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. რამდენადაც ვიცი, მთარგმ-
ნელს სწორედ III ვარიანტი მიაჩნია ღირებულად.

მართლაც, ბოლო ვარიანტი ძალიან ახლოსაა დედანთან. კერ-
ძოდ, დაცულია ლექსის ავტორისეული ფორმა – 6-6-სტრიქონიანი
18 კუპლეტი, გართმვის დედნისეული სისტემა. თარგმანი მხატ-
ვრულად უფრო დახვეწილია. ამიტომაც გადავწყვიტეთ სწორედ
მისი მოთავსება კრებულში.

ყორანი

თარგმნა სილოვან ნარიშანიძემ

ლამე იყო და რა ლამე, კიოდა ქარი ეული,
ფოლიანტების კითხვისას ჩამძინებოდა მკედარივით.
გარედან ხმა შემთისმა უცხო, კაკუნის მაგვარი.
თითქოს ვილაცა კარს უკან შეველას ითხოვდა ქარის ხმით.
გამომელვიძა, ვიფიქრე, მტერია გადარეული.
ან მოჩვენება რამეა, მოლანდება და ზღაპარი,
ან იქნებ ვინმე მოყვარე, მესტუმრა ლამის ნაფერი.
ვინ უნდა იყოს ნეტავი, ქარია? – სხვა არაფერი?!

ო, მახსენდება ის ლამე, დეკემბრის ლამე გვიანი,
ავდარი, ქარის პირქუშის მომაკვდავივით ხრიალი.
სადღაც სინათლე კრთებოდა, დროდადრო ილანდებოდა.
კარისად, ღირსად, ხალისად, ხალიჩად დაეგებოდა.
ვინ იყო ნეტა, ვინ ხმობდა შვება მოჰქონდა შორიდან?..
თუ ტანჯვა, მკვნესარ სულისა, უცნობ უსასრულობიდან...

ლენორე, ჩემო ლენორე, შენი კურთხევა მომინდა.
ეგებ შენ იყავ, შენ აღსდექ შვების მომგვრელი ხსოვნიდან.
ამაღლდი ცად წმინდანით, იქნებ შენ მიხმობ შორიდან,
ანგელოზით ედემში ჩარგულო მახსოვრობიდან.
ანგელოზით თუ მღერდი, სიმღერა სულის სუროა
ტკივილი, შენზე ტკივილი, ღრმაა და უსასრულოა!

უცებ გაისმა შრიალი ფარდების პორტიერების.
უხილავ ხელით მოძრავი სანიშნოდ საშინელების.
ვიფიქრე, იქნებ მოვიდა დრო მკაცრი შურისძიების,
შიშმა დამორგუნა – დამინყო გულმა ძვერა ატიკიებით,
ავდექი, ღამეს გავხედე, სიბნელეს შეუცნობარეს,
ვერ მივხვდი მტერი იყო თუ, ვინმე მგზავრი ან მოყვარე.
ვინ მოდგა ზღურბლზე კარისად, უშიშრად, ღამის ნაფერი?
ალბათ სტუმარი იქნება ან ქარი, სხვა არაფერი!

ათასგვარ იჭვით პყრობილმა კარისკენ გავდგი ნაბიჯი.
როგორც მეგობარს მივმართე, გადავხსენ კარის საკეტი.
„ო, მაპატიეთ, სერ თუ ხართ,

იქნებ სერ არ ხართ, ხართ ლედი,
მეძინა, თავი მიბრუნის, ძილში მომესმა სლუკუნის,
კარი უცებ ვერ გაგიღეთ, ო, არ გეგონოთ უგნური“...
გავხედე, არავინ იყო, – მხოლოდ ღამე და უკუნის,
დაბურულიყო ცის თალი, შავი ღრუბლებით ნაფერი,
არავინ იყო. მხოლოდლა წყვდიადი, სხვა არაფერი...

კართან ვიდექი კარგახანს ქარებით გარშემორტყმული,
ჩემს ზმანებაში ჩაფლულმა, ვერარა ვიგრძენ აქამდე,
გულში ვამბობდი: რა ხდება, ღმერთო ბნელს რიდე ახადე,
რას ყვება ნეტა ეს ქარი, შორი გზებიდან მოსული,
უეცრად თითქოს ზეციდან მომესმა სიტყვა: „ლენორე!“
„ლენორე, ნუთუ შენა ხარ, შენ გელი, შენ დაგემონე“.
მომეჩვენა თუ წყვდიადში ეს შენი ხმა გავიგონე,
ვარსკვლავეთიდან მოხვედი?.. შეგხედო, რამე ილონე!..

არავინ შემეპასუხა, კარი ხელახლა ჩავრაზე.
ქარი კვეთავდა ტრამალებს მალი და გადაამკივარი;
კვლავ შემომესმა ხმაური, უფრო მკვეთრი და მტიკივანი,
„ეს ხომ იგივე ხმა იყო, ადრე რომ მესმა იგი ხმა,

ქარიც ამოდ არ სტვენდა კარის და დარაბებს მიღმა.
იქნება ქარმა დარაბა შემოაჯახა დარაბებს,
ფანჯრიდან ვხედავ ქარია,

ქარს ვხვდები და სხვა არაფერს“...

უეცრად სახლის ღირეზე ყორანი მოდგა ფრთაშავი,
მგლოვიარე და გულხარბი,

ყრანტალით, თვალთა სარხალით,
არც მომესალმა, მოიჭრა მედიდური და დიდგული,
ვით ლედი, ლორდი – მკიდრთაგან დევნილი და შერისხული...
პალადის თავზე, ბიუსტზე, ომახიანად შემოჯდა,
უფრო დაბნელდა გარემო ყორნის ფრთასავით შავბნელი,
შევეკრთი და თავი დავხარე,

ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
მედიდურობა იმისი იყო ცრემლებით ნაფერი.

ვუთხარ: „ეგ მზერა თამამი, მაგ ქოჩრის ავად პრიალი,
რის ნიშანია მითხარი, თვალთა ელვა და ბრიალი.
როგორც პლუტონმა სიბნელე, გაჰყინა, გაამარადა,
ო, ავბედითო ყორანო, მომკალ და დამასამარე, –
ეგ სიამაყე ბნელეთის, იმასთან როგორ ფასობდეს,
რად შეგიცვლია იერი, რატომ ხარ დღეს პირშავადა“.
პასუხად შავმა ყორანმა დამჩხავლა: „ალარასოდეს!“...

საშინელებით მომიცვა დევნილის შემოძახილმა,
რა იყო, რას მაუნყებდა, გამყინა უცხო მხამ მისმა,
სად იყო, სად არ იარა, რა გზა არ გამოიარა,
ქარს ზევით იჯდა ბიუსტზე, უცხო რამ გაუგონარი,
ფრინველი გასაოცარი შავეთის შავი ყორანი,
მან გამიახლა ტკივილი, მარად რომ უნდა მახსოვდეს,
გლოვის ზარივით გაისმა ეს სიტყვა: „ალარასოდეს!“

ო, გულის გლოვა თუ იყო, გავლილ ტანჯვაზე გოდება,
რა მოხდა კარგად ვერ მივხვდი, რა იყო, არ მაგონდება,
იჯდა მდუმარი, მქუშარი, ფრთენიც არ შეურხევია,
ალარც ჩხაოდა დევნილი, გლოვაც არ წამოსცდენია,
შემბრალდა, შვებით შევხედე მეგობარს ახალგაცნობილს,
ვიფიქრე, გულში არა აქვს ზრახვა რამ მას ავკაცობის...
„ხვალ ის ნაჲა და დამტოვებს, იქნება აღარ ვახსოვდე“.
პასუხად შავმა ყორანმა დამჩხავლა: „აღარასოდეს!“...

იდუმალებით მოცული შემაკრთო მისმა ძახილმა,
გულში გავივლე, ალბათ მან ეს სიტყვა იცის მხოლოდდა,
იქნებ პატრონმა ასწავლა ყორანს, რომ უნდა ჰყოლოდა,
მხოლოდ ეს სიტყვა ესმოდა ალბათ მოსმენილ ხმებიდან,
ვით ზარის რეკვა უჩინარ შორეულ ზესკნელებიდან,
რაკი ყველაფერს ფასი სდევს,

სიკვდილიც უნდა ფასობდეს.
ვით განაჩენი გაისმა – ყორნის ხმა: „აღარასოდეს!“...

წუთით შემწანდა შავბნელი, ღიმილმა გადამიარა,
მოვიპატიჟე, სავარძელს მივწვდი, დავუდგი, ჩამოვსვი,
მეც ჩამოვჯექი ხავერდზე, წუთი დამიდგა გამოცდის,
რას გულისხმობდა ნეტავი, ამ ერთ სიტყვაში ყორანი,
შავი ამბების მოამბე, ღამესთან ნაამბორალი...
იქნებ წინასწარმეტყველი მესტუმრა და თავს მაცოდებს.
ყორანმა კვლავ თავზარივით დამჩხავლა: „აღარასოდეს!“...

თვალახელილი წამიერ ვგლოვდი ამ გამოცანაზე,
ყოფის ავ ბედისწერაზე, –

ვით გულში დარტყმულ დანაზე,
ჭალის სინათლით გადაღლილ,

სხეულში შეჭრილ გრძნობაზე,
თავი დამედო ბალიშის მსურდა მოხატულობაზე;

ო, ის არასდროს, ვერასდროს

ვერ დადებს თავს ამ ბალიშზე,
ისე დამბუგე, ლენორე, სიხარული არ მაღირსე.
შენ რას მთხოვ, შავო ყორანო, თავი რომ ვერ შეგაცოდე.
რომ მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ჩამძახე – „ალარასოდეს!“...

მომეჩვენა, რომ ბნელეთში, ცად აჭრილ კვამლის სვეტებად,
გუნდრუკით მოაბიჯებდნენ სერაფიმები რიგებად.

შევძახე: „ო, უბედურო, ღმერთი გიგზავნის ნეპერტესს.
გიგზავნის, რათა განკურნოს ტკივილით თავდავინწყება,
ძვირფასის სიყვარულისთვის

მხოლოდ ცრემლები შეგბედეს,
ყველა სიყვარულს მოელის გლოვა და გადავინწყება.
ნუ ფიქრობ, კვლავ მოგეახლოს,

ვისი კურთხევაც მოგინდა,
სიყვარულისგან ვერასდროს განიკურნები, გახსოვდეს,
აღარ მოგივა ლენორე შორი უსასრულობიდან“.
დასტურად შავმა ყორანმა, დამჩხავლა: „ალარასოდეს!“

ავბედის მაცნე, ყორანო, ფრინველი ხარ თუ ავსული?
გამოგზავნილი ქარიშხლის უჩინარ ბუნაგებიდან,
როგორ მომნახე ტკივილად,

ცრემლად, დაცლილი ვნებიდან,
მყუდრო სენაკში მომიხველ რომელ საშინელებიდან.
სიკვდილის ბალზამს რად მასმევ

მდინარს, გადადის მთებიდან,
ერთად შემასვი, თუ მასმევ, იქნებ გადვურჩე წამებას.
ცრემლსა და ურვა-გოდებას, სულის წიოკს და წვალებას.
დარი თუ დარობს ჟამისა, სიცოცხლეც უნდა ფასობდეს,
კვლავ შემომჩხავლა ყორანმა ცივი ხმით: „ალარასოდეს!“

შევძახე: „ნადი გამშორდი, ფრინველი ხარ თუ ეშმა ხარ,
თვალნი მივაპყარ მეუფეს, ლოცვა რომ გამოესახა,

დამტოვე, გაპყვე ქარიშხალს, წყვდიადში გაუჩინარდი,
როგორც მომიხველ, ისევე წადი და თვალებს მიჰფარდი,
არ დამიტოვო ნიშანი – ნაჭდევი შენი კრტენისა,
წყვდიადის გამოგზავნილო, შიში მდევს შენი ფრთებისა.
ნუ შემომფოთებ სულს ღელვით,

ბნელით ნუ მომელანდები,
ისედაც გულზე მანეება სამგლოვიარო დარდები.
ქარს გაპყვე, გაუჩინარდი, წადი, რომ აღარც მახსოვდე!“...
ფრთა ფრთას შემოჰკრა ყორანმა, ავმა და ჩასაქოლარმა.
ისევე დამჩხავლა ავსულმა მრისხანედ: „აღარასოდეს!“...

იქნებ ედემში მიაგნეს, წმინდა სულებმა ლენორეს,
რა ძალა იყო, ვინ იყო, რად იყო, რომ დავემონე!
იქნებ მისი ხმა უკვდავი, საცნობელს უნდა მაცნობდეს,
ყორანმა კვლავ ძველებურად დამჩხავლა: „აღარასოდეს!“...

ზის კარის ზემოთ ყორანი,

ნისკარტს ისწორებს ზმორებით,
პალადის მიმქრალ ბიუსტის მხრებიდან აღარ ჩამოდის,
ისე დამჩხავის, სულს ღადრავს,

როგორც დემონი ტორებით.
მოვარაყებულ ჭალებქვეშ ჩრდილი წევს უზარმაზარი,
ის ჩრდილი სულის ტანჯვაა, ვით სასიკვდილო თავზარი.
ბედით დევნილის მომავალს ყორანი აწონასწორებს,
სული თრთის, არ აფრინდება, ო, აღარ – აღარასოდეს!..

* * *

სილოვან ნარიმანიძის (1925-2008) ნათარგმნი „ყორანი“
რიგით მეთერთმეტეა. იგი დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“ (1991
წ., 2, გვ. 109-112). თარგმანში დარღვეულია დედნისა და მისი
გარითმვის ფორმა. აქ თვრამეტის ნაცვლად 19 სტროფია,

თანაც, სტროფებში არ არის დაცული სტრიქონთა დედნისეული რაოდენობა: 4, 6, 7, 8, 9, 10 და 11 პნკარისაგანაც კი შედგება. რაც შეეხება გარითმვის სისტემას, იგი თარგმანში სხვადასხვაგვარია. ამ მხრივ I კუპლეტში, რომელიც რვასტრიქონიანია, ასეთი სურათია: პირველი სტრიქონი გარითმულია მეხუთესთან (ეული - გადარეული); მეორე - მეოთხესთან (მკვდარივით - ქარის ხმით); მესამე - მეექვსესთან (მაგვარი - ზლაპარი), მეშვიდე - შერვესთან (ნაფერი, არაფერი). ამავე დროს, ეს სისტემა მდგრადი არ არის და ხშირად ირღვევა.

თარგმანი თექვსმეტმარცვლიანი ლექსითაა შესრულებული და მთარგმნელი იყენებს ავტორისეულ ზომას. რეფრენად გამოყენებულია სიტყვა „ალარასოდეს“, თუმცა იგი არ არის ლექსიდან სათანადოდ გამოყოფილი. ვფიქრობ, „ყორანი“ თარგმნილია რუსულიდან.



მენამულ ფარდებს აბრეშუმისა
ვუსმენდი შრიალს ჩამიჩუმისას,
ვგრძნობდი ასე და ღელვა მავსებდა
და სევდა ჯერაც უცნობი მანამ.
მიტომ მომესმა, ალბათ, ყოველი
კაკუნი უხმოდ თუ დაყოვნებით,
ვით გულისცემის განმეორება,
მე მომეველინა ასე ცივ, ნკვარამ
ღამეს თავისით ახლა ჩემს კარად,
ან მოიყვანა განგების ძალამ –
მხოლოდ სტუმარი და არა სხვა რამ.

მაშინვე გულის მძლავრ თქმას შევყევი,
წამოიშართა სული მერყევი
და ვთქვი: „ბატონო, თუ ქალბატონო,
ვარ გულწრფელობის და ჩემს ამარა.
ჩამძინებია და მაპატიეთ –
მონიწებით გთხოვთ, მაგრამ ფაქტი ერთს
კი აღიარებს – ისე ჩავთვლიმე,
რომ ის კაკუნი, გეტყვით ალაღად,
არად ჩავთვალე-მეთქი და სივრცე
ფართოდ გადახსნა სახლის კარმა რა,
სიბნელე იდგა და სხვა არარა.

ღრმა სიბნელეში გაოცებული
ვიდექი მზერით ქაოსს შებმული,
ზმანებით ხედვაამოვსებული;
მოკვდავს არარა ახსოვს ამფერი!
მარტო სიჩუმეს შევრჩი ეულად, მისი მორევი არც შერხეულა,
მხოლოდ აჩქეფდა ანაზღეულად,
კითხვა: „ლენორა?“ – ტალღად ნაბერი.

ამ სიტყვის ბგერებს მე ვჩურჩულებდი,
ექოც „ლენორად“ ქროდა სხვა ბგერით,
უბრალოდ ეს და სხვა არაფერი.

მოტრიალებულს, შინ შებრუნებულს
გადამიხურდა სული უნებურ,
მაგრამ მსგავსივე დაკაკუნება,
თითქოს, ფეხდაფეხ გამომყვა ჩქარა,
უფრო გარკვევით და მაშინ ვთქვი მე:
„ახლა, ნამდვილად, ფანჯარას ვინმე
მოადგა-მეთქი და იმ ნუთს, პირველ
ყოვლისა, სწრაფად და ჰაიჰარად
შეხვედრა ვცადე ისე, ვით ადრე,
მაგრამ ყოველი სუფევდა წყნარად,
ვთქვი: „ეს ქარია და არა სხვა რამ“.

როცა მოვნიე ფანჯარას რაზა,
ფრთების სწორებით, პენით და ნაზად,
რომ იფერებდა ამაყად ლაზათს, შემოიბღინძა ყორანი ბერი,
ცოდვააყრილი გარდასულ დღეთგან,
ურევერანსოდ, წამსაც არ შედგა,
ლორდის თუ ლედის იერით მედგრად
დასკუპდა კარის ზღურბლთან და მერე
აფრინდა იქვე და ის პალადის
ბიუსტზე დაჯდა მძიმე დაფრენით –
დაფრინდა, დაჯდა, სხვა არაფერი.

შევხედე სამოსს, მოსართავს შავს და
გასრესილს მისას, სიცილი წამსკდა,
ვუთხარი: „შენი ქოჩორიც გაცვდა,
ფერიც გახუნდა კუპრის სადარი.
სერიოზული, მკაცრი, სასტიკი, ძველი იერით ანი აღსდექი.

და გზებს მოედე ასგზის გაზერგნილს,
პლუტონის ღამით გართობს ტანტალი,
გაშლილ ღამეში, თითქოს, რამე შვილს
ნარმოადგინე, იწყე ნანნალი".
მან „ალარასდროს“ მითხრა ყრანტალით.

შევცბი პასუხით უცებ, რადგან ის
მოურიდებლად იყო ნათქვამი,
მის აზრებში კი ერთი მათგანიც
ვერ უდგებოდა მიზნის ნახევარს.
თქვენთაგან ყველა დამეთანხმება –
არ გაგონილა, ასე არ ხდება –
ამ დროს ფარდებში შინ შემოჭრილი
დაჯდეს ფრინველის უცხო სახება,
ან, გინდაც, მხეცი – ისიც ბიუსტზე –
მას სითავეხედე ეყოს ამხელა
და „ალარასდროს“ ერქვას სახელად.

მარტოსულივით იჯდა ყორანი, ახლდა მოწყენა გაუგონარი
და ერთადერთი სიტყვის მთოვარი,
ამ სიტყვით სულის გადმომფინველად.
აღარ დაუძრავს გარინდულს კრინტი,
არ შერხევია პირშეკრულს კლიტით
ერთი ბუმბულიც კრძალვით თუ რიდით
და ვთქვი ბუტბუტით: „დილით პირველად,
იმედებივით ესეც გასხლტება და გამეცლება მოუხილველად".
თქვა: „ალარასდროს“ ხრინნით ფრინველმა.

პასუხი გამცა ისე სისხარტით,
დუმილში შევეკრთი და შევიცხადე.
თავს მაინც ვუთხარ: „მნამს, გაიზუთხა,
მისხის მისხამდე უნდა ახსოვდეს

ვილაც თვისტომი უბედურისგან –

მას რაც სახსოვრად უღებს გულის კარს –
ბედის სასჯელად სულ რომ უვლის გარს
სიტყვა, მხუთავი ასო-ასომდის,
ჰგავს ხმას იმედთა დასამარების
და სიკვდილმისჯის რაღაც ხმას მოსდევს
„ალარასდროს“ თუ „ალარასოდეს“.

მაგრამ ყორანმა ისე, ვით წინათ, ჩემი სიცილი გამოიწვია,
ავდექ, დივანი მარდად მივწიე
მისკენ, კარისკენ, ბიუსტისაკენ,
მერე დავეშვი ფაფუკ საფენზე
და მივაშტერდი ყორანს სახეზე,
ამბობდა ფიქრთა სვლა უსწრაფესი,
რომ ამ პირქუში ფრინველისაგან,
რამაც იცხოვრა მრავალრიცხოვან
წლებს, რას ვცნობ მეთქი სიკეთისმაგვარს!
„ალარასოდეს“! – იხივლა აქაც.

ჰოდა ამრიგად, გულში ამთავით,
რბილი ეკლისებრ წვერწანათალი,
გამერჭო მისი მხერა მშანთავი
უგრძნობ ხიჭვებად, წვერილ-წვერილ ნემსებად
აზრებში ყვინთვით უფრო ვფიქრობდი,
ფერად ბალიშზე კეფამიყრდნობით,
რულს მოთვალთვალე ჭალი მიფრთხობდა,
დაჟინებული მისი კვესება.
ვინც აქ იისფერ ხავერდზე ლბილად
ზედ ეშვებოდა სანუგეშებლად,
ალარასოდეს არ დაეშვება.

და მომეჩვენა სულ სხვანაირი
სურნელის მფრქვევი უცბად ჰაერი,

სერაფიმების სვლათა ხმაური იატაკს წამმა გადაატარა
და დავიძახე: „ღმერთმა მოგძებნა,
ბეჩავო, სულის ხსნის საბოძებლად,
მისგან მოგართვეს ანგელოსებმა
აქ ნეპენტესი, შესვი, რათა მან
მოგამჯობინოს, ლენორაც გაქრეს,
არ დაგრჩეს მისი ხსოვნაც პატარა!“
„ალარასოდეს!“ – დაიყრანტალა.

ჩემი ძახილი მიდამოს ესმა:

„შენ ფრინველი ხარ, მაცნე თუ – ეშმა,
თუ მოგავლინა უზენაესმა,
ვინც ჩვენ ორთათვის ხატი გამხდარა
ჯადოქრის ნებით თუ აღიძარი
და მომევლინე, როგორც ხიზანი
პირქუშ ბინაში, მარქვი მიზანი –
მითხარი, თუ გაქვს ხათრი პატარა, –
იქ, გალაადში, ნეტავ, ვერ ეპოვებ
ბალზამს შავ დღეთა გადასატანად?“
„ალარასოდეს!“ – დაიყრანტალა.

ძახილი ისევ მიდამოს ესმა:

„შენ ფრინველი ხარ, მაცნე თუ ეშმა!
თქვი – მიწერია ფიქრის ოდესმე
აღსრულება თუ შავეთს ჩატანა
ამ ცის ქვეშ, რაიც ღმერთმა მალაღმა
თავის დიდებად გადმოგვაღვარა,
სული ჩაიკრავს კვლავ, თუ აღარა
ედემში წმინდა ქალწულს სადარად
ციალის, ვისაც ანგელოსები
ლენორად სცნობენ გულდამშანთავად?“
„ალარასოდეს!“ – დაიყრანტალა.

ეს ნიშნავს-მეთქი, რომ ჩემგან წახვალ,
ფრინველის სახევე თუ წარმოსახევე,
გაბრუნდი ახლავ, გადაგიყოლოს
პლუტონის ღამემ და ქარიშხალმა,
არ დავინახო ბურღლა აქ შენი,
როგორც სიცრუის თავის ამშლელი,
წადი, გაფრინდი ჩქარი აქშევით!
დაეხსენ ბიუსტს დასავინყარად,
ამოაძერი გულს ამაზრზენი
ნისკარტი შენი ჩასობილ ბრჭყალად!"
„ალარასოდეს!“ – წამოიჩხავლა.

და ზის ყორანი რალაც ლოდინით,
ზის, დევს უძრავად, შავი ლოდივით,
გადახუნებულ ბიუსტზე ზის ის,
ზის, მდუმარება ყველას გადასდო.
მის მეტყველ თვალებს, თვალებს დემონის,
თითქოს ესიზმრა გარეშემონი,
ლამპრის სინათლის ბნელ შადრევანზე
თავისი ჩრდილი საგლოვ-საავდრო
იატაკს დასცა, მწამს, იმ ჩრდილიდან
ჟამმა სულის ხსნას აღარ დამასწროს
მე აღარასდროს.

* * *

ვაჟა შიუკაშვილის თარგმნილი „ყორანი“ რიგით მეთორმეტეა. იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში“ (1992 წ., 5-6, გვ. 102-104). თარგმანში დაცულია დედნისეული სტროფების რაოდენობა და სტროფში 6-6 სტრიქონი. ლექსი ოცმარცვლიანია,

ყოველი სტროფის მე-6 სტრიქონი კი ათმარცვლიანი. რეფრენად გამოყენებულია სიტყვები – „ალარასდროს“ და „ალარასოდეს“. მთარგმნელი ცდილობს ედგარ პოს გარითმეის სისტემის დაცვას, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს სრულყოფილად. ბოლო სტროფის მიხედვით რითმები ასეთა წარმოდგენილი: ა1 – ა2 (ლოდინით – ლოდივით); ბ2 – დ2 – ე2 – ვ (გადასდო – საავდრო – დამასნროს – არასდროს); ბ1 – გ2 (დემონის – გარეშემონი). თარგმანი გადაჭარბებულად სიტყვაუხვია. „ყორანს“ შენიშვნის სახით ერთვის სიტყვების: პალადა, პლუტონის ღამე, სერაფიმი, ნეპენტესი, გალაადი, ედემი, დემონი განმარტებანი.



ყორანი

თარგმნა ვანო ყვავეილაშვილმა

ერთხელ, როცა იდგა ჟამი უკუნეთი შუალამის,
მივიწყებულ სიბრძნის ნიგნთა კითხვამ სევდა არ მაკმარა;
ჩათვლემის პირს მყოფმა, ვგონებ, ანაზღად ხმა გავიგონე, –
კაკუნის ხმა კარზე დუნე შემომესმა ჩუმად, წყნარად;
„სტუმარია, ალბათ, ვინმე,

– ვთქვი, – მოსული აქ, ჩემს კარად;
მხოლოდ ეს და სხვა არარა“.

აჰ, მე მახსოვს როგორც გუშინ, დეკემბერი იყო ქუში,
და ფარდაგზე ბუხრის შუქი მოცახცახე ლანდებს ქმნიდა;
არ მელირსა გათენება, ვერც ნიგნებში ვპოვე შეება, –
აღძრულ სევდის განქარვება იმ ქალწულის დაკარგვიდან, –
ვისაც, სხივმფენს, ანგელოზნი

უნოდებენ ლინორს წმინდანს, –
ბნელეთს ნასულს ამ ქვეყნიდან.

მენამული ფარდის რხევამ, ამ იდუმალ ლამისთევამ
ურჩეულოდ ამაღელვა; დავყევი რა შიშს და ვარამს,
რომ დამეცხრო ძგერა გულის,

ვთქვი: „გვიანად აქ მოსული,
სტუმარია მარტოსული,
შემოსვლას მთხოვს, ბნელი ზარავს, –

თავშესაფარს ითხოვს, ცდილობს

განერიდოს ღამის წკვარამს, –
მხოლოდ ეს და არა სხვა რამ“.

ვინყე სულით გამხნევება, ეჭვმაც თავი მიმანება;

„სერ თუ მაღამ, – შევევედრე, –

მომიტევეთ! – სამწუხაროდ,

მომერია დაღლილს ძილი, კაკუნი კი თქვენი ფრთხილი
იყო ჩუმი, ძალმიხდილი, – და იმისთვის არ დამძრახოთ, –
რომ თქვენი ხმა ძლივს გავიგე“;

გავხსენ კარი მაშინ ფართოდ:

იქ წყვდიადი დამხვდა მარტო.

წყვდიადს ვჭვრეტდი დაჟინებით,

შეპყრობილი შიშით, გზნებით;

არნახულმა ზმანებებმა გამიტაცეს უტკბილესმა;

სიჩუმე კი არ დაირღვა, ნიშნადაც კი არა ითქვა;

მხოლოდ „ლინორ“? – ერთი სიტყვა, –

ძლივს ჩურჩულით შემომესმა, –

ეს მე ვთქვი და დამიბრუნა უკან ექომ უჩუმესმა

სხვა არარა, მხოლოდ ეს ხმა.

როს მოვბრუნდი, მქონდა სული ერთიანად ანათებული;

მაღე მესმა ისევ ის ხმა, – ამჯერად კი უფრო ცხადად;

ვთქვი: „კაკუნი მეორდება, ნეტავ სარკმელს ვინ აწყდება?“

უნდა ვნახო იქ რა ხდება, – საიდუმლოს ავხსნა ფარდა,
რომ დამშვიდდეს ჩემი გული,

უნდა ვნახო, რომ ჩემს კართან

არარაა, ქარის გარდა“.

როს დარაბა გავხსენ სრულად,

გოგომან-გოგმან, დიდებულად,

შემობრძანდა მუნ ყორანი – გარდასულ დღეთ მონაბერი;
მცირე რიდიც კი არ ჩანდა, არ ისურვა ნამით დაცდა.
ის მაშინვე აღრინდა და ლორდის, ლედის მსგავს იერით
კარის თავზე მდგარ ათინას

ქანდაკს დაჯდა ვით ცერბერი,
დაჯდა და სხვა არაფერი.

შავი ფრთოსნის ამგვარ ხლებამ ჩემს კაეშანს მისცა შვება;
იყო იგი დინჯი, ზრდილი, –

თანაც მეტად მკაცრი ამ დროს;
„ქოჩორშეჭრილს გავხარ ვითომ,
– ვთქვი, – თუმც მხდალი არ ხარ თვითონ
ძველთაძველო, ავბედითო! – მოარული ღამის დარდო, –
რას გეძახდნენ შენ სახელად, –
პლუტონის იმ ბნელ სამყაროს?“
მან დამჩხავლა: „ალარასდროს!“

პირქუშ ყორნის ამ პასუხმა გამაოცა და მომწუსხა;
ნუთუ თქვენ არ მეთანხმებით,

არსად არვინ ხვდება გზნებით
ფრინველს, მოსულს ღამის გზებით, –

რომ ჭირს ჭირი მოგისართოს;
ქანდაკზე მჯდარ ყორნის ხილვა
კაცმა ვით არ შეიცხადოს, –
მას თუ ჰქვია „ალარასდროს“.

ყორანმა კი, მარტოდ მჯდომმა,

სხვა რამის თქმა არ ინდომა;
თითქოს მან ამ ერთ სიტყვაში მთელი თავის სული ჩასდო;
იჯდა ასე გარინდებით, არ შეაკრთო შავი ფრთები,
ჩურჩულით ვთქვი: „მეგობრები
გამიფრინდნენ იმ ძველ კარგ დროს,

იმედივით ხვალ ხომ ისიც მიმატოვებს მარტოდმარტოს?"

მან მომიგო: „ალარასდროს!“

ეს პასუხი ზუსტი გახლდათ, – ამიტომაც დავრჩი სახტად;
„უდავოა, – ვთქვი, – ამ სიტყვით

ის იღებდა სულის საზრდოს

უბედური ბატონიდან, ვინც მსახვრალი ბედის მხრიდან
ხშირ-ხშირ დარტყმებს ქედს უხრიდა,

მერე კი უამს სანუხაროს

დამარხული იმედის წილ გლოვის ჰანგად ამ საბრალოს
შერჩა სიტყვა „ალარასდროს“.

ყორანმა კი, როგორც ადრე, მწარე ფიქრი გამიბადრა;
მივდგი მის წინ და მივენდე

რბილ სავარძელს სანეტარტოს;

ჩავეფლე რა ხავერდ-ხალში, გაუყარე თვალი თვალში,
ფიქრი ფიქრებს მიჰყვა კვალში, – საოცნებო-საარაკოს,
და მიკვირდა, – ნუთუ რა სურს,

ყორანმა რომ განაცხადოს

ამ ჩხავილით „ალარასდროს“.

კვლავ თავსატეხს ჩაველრმავდი,

ხმა-კრინტს უკვე აღარ ვძრავდი;

ვიგრძენ მზერა ცეცხლოვანი ყორანმა რომ გულს დამასო;
მომეძალა ფიქრთა ზეგვი, ბალიშს მყუდროდ მივდე თავი,
და ჭალ-შუქი მომნუსხავი მახსენებდა, ჩემსა სატრფოს
ამ იისფერ ხავერდზე რომ დავანება მოენატროს, –

ველარ შესძლებს, ველარასდროს!

უხილავმა საკმეველმა მაშინ თითქოს იწყო კმევა;

სერაფიმთა ნაბიჯების ხმაც გაისმა ნოხზე ამ დროს.

„შე ბედშავო! – თავს შევძახე – ნულარ დაგდევს სივარდლახე,

განიშორე სატრფოს სახე! – დავინყების სასმისს ამოს
ღმერთი გიძღვის და შენც შესვი,

რომ ან ხსოვნამ აღარ გზაფროს!”

მან დამჩხავლა: „აღარასდროს“.

ვთქვი: „უთუოდ ხარ მისანი, ეშმა იყო, გინდ ფრთოსანი!
რა მაცდურმა, რა გრიგალმა გადმოგაგდო ამ სამყაროს?
ნაღვლიანო, თუმც მედგარო, ამ უდაბურ ნაპრს მდგარო,
და სულეთის ბინადარო, –

გთხოვ, მითხარი, ნუ მხდი სასოს:

ამბობენ, რომ გალაადში ბალსამონი აღარ არსო?”

მან დამჩხავლა: „აღარასდროს!”

ისევ ვუთხარ: „ხარ მისანი, ეშმა იყო, გინდ ფრთოსანი!
ზეცასა და ღმერთს გავედრებ, –

ჩვენთვის ასე სათაყვანოს, –

მიპასუხე, – ჩემი სული, სევდით ასე გათანგული,
შორ ედემში გადარგული, ხომ ჩაეკვრის სანეტაროს,
შუქმნათ ქალწულს, წმინდა ლინორს, –

რომ სულს სული შეეზარდოს?”

მან დამჩხავლა: „აღარასდროს!”.

„დე, ამ სიტყვით, – მე აღმომხდა, –

განშორება ჩვენი მოხდეს!

დაუბრუნდი ქარიშხალს და

ბნელით მოცულ შენს სამყაროს!

და, სიცრუის აქ დასტურად,

შენს შავ ბუმბულს ნუ დასტოვებ!

ნულარ მირღვევ სიმარტოვეს, –

მოშორდი ჩემს საბინადროს!

მკერდს ნისკარტი ამარიდე, –

ვინძლო გული აღარ მლადროს!”

მან დამჩხავლა: „აღარასდროს!”

და ყორანი აღარ იძვრის, ისევ იქ ზის, ისევ იქ ზის,
ფერმკრთალ ქანდაკს ჩუმად მჯდარი

აღარ არხევს ბუმბულ-სამოსს,
და მწველ თვალთა მიმზერს წყვილი,

ვით დემონი ნარწყმედილი,
და მან ჭალქვეშ შავი ჩრდილი მოლივლივე ზოლად გასდო,
და იმ ჩრდილით ჩემი სული, რაც არ უნდა შეეცადოს, -
ვერ აღსდგება, ველარასდროს!

* * *

ვანო ყვავილაშვილის ნათარგმნი „ყორანი“ რიგით მეცამეტეა გამოქვეყნებულთა შორის და ეძღვნება მთარგმნელის ძმის – ჯემალ ყვავილაშვილის ხსოვნას. თარგმანი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „არილში“ (1999 წ., 28.01-10.02, 2, გვ. VII), მეორედ კი – კრებულში ედგარ ალან პო, „რჩეული ლირიკა“ (რედაქტორ-შემდგენლები ლეილა გამსახურდია და კოტე ჯანდიერი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2001 წ., გვ. 61-67). აღსანიშნავია, რომ ამ ნიგნში თარგმანი დაბეჭდილია დედანთან ერთად. ამავე გამოცემაში „ყორანი“ კიდევ სამგზისაა მოხვედრილი (კონსტანტინე ჭიჭინაძის, კოტე ჯანდიერის, კოტე ყუბანეიშვილის თარგმანები), მაგრამ ნიგნის შემდგენლებმა ვანო ყვავილაშვილის თარგმანი მიიჩნიეს ერთ-ერთ გამორჩეულად. ამიტომაც მოათავსეს იგი მთავარ განყოფილებაში კოტე ჯანდიერის სამ თარგმანთან („სონეტი კუნძულ ზანტეს“, „ზარები“, „ელდორადო“) და ლეილა გამსახურდიას მიერ თარგმნილ ედგარ პოს ჩვიდმეტ ლექსთან ერთად.

ვანო ყვავილაშვილი თავის თარგმანში იცავს დედნის თითქმის ყველა ნიუანს და ძალიან ახლოსაა ორიგინალთან. მთარგმნელი მთავარი რეფერენის Nevermore-ს შესატყვისად მიიჩნევს სიტყვას „აღარასდროს“.

მანვე შექმნა აგრეთვე „ყორანის“ მშვენიერი პნკარედი თარგმანიც.

ჟორანი

თარგმნა კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ

ერთხელ გვიან, შუალამით, დაქანცული მძიმე ჟამით,
ვჩხრეკდი ფერად და უცნაურ

ფოლიანტს და ძველ წიგნებსო.

თითქმის ვთვლემდი მოკაკეული, რომ მომესმა ხმა კაკუნის,
თითქოს ფრთხილად რამ რაკუნის ჩქამს კარები გაიღებსო,
„სტუმარია – ვთქვი მე, – ფიქრობს,

კარებს ვინმე გამიღებსო,

სხვა ვინ უნდა იყოს ესო“.

მაგონდება მე დამზრალი დეკემბრის ღრჯუ კვირაძალი,
ანათებდა ცეცხლის ალი იატაკის ფილებს ძველსო,
გათენებას მოველოდი, არ სწყდებოდა ჩემს გულს ლოდი,
ურვისაგან ვიყავ მგოდი, –

რომ ველარ ვჭვრეტ ლინორს, მზესო,
ასულს ნათლის, ანგელოზნი, ვის უხმობენ ლინორს, მზესო,
ქვეყნად უსახელოს დღესო.

უცნაური შარიშური, ძონისფერი ფარდის მდგმური,
შემაკრთობდა, დამასევდა ჯერ არნახულ მე შიშებსო,
ასე ვიდექ, სცემდა გული და ვამბობდი გათანგული:
„სტუმარია, ფიქრობს, კარებს მასპინძელი გამიღებსო,
ნაგვიანვეს, მასპინძელი კარს ჰგონია გაუღებსო,
ეს არის და მხოლოდ ესო“.

მოვიკრიბე ბოლოს ნება: აღარ მსურდა დაყოვნება,
„ბატონო ან ქალბატონო, –

ვთქვი, – მოგიხდით ბოდიშს დღესო,
თუმცა ვთვლემდი, როცა ჩუმი შემომესმა ეს კაკუნი,
თითქოს ფრთხილი რამ რაკუნის ჩქამს კარები გაიღებსო,
არც მეგონა, რომ ეს თქვენ ხართ“, –

ამ სიტყვებზე ვხსნი კარებსო, –
აქ კი ვხედავ მხოლოდ ბნელსო.

გავუსწორე თვალი წყვილიადს, შიშით ატანილმა ფრიად,
და ზმანებებს ვჭვრეტდი დიადს, უცხო რასმე სახილველსო,
თუმც სიჩუმე იდგა სრული, არ მაძლევდა ნიშანს კრული,
„ლინორ, შენ ხარ?“ – ვჩურჩულებდი

სიჩუმეში მის სახელსო.

ვჩურჩულებდი, ექოც უკან მიბრუნებდა ამ სახელსო,
მხოლოდ მას, სხვას არაფერსო.

შემოვბრუნდი შინ გამწყრალი, ედებოდა ჩემს სულს ალი,
მალე უფრო ხმამალალი გულს კაკუნი ისრად ესო,
„უეჭველად, – ვთქვი მე, – ქარი,

აზანზარებს გისოსს ჩქარი,

ნა, გაჰხედე, რა ხმა არი, საიდუმლოც აიხსნესო,
გულო, დაცხრი და ამ ამბის საიდუმლოც აიხსნესო,
ქარის ბრალი არის ესო“.

დარაბები გავხსენ რაო, სად იყო და სად არაო,
თვით ყორანი ჩავლილ დროის ჩემს ბინაში დადგამს ფეხსო,
ჩანდა ფრიად კადნიერი, არ შეყოვნდა ხანიერი,
ბოლოს ლორდის ის იერით, კარის ზემოთ ჩამოჯდესო,
ის კარზემით მდგარ პალასის ბიუსტის თავს ჩამოჯდესო,
დაკეცს ფრთებს და, მხოლოდ ესო.

ამ კუპრისფერ ფრთოსნის ჩენამ გამიქარვა მე მონყენა,
თუმცა იერს ავს და პირქუშს ატარებდა რაოდენსო,
„მოპარსული კი გაქვს თავი,

– ვუთხარ, – მაგრამ არ ხარ ყვავი,
ხარ ყორანი შემზარავი, მკვიდრობ ბნელის შენ კიდესო,
თქვი, სახელად რას გიხმობენ, ტარტაროსის ბნელ კიდესო!“
თქვა ყორანმა „აროდესო“.

ელდა მეცა, გასაკვირი ვცან რა სიტყვა ფრთოსნის პირით,
თუმც ნათქვამში არ ჩანს სიბრძნე, არც რაიმე აზრი დევსო,
მაგრამ არ მნამს მე ნამდვილად,

რომ ხვდენია ვინმეს ნილად,
უცნაური ფრთოსნის ხილვა, ვინც კარზემით ჩამოჯდესო,
ქანდაკების თავს ამაყად ვინც კარზემით ჩამოჯდესო,
და მას ერქვას „აროდესო“.

ყორანი კი ჯდა ეული და არ ჩანდა დაბნეული,
იმ სიტყვაში თითქოს სული მისი სრულად წარმოჩნდესო,
არაფერი უთქვამს მეტად, არც იშლიდა ნაკრტენს ცეტად, –
ვიდრე არ ვთქვი: „ამხანაგნი არსად ჩანან შენი დღესო, –
გაფრენამდე ჩემს იმედთა, გაფრინდება ესეც დღესო“.
თქვა ფრთოსანმა, „აროდესო“.

რა ვისმინე, შეერთა გული, სიტყვით მარჯვედ შერჩეულით,
„უეჭველად, – ვთქვი, – მარაგი, მის სიტყვათა არის ესო,
ტყვედ თუ ჰყავდა მგოსანს ვინმეს,

ვისაც ერგო ხვედრი მძიმე,
და მისამღერს, თავის ჰიმნებს აყოლებდა მნუხარესო.
ის მისამღერს, გლოვის ჰიმნებს აყოლებდა მნუხარესო,
ამ აროდეს-აროდესო“.

თუმც ამჯერად ყორნის სმენამ გამირაქვა სულ მონყენა
და კარი სწინ მოვკალათდი, ქანდაკება სადაც დგესო,

მომერია მალე რული, ოცნებების შეეკარ წნული,
თან ვფიქრობდი გარინდული,
 ნეტავ ჩავწვდე, რას ხმობს ესო,
რა სურს უშნო, აჩრდილისებრ
 და კუშტ ფრთოსანს, რა ხმობდესო
თვის ყრანტალით „აროდესო“.

ეს ვინამე, თუმცა სტუმარს არაფერი ვუთხარ მდუმარს,
ვისი ცეცხლოვანი თვალიც მიდაგავდა გულ-მკერდს დღესო,
ან ბევრ რასმე ვცნობდი მისას, ჩემი თავით, განა სხვისა,
რაც ბალიშზე ხავერდისა ლამპრის შუქით ნათობდესო,
და ხავერდი იისფერი ლამპრის შუქით ნათობდესო,
შეგვანუხებს? აროდესო!

მალე ვიგრძენ თითქოს ნელი საკმეველის აქ სურნელი,
სერაფიმის ვსცან ფეხის ხმა, იატაკზე ზარობდესო,
„ვაჰმე, – ვგოდებ, – ღმერთი გსჯის შენ,
 რომ გიგზავნის მაცნეს ის შენ,
სულის მოთქმით თავი იხსენ, ნუ იგონებ ლინორს, შენსო!
დავინყების ღვინო შესვი, ნუ იგონებ ლინორს შენსო!“
თქვა ყორანმა „აროდესო“.

„მისანო! – ვთქვი, – ძეო მრეშის! – მისანო თუ ჩიტო ეშმის!
ჰგავხარ დესპანს შენ მაცდურის ან გრიგალით ნაოტებსო,
მოოხრების ხარ შენ სული, ამ უდაბნოდ მონავსული,
მაჯლაჯუნად აქ მოსული – თქვი, სიმართლეს იქნებ ხვდესო, –
გალაადში თუა შეება? – თქვი, სიმართლეს იქნებ ხვდესო!“
თქვა ყორანმა „აროდესო“.

„მისანო! – ვთქვი, – ძეო მრეშის! – მისანო თუ ჩიტო ეშმის!
ცის და ღმერთის მადლმა, ვისაც
 ჩვენ ორივე ვესავთ დღესო,

თქვი, ეს სული ნაღვლის მჩენი, შორ ედემის წიაღ მთენი.
ჩაეხვევა, ღვთის მაცნენი ვის უხმობენ ლინორს, მზესო –
ჩაეხვევა წმინდა ასულს, ვის უხმობენ ლინორს მზესო?“
თქვა ყორანმა „აროდესო“.

„ან გაგყაროს სიტყვამ ერთმა! –

ვუთხარ, – ჩიტი ხარ თუ ეშმა!“ –

დაუბრუნდი კვლავ გრიგალს და

ტარტაროსის ბნელ კიდესო!

არ დატოვო არც ბუმბული, მაგ სიცრუის ნიშნად სრულის!
მსურს დამაგდო მარტოსული! და ბიუსტიც, კმაროდესო!
ნუ მილადრავ გულს ნისკარტით,

ნულარ გხედავ, კმაროდესო!“

თქვა ყორანმა „აროდესო“.

და ყორანი, ეგზომ მშვიდი, მუდამ აქ ზის, შფოთის მრიდი
ზედ ბიუსტზე პალადისა, ჩემ კარების თავს რომ დგესო,
ყველა ნიშნით მისი თვალი

ჰგავს დემონის თვალს მრისხვალი

და ლამპრისა შუქი მკრთალი იატაკზე მის ჩრდილს ჰფენსო;
ჩემი სული ამ ჩრდილიდან,

ლამპრის შუქი ძირს რომ ჰფენსო,

ნამოდგება? – აროდესო.

* * *

კონსტანტინე ზ. გამსახურდიასეული ნათარგმნი „ყორანი“
რიგით მეთოთხმეტეა და გამოქვეყნდა ჟურნალ „კლდეკარში“
(1999 წ., 2, გვ. 43-46).

თარგმანი თექვსმეტმარცვლიანი ლექსითაა შესრულებუ-
ლი ინგლისურიდან და რეფრენად გამოყენებულია „აროდესო“.

ტექსტს ახლავს „მთარგმნელის შენიშვნა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ამ მეტიად რთული შინაარსისა და აგებულების ლექსის თარგმანში მკითხველს თვალში მოხვდება „ო“ დაბოლოება, დამახასიათებელი ხალხური ლექსისთვის. თუმცა, ასეთი რამ გვხვდება აგრეთვე აკაკისთან და გურამიშვილთან: ამ უკანასკნელის ლექსში („ვაი, რა კარგი საჩინო...“) ყველა სტრიქონის კიდური სიტყვა ერითმება „იესოს“. ასეთივე საკვანძო სიტყვა ედგარ პოსთან არის Nevermore (თარგმანში „აროდეს“). ორიგინალის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ვერტიკალში ყოველი მეორე სტრიქონის კიდურა სიტყვა სწორედ მას ერითმება. ლექსი გარითმულია აგრეთვე ჰორიზონტალშიც, და ეს სპეციფიკა შევეცადე გამეთვალისწინებინა მისი გადმოქართულებისას.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს „ყორანის“ არაერთი საინტერესო ქართული ვარიანტი, მე მაინც შევეცადე მის ახლიდან თარგმნას, ვინაიდან შედეგის კიდევ ერთი თარგმანი არასგზით არ აწყენს კულტუროსან ერს. მსოფლიო ლიტერატურული მთარგმნელობის ისტორიიდან ცხადად ჩანს: თვით ყველაზე ბედნიერ შემთხვევაშიც კი, თარგმანის „კონგენიალურობა“ შედეგ-ორიგინალთან მიმართებაში მაინც გარკვეულ პირობითობას ექვემდებარება“.



ყორანი

თარგმნა გია ბენიძემ

ლამით მოღლილი და მოქანცული
ვიჯექ ფიქრებით შემოგარსული
და თვალს ვავლებდი ტომს გარდასული,
დავინწყებული მეცნიერების
და, როს დამენყო თავის კანტური,
თვლემამორეულს მესმა კაკუნი,
ვილაცის ნაზი, ჩუმი კაკუნი ჩემი პალატის კარს ეფერების:
„ეს სტუმარია, – წავიდუდუნე, –
კაკუნი მესმის, სხვა არაფერი,
კაკუნი მესმის, სხვა არაფერი.“

ოჰ, ნათლად მახსოვს მე იგი ღამე,
ჩამოქუფრული დეკემბრის ღამე,
ცეცხლმა მოკვდავმა და მოკამკამემ
იატაკს ჩრდილნი ჰფინა შავფერი,
ვთქვი: „გათენებამ მიშველოს იქნებ,
თორემ ამ წყეულ, დამტვერილ წიგნებს
არ შეუძლიათ გადამავინყონ
ლენორას გამო დარდი მსახვრელი,
ქალწულ ლენორას – ანგელოსთაგან
ერგო რომელსაც ეგე სახელი,
მარადისობა და არაფერი.“

და შემპარავად შეირხა ფარდა,
ნელა შეირხა ფარდა წითელი;
გამაჟრიალა – ჯერ განუცდელი
ფანტასტიკური შიში ვიგრძენი
და, რომ დამეცხრო ელდის მორევი,
ვიდექ და ჩუმად ვიმეორებდი:
სტუმარი ვინმე, გვიან მოსული
კარის გაღებას მთხოვს მონდომებით
სტუმარი ვინმე, გვიან მოსული –
სურვილი თუ აქვს ღამის გათევის;
სურვილი მხოლოდ, სხვა არაფერი.

მალე მომეცა ისევ იმედი,
მტკიცე ნაბიჯით კართან მივედი:
„სერ, – ხმადაბლა ვთქვი, – ანთუ მილედი,
გთხოვთ, ნუ იქნებით ავმეხსიერი,
მაგრამ ცხადია, მე მართლა ვთვლემდი,
როცა თქვენ კარზე აკაკუნებდით,
ისე უჩუმრად აკაკუნებდით, არ შეუცვლია დუმილს იერი,
გთხოვთ მაპატიოთ და შემობრძანდეთ“ –
გავაღე კარი და – არაფერი;
წყვდიადი მხოლოდ, სხვა არაფერი.

დიდხანს ვუმზერდი ღამის სიშავეს
გაოცებული და მოშიშარი:
რა ზმანებები წამოიშალნენ –
მოკვდავის თვალით ჯერ უნახველი,
მაგრამ დუმილი იყო პირშავი, არ მოუცია მცირე ნიშანიც;
ბნელს ნავჩურჩულე მხოლოდ „ლენორა“ –
ეს ერთი სიტყვა, მისი სახელი.
ექომ შრიალით გაიმეორა
მხოლოდ „ლენორა“, სხვა არაფერი,
ეს ერთი სიტყვა, სხვა არაფერი.

მოვბრუნდი, კარი დავხურე ისევ,
ვზივარ მდუმარედ და სული იწვის;
ცოტაც და – ისევ კაკუნი ისმის,
უფრო მძაფრი და უფრო ხმიანი:
„ცხადია, – ვამბობ, – იქ ვილაც არი,
ჩემს დარაბასთან ვილაც სტუმარი,
უნდა გავიგო, რა საიდუმლოს მაღავეს ეს ღამე ბურუსიანი,
უნდა ამოვხსნა ეს საიდუმლო, იქნებ ქარია, სხვა არაფერი,
ქარია მხოლოდ, სხვა არაფერი“.

კარები უცებ გავხსენ რახუნით:
შემოაბიჯა ფრთების ფათქუნით,
სახით ჯიქურით და ყაჩაღურით
დიდმა ყორანმა ზღურბლზე პალატის,
მოუხეშავი და კადნიერი, თავაზისა და რიდის თვინიერი,
მაგრამ ლორდის თუ ლედის იერით
ზედ დააფრინდა ბიუსტს პალადის,
ზედ კარის თავზე ბიუსტს პალადის
დააფრინდა და სხვა არაფერი,
დააფრინდა და სხვა არაფერი.

აბანოზივით შავმა ყორანმა
ჩემს წარმოსახვას ღიმი მოჰგვარა,
მისმა სიმკაცრემ და პირქუშობამ
ღიმი მოჰგვარა ჩემს მწუხარ თვალებს:
„თუმცა ქოჩორი გაქვს მოკრეჭილი, –
ვთქვი, – უდავოა, არა ხარ მხდალი,
ყორანო, შმაგო და უძველესო,
რას გინოდებენ პლუტონის მხარეს?
მარქვი მეფური სახელი შენი,
ან და მარადის რომ დამახსომდეს“.
და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს“.

უფრო გავოცდი მისი პასუხით –
გონივრულით თუ ოინბაზურით,
მოსაზრებულით თუ უაზროთი –
მე სასწაულის გავხდი მხილველი;
არ დამეთანხმით – არ შეიძლება,
რომ სასწაულით სული იცვლება,
ბედნიერებად ჩათვლიდა ყველა,
შინ რომ ეხილა იგი ფრინველი,
ქანდაკებაზე მჯდომი ფრინველი
უთუოდ დიდად უნდა ფასობდეს
ამგვარ სახელით – „ალარასოდეს“.

მაგრამ ყორანმა, ბიუსტზე მჯდარმა,
მხოლოდ და მხოლოდ ეს სიტყვა ბრძანა,
ამ ერთ სიტყვაში თითქოს ჩაღვარა
სული პირქუში და უნდობელი
და ამის მეტი არარა სთქვა მან,
არ შეარხია ერთხელაც ფრთა მან,
სანამ ჩურჩული არ წამცდა თავად:
„უკვე გაფრიდნენ სხვა მეგობრები,
გათენდება და შენც მიმატოვებ,
როგოც იმედი და სისასოვე“.
კვლავ თქვა ფრინველმა: „ალარასოდეს“.

საზარ დუმილში ავად დამსუსხა
ამ ულმობელმა, ზუსტმა პასუხმა;
„უეჭველია, – ვთქვი უსასოოდ, –
ეს ერთი სიტყვა იცის მან მხოლოდ,
ალბათ ისწავლა პატრონისაგან,
რომელს უფალიც აღარ იცავდა,
სანამ სიმღერა არ შეუმძიმდა
და თავის იმედს ბოლოს და ბოლოს
რა გადუხადა მან პანაშვიდი, მელანქოლიას აქსოვდა ოდენ
სიტყვაში: „ალარ, ალარასოდეს!“

მაგრამ ყორანმა ჩემს ფანტაზიას
კვალად ღიმილი აღმოახდინა;
ბალიშს ვასწორებ და სავარძელში
სტუმრის პირისპირ ვზივარ უძრავი,
ჩაძირული ვარ ბალიშებს შორის
და ფიქრი ფიქრზე მოდის უზღვავი:
ეს ავბედითი და საზარელი
შავი ფრინველი მას ჟამსა შინა,
შავი ფრინველი მას ჟამსა შინა
ერთადერთ სიტყვას ჰგულობს მარტოდენ
თავის ჩხავილში – „აღარასოდეს“.

ასე ვიჯექ და ვხსნიდი ქარაგმას,
არ ვაპირებდი მასთან ლაპარაკს;
ფრინველი თავის მწველი თვალებით
ჩემს გულს გმირავდა შეუბრალები;
ფიქრმა დამძალა, ფიქრმა დამლალა,
ბალიშისაკენ თავი დავხარე,
ნელი ციაგით იისფერ ხავერდს
დასთამაშებდა ლამპის ალები
და ვის ხავერდზეც ლამპის ალები
ნელი ციაგით დათამაშობდნენ,
კენესდა: „ოჰ, აღარ, აღარასოდეს!“

შემდეგ ვიხილე ნაზი ჩვენება:
ჩემ წინ ჰაერი თითქოს შედედდა,
საცეცხლურს არხევს აქ სერაფიმი,
ნოხი წკრიალებს, ვითარცა ზარი;
„ო, უბედურო! – ნამოვიძახე, –
სულისა შვებას ღმერთი გიგზავნის,
რომ დაივიწყო მკვდარი ლენორა,
გეხმარებიან ციურნი ძალნი,

მაშ, დაივინე მკვდარი ლენორა,
შენი საბრალო გული დაზოგე!
კვლავ თქვა ყორანმა „ალარასოდეს!“

მე ვთქვი: ბოროტი არის მისანი,
ფრინველი იყოს, გინდა სატანა!
რომელ ქარს მოჰყევ ამა ნაპირთან,
იქნებ მაცდურმა გამოგაგზავნა?
უბედური ხარ, მაგრამ უშიში,
და ამ უდაბურ მინას წვეული,
ამ გრძნეულ სახლში სტუმრად მოსულხარ,
სად ჩემი სული თრთის დამწყვდეული,
მარქვი, იმედი სუფევს თუ არა,
მარტოდენ ჩრდილნი საცა არსობენ?
და თქვა ყორანმა: „ალარასოდეს“.

მე ვთქვი: „ბოროტი არის მისანი,
ფრინველი იყოს, გინდა სატანა!
გაფიცებ ძალთა განგებისათა,
ზეცას გაფიცებ, ჩვენზე დამხობილს,
მაუნყე, ჩემი სული მნუხარი
ამ უცხო მხარეს როცა გადავა,
ჩაიკრავს გულში უნმინდეს ქალწულს,
ანგელოსთაგან ლენორად ხმობილს?
სხივმფინარ ასულს, ლენორად ხმობილს,
ალარ შევხვდები ან არასოდეს?“
და თქვა ყორანმა: „ალარასოდეს“.

„ფრინველი იყავ, გინდა სატანა! –
შევივლე უცებ, – გაჩუმდი, კმარა!
იბრუნე პირი კვლავ ქარიშხალში
და მიაშურე პლუტონის მხარეს!
ამოარიდე ჩემს გულს ნისკარტი,
გასნი, გამშორდი და გაქრი ჩქარა,

აქ ყოფნის კვალი – ბუმბულის ღერიც
არსად დატოვო, სახლში თუ გარეთ,
ნულარ დამიმსხვრევ ჩემს სიმარტოვეს
და შენი გვარი დროა გამშორდეს!"
კვლავ თქვა ყორანმა: „ალარასოდეს!"

და ზის ყორანი, ფრთის გაურხეველად
კვლავ ზის აქამდი, კვლავ ზის აქამდი,
პალადის ფერმკრთალ ბიუსტის თავზე,
კარის თავანზე მიდგას რომელიც,
და მისი მზერა, უკუნი მზერა
ჰგავს მეოცნებე დემონის მზერას;
ჰფენს ლამპის შუქი მის ვეება ჩრდილს,
იატაკზე რომ თრთის ულმობელი,
და ჩემი სული ამ ბოროტ აჩრდილს
არ განშორდება ალარასოდეს,
არ განშორდება ალარასოდეს!

* * *

რიგით მეთხუთმეტე გამოქვეყნებული თარგმანი „ყორანისა“ ეკუთვნის გია ბენიძეს. იგი დაიბეჭდა გაზეთ „ალტერნატივაში“ (1999 წ., 27.09-4.10, 19, გვ. 5). აღსანიშნავია, რომ 1999 წელს ზედიზედ გამოქვეყნდა ედგარ პოს ამ ლექსის ოთხი თარგმანი (ვანო ყვავილაშვილის, კონსტანტინე ზვიად გამსახურდიას, ზვიად მუსელიანისა და თავად გია ბენიძის). თარგმანთა ეს სიუხვე გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ წელს შესრულდა ედგარ პოს დაბადების 190 და გარდაცვალების 150 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, ქართველმა პოეტებმა ოთხი თარგმანით გაამდიდრეს „ყორანი“.

გია ბენიძისეული თარგმანი 20-მარცვლიანი ლექსითაა შესრულებული და რეფრენად გამოყენებული აქვს „ალარასოდეს“. დაუდგენელია პოეტმა დედნიდან თარგმნა თუ არა „ყორანი“.

ჟორანი

თარგმნა ზვიად მუსელიანმა

ერთხელ, ღამით, როცა ბნელი,
მაძალებდა ფიქრი ძნელი
უცნაური თავსატეხის,
მივინყებულ ცოდნის აზრს,
მომეჩვენა, ვილაც მიხმობს,
შემომესმა უცებ თითქოს
აკაკუნებს ვილაც, ითხოვს
თავშესაფარს, ალებს კარს.
„სტუმარია, – გავიფიქრე, –
აკაკუნებს, ალებს კარს,
სტუმარი, – სხვა არა რა“.

მაგონდება, მახსოვს მაშინ,
დეკემბერში, მყინვარ ქარში,
ჯერ ჩაუმქრალ ნაკვერჩხალში,
ლანდი როცა ახელს თვალს,
მოვინატრე განთიადის შუქი,
დრო რა ნელა გადის!
სევდა ღამის მისწვდეს ცამდის,
სად ლინორის სახლი დგას –
მზეთუნახავ ქალის, ვინც

ანგელოზთა ისმენს ხმას,
აქ არავინ იცნობს მას.

ჩრდილი ჩუმად ფრიალებდა,
უჩვეულოდ შრიალება
განცვიფრებულს ფანტასტიკურ
შიშის ელდას, მცემდა ზარს.
გულისცემა ჩემი მესმის,
ხმა ღამეულ წყვდიადს ერთვის
ისევ ვიმეორებ ჩემთვის:
„აკაკუნებს, ალებს კარს.
სტუმარია ვილაც, გესმის?!
აკაკუნებს, ალებს კარს
სტუმარი, სხვა არა რა“.

რომ დავძლიე შიში ძნელად,
კარებისკენ მივალ ნელა.
„მოიცადეთ, – ვამბობ, – ცოტა
მოითმინეთ, სულ ერთ ნამს
ფიქრებში ღრმად ჩავიძირე,
სევდა გულზე მანვა მძიმე,
უნებურად ჩავიძინე.
ყური ძლივსლა ვუგდე ხმას.
აკაკუნებს ვილაც, მივხვდი,
მივდივარ და ვალებ კარს:
წყვდიაღია, სხვა არა რა“.

სიბნელეში მზერა მირბის,
შიშისაგან გული მიმდის,
იქ ზმანებას ვხედავ ისეთს,
ვერ გავბედავ ენით თქმას

სიჩუმე კი, დაურღვევი,
უძრავი და უმეტყველი
მხოლოდ ერთი სიტყვის მთქმელი:
„ლინორ!“ – შემომესმა ხმა.
მე ვჩურჩულებ, ეს ექოა,
იმეორებს მხოლოდ ხმას,
მხოლოდ ხმას, სხვა არა რა.

გულში ცეცხლი დატრიალდა,
სულში ალი აბრიალდა,
რალაც ისევ ანრიალდა,
მოუმატა კიდევ ხმას.
„ეს ხომ, – ვთქვი მე, – ახლა ვხვდები,
სარკმელიდან ისმის ხმები,
რომ ვიხილო, ახლოს ვდგები,
აფრთხიალებს თითქოს ფრთას.
მაჟრიალებს, ტანი მიკრთის,
აფრთხიალებს თითქოს ფრთას.
ქარი ქრის, სხვა არა რა.“

დარაბები გამოვალე,
ფრთის ფართხუნით, დავინახე,
შიგ ყორანი შემობრძანდა,
მედიდურად იჭერს თავს.
ანარეკლი წარსულ ჟამის,
დავივინყეთ ჩვენ რომ ლამის,
როგორც მბრძანებელი ლამის,
შეაფრინდა სახლის კარს.
შეხტა პალადას ბიუსტზე,
ზემოდან რომ ადგას კარს
შემოჯდა: სხვა არა რა.

მწუხარება გამინელდა,
გავიღიმე, გაქრა სევდა.
სახე ისე ამაყი და
უცნაური ჰქონდა მას,
აქოჩრილი ბუმბლი ბნელი,
ეს ყორანი ძველისძველი
ჩემს სარკმელთან საზარელი,
მოუგდია ღამის ქარს.
„თქვი, ზმანებავ ღამეულო,
გინოდებენ სახელს რას?!“
ჩხავის მხოლოდ: „არარა!“

მართლაც ძლიერ გამოაცა,
მან წარმოთქვა სიტყვა როცა,
უაზრო და უმიზეზო,
მოსაწყენად უღერდა ხმა –
უბადლო და არსად თქმული,
საოცრება არის სრული,
რომ ფრინველი არნახული
შეაფრინდეს ღამის კარს.
ფრინველი ან იქნებ მხეცი,
დააფრინდეს ძეგლის თავს,
დაიჩხავლოს: „არარა“.

ყორანი რომ ძეგლზე დაჯდა,
მხოლოდ ერთი სიტყვა დასძრა,
ერთი სიტყვა, მაგრამ სული
მოაყოლა თითქოს მას.
არც ჩხავის და არც ყრანტალებს,
არც კი ამოდრავებს თვალებს
„ნავა, გაფრინდება მალე –
ვჩურჩულებ და ვხუჭავ თვალს, –

ვით ქრებიან იმედები,
მიმატოვებს დილით, ხვალ".
შემომძახა: „არარა!“

შევკრთი, თითქოს მინა იძრა,
მან იგივე სიტყვა მითხრა,
„მართლაც, – ვთქვი მე, – მან ყოველთვის
ერთი სიტყვა უნდა თქვას,
უცაბედად გაგონილი,
ვინმე სასონარკვეთილი
სიკვდილმისჯილი რომ მოთქვამს,
ეშაფოტზე როცა დგას,
რომ გალობენ სულთათნას,
სევდიანი ისმის ხმა,
ო, არარა, არარა.“

კვლავ ღიმილად გადამექცა
სევდა, ალბათ ჩვევად მექცა,
სავარძელი დავდგი კართან,
ფრინველი კი იქვე დგას.
ახლა, უკვე აღარ მიკვირს,
დრო საკმაოდ მექონდა ფიქრის
ვდარდიანობ მხოლოდ მისთვის,
რომ არ ვიცი ნეტავ რას,
რას მიქადის საშინელი
ხმით რომ დაიყარყარა,
შემომძახა: „არარა!“

გამოვიცნობ მაინც, მჯერა,
არ დამიძრავს თუმცა ბგერა,
სანამდის მის თვალთა მზერა
გულს აღგზნებულ ცეცხლში წვავს.

საგონებელს ჩაძირული,
განსაცდელში განწირული
ვხედავ, შუქი გაყინული,
იისფერი სხივით რთავს,
ოთახს მკრთალი შუქი ფარავს,
დამცინავი სხივით რთავს
დამცინის: „ო არარა!“

მომეჩვენა ვილაც თითქოს,
სურნელოვანს აფრქვევს სითბოს,
სერაფიმი მოაბიჯებს
და წკრიალა ისმის ხმა:
„საბრალოვ, ღმერთს შენი სულის
განკურნება სურს, ტანჯულის,
შესვი მაღლით და ქალწულის
ალარ გაიგონებ ხმას.
შესვი, შესვი, ეს სასმისი
დაივინყებ უმაღლ მას“.
ჩხავის ისევ: „არა რა!“

„მოძღვარი ხარ ბოროტების,
ეშმაკს გამოგისხამს ფრთები,
ხარ მაცდურის მოგზავნილი,
მოუგდიხარ ღამით ქარს
უბადრუკი განდევილი,
მოხიბლული, დანყვევლილი,
ავსახეთაგან დევნილი,
გევედრები მართლის თქმას:
გალაადის მთებში შველა
არის ჩემთვის თუ არა.
ჩხავის ისევ: „არარა!“

მოძღვარი ხარ ბოროტების,
ეშმაკს გამოგისხამს ფრთები.
ჩვენ ორივეს გვფარავს ზეცა,
თანაც ერთი ღმერთი გვწამს.
ელირსება კი, რომ ჩემს სულს,
ნეტარებას მონატრებულს,
თუ იხილავს წმინდა ქალწულს,
აქ რომ არვინ იცნობს მას.
მზეთუნახავს, წმინდა ასულს,
ვინც ზეციურს ისმენს ხმას?
ჩხავის ისევ: „არარა!“

დაე, შენი ბოლო სიტყვა
განშორების ნიშნად ითქვას,
განვედ ჩემგან შორს მაცდური,
შორს ღამეულს მიჰყევ ქარს,
არ დატოვო არც ბუმბული,
ვით სიცრუის სიტყვა თქმული,
მიმატოვე მარტოსული,
ნულარ შემოაღებ კარს,
გულს ნისკარტი მომაცილე,
ჩამოშორდი ძეგლის თავს.
ჩხავის ისევ: „არარა!“

მომზირალი უმონყალოდ,
ზის ყორანი უმოძრაოდ
ქვის პალადას თეთრ ბიუსტზე,
ზემოდან რომ ადგას კარს.
თვალებით კი ის ჰგავს გრძნეულს,
ბოროტ დემონს, ჩაძინებულს,
მან კარებთან დაკიდებულ

ჭრაქის შუქიც დაფარა,
სული ჩემი, იმ ჩრდილიდან
ოთახი რომ დაფარა,
წამოინევს, – არარა!

* * *

ზვიად მუსელიანის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი „ყორანი“ რიგით მეთექვსმეტეა. იგი მოთავსებულია პანანისა კრებულში (სულ 32 გვერდი), რომელიც თავად მთარგმნელს შეუდგენია (იხ. ედგარ პო, „ლექსები“, 1999 წ., გვ. 17-29). აქ თარგმანი წარმოდგენილია დედნის პარალელურად. ტექსტი 8-მარცვლიანია და ყოველი სტროფი შედგება 11 სტრიქონისაგან, ოღონდ ბოლო – მეთერთმეტე პნკარი 7-მარცვლიანია, რეფრენად გამოყენებულია „არარა“.

წიგნაკს ახლავს დამატება – „მთარგმნელისაგან“, სადაც ვკითხულობთ:

„ამ კრებულში თავმოყრილია ამერიკელი პოეტისა და ნოველისტის ედგარ პოს საუკეთესო პოეტური ქმნილებები.

ორიგინალური ვერსიფიკაცია, არაჩვეულებრივი დინამიზმი, რითმის სიმდიდრე, ალიტერაციულ-ასონანსური სვლები; ყველაფერი ეს საოცრად აძლიერებს ნაწარმოებთა ემოციურ ალთქმადობას, ზოგიერთი მათგანი („ყორანი“, „ულალუმი“, „ზარები“) მკითხველზე ახდენს შოკური ხასიათის შიშის ეფექტს და ქმნის შეგრძნებათა სამყაროს, რომელშიც მეფობს უკიდურესი უიმედობა, მისტერიული ქაოსი და სალი ცნობიერების მისტიკურ საშინელებასთან აგონიური ჭიდილი მიმდინარეობს.

ედგარ პოს პოეზია არის ის გარდატეხის ნერტილი, რომელიც რენესანსისა და რომანტიზმის შემდეგ სიმბოლიზმისა და დეკადანსის წინამორბედად გვევლინება“.

აქვეა მოთავსებული ედგარ პოს რამდენიმე ლექსის – „ანაბელ ლი“, „ულალუმი“, „ზარები“, „მდუმარება“, „დედას“ და „ელდორადო“ ზვიად მუსელიანისეული თარგმანი.

ჟორანი

თარგმნა ბათუ დანელიამ

უკვე შუალამე იდგა, მივატოვე წიგნის კითხვა
და ჩავთვლიმე დაღალულმა უსასრულო ვარამით,
გამაღვიძებს რალაც მყისვე, მორიდებულ კაკუნს ვისმენ,
წამომადგებს ზეზე ის მე – ხმა სიმშვიდის მპარავი,
ვამბობ: „ნაღდად სტუმარია ჩემი ძილის მპარავი,
სტუმარი, სხვა – არავინ“.

კარგად მახსოვს ყველა წამი: იყო ზამთრის ცივი ღამე,
ცეცხლი ჩრდილთა ხატვით იყო იატაკის მფარავი,
ვერ მშველოდა კითხვა წიგნის, თვალწინ ისევ მედგა იგი,
ვისზეც უწყვეტ, მწარე ფიქრით გავხდი ხსოვნის კარავი,
ლინორად რომ ცნობს იმქვეყნად ყველა სრა და კარავი,
ამქვეყნად კი – არავინ.

წითელ ფარდის მწუხარ შრიალს, თითქოს ჩემი სული მიაქვს,
თავზარს მცემს და მაცახცახებს ხმები გულის მბზარავი,
და რომ გული დავიმშვიდო, აღარა მაქვს შიში ვითომ,
ვამბობ: „აღბათ ღელავს თვითონ, კეთილი და ალალი, –
კართან ნაღდად სტუმარია, კეთილი და ალალი,
სტუმარი, სხვა – არავინ“.

კარისაკენ წაველ უმალ, რომ გავუღო კარი სტუმარს:
„ბოდიშს გიხდით, სერ თუ ლედი, ყრუა ჩემი დარანი,
ჩამთვლემია დარდის მქონეს, აღარა ვარ თავმომწონე,
კაკუნნი ვერ გავიგონე“, – ვთქვი და მიველ კარამდი,
ვალეზ, მაგრამ ის სადაა, ვისზეც მიველ კარამდი?!

ბნელი და სხვა – არავინ.

მსტუმრებია ღამის ბნელი, ღამეს ჩამოვართვი ხელი...
და ჯოჯოხეთს ჰგავდა ღამე – საზარი და არამი.
სულ ამოდ ველი ვინმეს, სულს არავინ გამიბრწყინებს,
უცებ: „ლინორ!“ – მესმის წინ მე, სადაც არი წკვარამი,
თურმე „ლინორ“ მე ვთქვი, ის კი იყო ექო წკვარამი,
ექო და სხვა – არავინ.

ღამე მთვრალი იყო ქარით, მივეუხურე ღამის კარი
და კაკუნნი ისევ მესმის იმგვარადვე მზარავი,
ისევ შეკრთა ჩემი სევდა: ქარს სწადია ყოფნა ჩემთან,
ალბო, კარსაც ქარი სცემდა, ახლა მიხმობს სხვა რამით,
ახლა უკვე სცემს ფანჯარას და ერთობა სხვა რამით,
ქარი და სხვა – არავინ.

ქარი გუდავს გარეთ ბალებს, მე დარაბას ოდნავ ვალეზ,
შინ ყორანი შემოფრინდა ფრთების სალამ-ქალამით,
ოთახს მწუხარებით ავსებს და პალადას ბიუსტს თავზე
დაასკუპდა და მე დამმზერს, როგორც შავი ალამი,
ეს, ყორანი გადმომყურებს, როგორც შავი ალამი,
ყორანი, სხვა – არავინ.

შიში ვძლიე უფლის ნებით, უცნაურად ვიღიმები,
ვხედავ ყორნის ყოყოჩობას, მოვემზადე სამასხროდ:
„მოფრენილხარ ჩემი მხსნელი, უსათუოდ შენ მიშველი,
თქვი, ავსულო, სადაც ბნელი და სატანა ნავარდობს,

რას გეძახდნენ, სადაც ბნელი და სატანა ნავარდობს?!“ –
მპასუხობს: „ალარასდროს!“

ყორნის ხმაც კი არის შავი და უაზრო იმის ჩხავილს
რა გავუგო! ვაყურადებ, როგორც ქუხილს საავდროს...
როგორია: სულდგმულ ბინდად გვიან ღამით იმ ქვეყნიდან
შინ ყორანი შემოფრინდა და სურს რაღაც გამანდოს,
დაასკუპდა ბიუსტს თავზე და სურს რაღაც გამანდოს,
თან ჰქვია: „ალარასდროს“.

ამ ერთ სიტყვას, ღამის ტოლას, თითქოს სული გააყოლა
და პალადას ისე აზის, თითქოს თვითონ პალადობს,
ზის, აფრენა აღარ ნებავს, არავისთან ფიქრობს შებმას,
ვთქვი: „მიგანეს მეგობრებმა, ერთგულს და უღალატოს,
ხვალ-ზეგ ესეც მიღალატებს, ერთგულს და უღალატოს“,
მან კი თქვა: „ალარასდროს!“

ეს პასუხი ნერვებს მიშლის და ვბუტბუტებ უკვე შიშით:
„უსათუოდ, მან ეს სიტყვა უნდა მისგან განავრცოს,
ვისაც ამ ერთ სიტყვის ჟღერით ჩაესმოდა ბედისწერის
მსჯავრი, შიშით გულგაბერილს, ტკივილებით დანაზრობს,
დღე და ღამე ჩაესმოდა ტკივილებით დანაზრობს,
აი, ეს „ალარასდროს“.

ჩაიარა შიშმა მეხად, კვლავ ვიღიმი, როგორც წელან,
გულმა მითხრა, ყური უგდე ამ კუპრისფერ ლავასო!
ახლოს დავდგი სავარძელი,
თითქოს, რაღაც მთავარს ველი,
მოყრანტალე ეს ფრინველი, იქნე რამეს მთავაზობს,
იქნებ ხედავს ჩემს მომავალს და რაღაცას მთავაზობს
მისი ეს – „ალარასდროს!“

დავიქანცე, ლამპაც ბუუტავს,

თავი ვიგრძენ ძალზე ცუდად
და ყორანი ცდილობს, ცუდი, მე მზერითაც დამმართოს...
იქნებ, სიზმრად, ღვთიურ ძალით

ვნახო სახე ძვირფას ქალის!
ჯობს დავემხო თავქვე ბალიშს – სიზმრების სანაგარდოს...
ეს, ლინორი თავს რბილ ბალიშს –

სიზმრების სანაგარდოს,
შეახებს აღარასდროს.

უცებ, თითქოს, გაკრთა სივრცე, საამური სუნი ვიგრძენ,
სერაფიმი მიკმევს გუნდრუკს, მწარე ბედის სანაცვლოს...
და შევძახე: თავო ჩემო, მარტოობამ რომ არ გგვემოს,
ღმერთი გკურნავს: უნდა ზემოთ შენი ხსოვნა ჩარაზოს,
დავიწყებას გასმევს, რათა ხსოვნის კარი ჩარაზოს!"

ყორანმა – „აღარასდროს!"

და ვუყვირი ფრინველს მავნეს: „აქ საიდან მოგაგზავნეს?
ვის სურს, ჩემი უცოდველი, წრფელი გული დანაცროს
ჩემსავ ჭერქვეშ, სადაც ახლა

შენი მზერა შიშით მდალავს?!

მითხარ, მაღალ ქედებს მაღლა,

როგორც გზას სამარადოს,

თუ ვიპოვი სულის შევებას, როგორც გზას სამარადოს!"

ყორანმა – „აღარასდროს!"

ისევ ვკითხე ფრინველს მავნეს: „აქ საიდან მოგაგზავნეს?
სად იპოვის სული ლინორს, მის აღერსს სად განაგრძობს? –
მაღლა, სადაც ზეცა ქედებს ანევს,

როგორც მიწის სვეტებს,

თუ ედემში შემახვედრებს ღმერთი ცათა თანასწორს,
ვისაც ლინორს ეძახიან ანგელოზნი თანასწორს?!"

ყორანმა – „აღარასდროს!"

„ნეტა, როგორ აგხდი ნილაბს, ფრინველი თუ დემონი ხარ!
განვედ ჩემგან, დაუბრუნდი ეშმაკების მარათონს,
ნუ დატოვებ ბუმბულს კვართის

ნახევად და სულს ნისკარტი
მოაშორე და გავარდი, რომ ღამემ არ გაგასწროს,
ნუ აყოვნებ, განვედ ჩქარა, რომ ღამემ არ გაგასწროს!“
ყორანმა: „აღარასდროს!“

ზის ბიუსტზე კარის ზევით,

ფრთებს ისწორებს ნელი რხევით,
თითქოს ამბობს, არსად წავალ, არ შევეკრავ კამარასო!
თავზე ბნელი მზერით დამმზერს,

სიავით აქვს გული სავსე,
ლანდს ისე ჰფენს იატაკზე, თითქოს უნდა გამაცნოს...
და ეს ლანდი, რაც სურს, თავის ორეულად გამაცნოს,
არ წავა აღარასდროს.

* * *

ბათუ დანელიას ნათარგმნი „ყორანი“ რიგით მეჩვიდმეტეა და დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (2000 წ., 28.07-3.08, გვ. 15). თარგმანში დაცულია დედნისეული სტროფებისა და მათში პნქარების რაოდენობა, ოლონდ, მეექვსე სტრიქონი რატომღაც შვიდმარცვლიანია. ლექსის ზომად არჩეულია ედგარ პოსეული 16 მარცვალი. მთარგმნელს Nevermore-ს სანაცვლოდ რეფრენად გამოუყენებია ოთხმარცვლიანი სიტყვა „აღარასდროს“.

ჟორანი

თარგმნა კოტე ჯანდიერმა

ერთხელ, უღრან შუალამეს, უძილობით დაღლილ თვალებს
ნიგნთა გაყვითლებულ თავებს მივაპყრობდი მდუმარი.
ჩამეძინა, რადგან ნიგნში ვერ მივაგენ პასუხს რასმეს
და ჩამესმა – აჭრიალებს ბინდი ნასამუმარი
ჩემს კარს. იქნებ სტუმარია, რა მაქვს დასამდურავი –
ღვთისა არის სტუმარი.

კარგად მახსოვს, იდგა ბნელი, გამყინავი დეკემბერი
და ბუხრიდან ცეცხლი ნელი ანათებდა ოდნავ ბნელს.
განთიადი იყო შორი და პასუხი ნიგნში სნორი
ვერა ვნახე, ვით მეცხოვრა ამ დეკემბერს ცივს და სველს
ულინოროდ, რომლის წასვლაც მოესურვა ციურ ხელს;
ლინორ ერქვა ასულს მწველს.

ირხეოდა აბრეშუმის ფარდა ჩუმი შარიშურით;
საბოლოოდ გაკრთა რული – მაშფოთებდა უცხო ხმა.
და ვუთხარი ჩემს თავს მაშინ: „მგზავრი არის ვინმე ქარში,
ლამით დარჩენილი კარში, სადაც ბნელი მეფობს ღრმა,
ის, ვინც კარზე აკაკუნებს – სტუმარია მხოლოდლა,
სტუმარი და არვინ სხვა“.

ღამესა და ბნელ მიდამოს მე მივმართე უყოყმანოდ:
„ბატონო თუ ბანოვანო, სინანულით, უნდა ვთქვა –
ჩამეძინა სწრაფად ერთობ და ვერ შევძელ ყური მეგდო,
შესაძლოა, ვერ გამეგო მე კაკუნის ჩუმი ხმა!“
კარი ფრთხილად გამოვალე და დამიდგა ყალყზე თმა –
წყვედიადი და არვინ სხვა!

შევცქეროდი ბნელს ასსახას და ვცდილობდი წარმოსახვას
ვერ შეებდავს სხვა დროს რასაც მოკვდავ კაცთა
გონი ბრმა,
ხოლო მუნჯი ღამე დუმდა, პასუხი არ დამიბრუნდა,
მხოლოდ ერთი სიტყვა მსურდა – ვის შეეძლო მისი თქმა?
მე ვთქვი: „ლინორ!“, ხოლო ექომ
ჩემ შემდგომად „ლინორ“, სთქვა...
მან, ან იქნებ ვინმე სხვამ?

ბნელს მოვავლე თვალი მქისეს და მივხურე კარი ისევ.
ყრუ კაკუნად სადღაც მყისვე განმეორდა უცხო ხმა...
და წარმოვთქვი ჩემთვის ჩუმად:
„მე არ ველი არვის სტუმრად,
ეს ქარია და ქარს უნდა, რომ დარაბა გამოხსნას,
რა თქმა უნდა, ეს ქარია, სურს დარაბა გამოხსნას...
ქარს, ან იქნებ ვინმე სხვას?

გამოვხსენი დარაბები და უეცრად თავი, ფრთები.
ყორნის შავბუმბულა ფრთები ჩემს სარკმელში გამოჩნდა.
შემოვიდა ნელი რხევით ის ყორანი ძველისძველი,
შემოვიდა ჩემთან ბნელით, არც იკადრა სალმის თქმა,
ისე დაჯდა კარის თავთან, ვერც გავიგე მისი ხმა,
ყორანი და არვინ სხვა.

ის ყორანი, გაფხორილი, შავი ფრთებით განწყობილი
მედიდურად იჯდა, თითქოს თამაშობდა ლორდის როლს,
„ჯოჯოხეთის ძველო სულო, – მე მივმართავ ამრეზილად, –
დასდგომიხარ ჰადესიდან ამ გზას პირქუშსა და შორს,
მაშინ იქ რას გეძახოდნენ, დაადექი ამ გზას როს?“

უცებ მესმა: „ვერასდროს!“

მე დამასხა ცივმა ოფლმა – ამ ხმამ ისე გამოგნა:
როს ყოფილა ამა სოფლად, სად, ან კიდევე, რომელ დროს,
რომ ყორანი სტუმრად ვლიდეს,

მონყევილი ქვეყნის კიდეს,

ლამით სახლში შემოვიდეს და ამბობდეს ბგერას სნორს?
რომ ყორანი, ბნელმეტყველი

წარმოთქვამდეს სიტყვას სნორს –

თავის სახელს – „ვერასდროს“.

თითქოს სული ჩაატანა ამ ერთ სიტყვას სულმა შავმა,
კვლავ დადუმდა, შემზარავად გავიხედე მისკენ როს.
„მეგობრები დამეფანტნენ, ოცნებანი ძველნი განქრნენ,
მხოლოდ შავი ავის მაცნე

სულს მიჯიჯგნის, როგორც მძორს,

ხვალ ის ისევ გაფრინდება,

წარხოცს ხსოვნის მხრჩოლავ ბოლს...“

უცებ მესმა: „ვერასდროს!“

დამეუფლა ძრწოლვა ნელა, გამოგნა უცხო ბგერამ,
გავიფიქრე – „უეჭველად, უცნობ სახლში, სადღაც შორს,
მწარე სიტყვა გულისთქმისა გაუგია ამ შავ მისანს
უბედური პატრონისგან, ვინც ცხოვრობდა მძიმე დროს,
ვისი ყოფნის მთელი არსიც, ჩატეულა თურმე როს,
ერთ სიტყვაში – „ვერასდროს“.

მაშინ მწარედ გავუღიმე იმ ღამეულ შავბნელ ფრინველს,
თუმცა ამ ფრინველის მხილველს

არ შეეძლო განსჯა გონს.

მე ვცდილობდი, მივმხდარიყავ,

რის თქმა სურდა პირქუშ მისანს,

როს მეტყოდა იმ ერთ სიტყვას,

ნათქვამს ადრე, სადღაც შორს,

როცა მწარედ ყრანტალებდა

იმ ერთადერთ სიტყვას სწორს,

იმ უცნაურს – „ვერასდროს“.

გრძნობებს ღლიდა ის ყორანი, ამაყი, ბნელბუნოვანი,
რბილ ხავერდზე მივდე თავი, ვუხმე ძილის მსუბუქ ბოლს.
მაგრამ ძილს არ მანებებდა,

ის ყორანი ფრთით ამსხვრევდა

ჩემი სულის მყიფე ბროლს,

ხოლო ლინორს, ვისაც ბევრჯერ

უძინია ამ ხავერდზე, ლინორს, წარსულს ასე შორს,

ვერ მოვეუხმობ ვერასდროს.

„ო, მისანო, ჩემო შავო, ო, ფრინველო ღამისაო!
ვინ მოგაგდო, შემზარავო, ჩემს ბნელ სახლში ასეთ დროს,
ნასახლარში ძველი რწმენის,

სახლში, სადაც მეფობს ბნელი?!

ჰალაადის ძველ ეკვდერში თუ ვიპოვი ბალსამონს?

ნუთუ იქაც ვერა ვნახავ დავინყების მაღამოს?!

თქვა ყორანმა: „ვერასდროს!“

„ო, მისანო, ჩემო შავო, ო, ფრინველო ღამისაო!
მიპასუხე, შემზარავო, გოლგოთის გზის ბოლოს, შორს
ტკივილთა ზღვა თუ დაცხრება,

განეყრება ჩემს სისხლს ვნება,

არსთა მიღმა თუ მისწვდება სული ჩემი გულის სწორს?
იქ მაინც თუ დავიბრუნებ ცად გარდასულ გულის სწორს?"
თქვა ყორანმა: „ვერასდროს!“

„მე არ მჯერა, ავო სულო, იყოს შენი მოსვლა კრული,
ამოიღე გაბზარული ამ გულიდან ნისკარტი!
ნუ დატოვებ ნურცა ბუმბულს,
არ დაბრუნდე, ფრენდე სხვაგან,
ბნელს, ქარიშხალს გაჰყევ, რადგან
მსურველი ხარ ავის ქმნის.
მარტოობით დავიბრუნებ მშვიდ დინებას გულისთქმის!“
კვლავ „ვერასდროს!“ – ჩხავის ის.

ის არ იძვრის, არც მიფრინავს,
თითქოს ძინავს, თითქოს ძინავს!
დემონური მზერა ცივად, ცდილობს, მკერდში შემასოს.
შუქის მკრთალი სვეტი ნება, ყორნის ჩრდილი ეფინება
ცივ იატაკს... ნებაც ქრება.... და ეს ჩრდილი ასეთ დროს
ზღვაა ტანჯვის და ამ ზღვიდან სული ჩემი ვერ მისწვდება
დამშვიდების ნაპირს შორს,
ვერ მისწვდება, ვერასდროს!

* * *

კოტე ჯანდიერისეული თარგმანი „ყორანისა“ დაიბეჭდა ჟურნალ „ფორუმში“ (2000 წ., 1, გვ. 77-79). იგი რიგით მეთვრამეტე გამოქვეყნებული თარგმანია. „ყორანი“ თარგმნილია უშუალოდ დედნიდან თექვსმეტმარცვლიანი ლექსით. ყოველ სტროფში, დედნისამებრ, 6-6 სტრიქონია, ოლონდ, მეექვსე (მოკლე) სტრიქონი 7-მარცვლიანია. თარგმანი დედანთან შედარებით ერთი სტროფით ნაკლებია (18-ის ნაცვლად – 17). რეფრენად, მსგავსად ორიგინალისა, გამოყენებულია სამმარცვლიანი სიტყვა „ვერასდროს“.

ამავე ნომერში აგრეთვე დაბეჭდილია კოტე ჯანდიერის მიერ თარგმნილი „ულალუმ“.

ყორანი

თარგმნა კოტე ყუბანიეშვილმა

ერთხელ ღამით ცრემლად დაღვრილს
ჩამეძინა, სუსტს და დაღლილს,
ბევრ ძველისძველ და დიდი ხნის
მივიწყებულ წიგნთან მჯდარს.
კარის ქრიალს ჰგავდა ეს ხმა, მე რაც ძილში შემომესმა.
თითქოს მგზავრმა, მწარედ მკენესმა,
სცადა, მოსწოლოდა კარს.
„სტუმარია, ალბათ, – მე ვთქვი, –
თავს აფარებს სუსხს და ქარს.
სხვას არაფერს ეს არ ჰგავს.“

ოჰ, ციოდა. მახსოვს ნათლად, დეკემბერი იყო მართლა.
ბუხრის ყველა გაელვება ჩრდილებს ჰფენდა ჩემ წინ ნოხს.
შორს მივყავდი რადგან ფიქრებს,
ისევ შველას ვთხოვდი წიგნებს.
მეგონა, რომ დარდი იკლებს, დამავიწყებს გულის სწორს –
იმ ქალიშვილს, სამოთხეში რომ უწოდებენ ლინორს
და ღლეს არის ჩემგან შორს.

სევდიანს რომ მგერიდნენ დარდებს,
აბრეშუმის წითელ ფარდებს,
სულს განგაშით რომ მივსებდნენ და შემომხვეოდნენ გარს

აღსადგენად გულის ფეთქვის,
ნავიჩურჩულე, რაც მეთქმის:
ჩანს, მასპინძლად ვილაც მე მთვლის
და მოადგა სახლის კარს.
ვილაც გვიანი სტუმარი თავს აფარებს ალბათ ქარს.
მეტს არაფერს ეს არ ჰგავს.

გადავლახე როცა შიში, ენა ამოვიდგი პირში:
„ბატონო თუ ქალბატონო,
არ ვკითხულობ მე თქვენს გვარს.
მაპატიეთ, რადგან მძინავს და არ მეგონა, რომ ბინას
ჩემსას ღამეს, ასეთ გვიანს, ვინმე მოადგება კარს.
ამტომაც ძლივს გავიგე.“ – ვთქვი და ხელი ვკარი კარს.
იქ კი არავინ არ დგას.

მდგარი სიბნელეში ღამის, შიშით გონმიხდილი ღამის,
ვგრძნობდი, ჩემს მეტს ეს სიზმარი
კაცს არ ღირსებია ორს.
გავცქეროდი სივრცეს პირშავს. ღამე არ მაძლევდა ნიშანს
და ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავს,
რად ჩურჩულებს ცა „ლინორს“.
ეს მე ვჩურჩულებდი, ექოც ამძაფრებდა ამ მინორს
და მივყავდი ფიქრებს შორს.

არავინ დგას, რომ დავრწმუნდი,
სახლში უკან შემოვბრუნდი
და უარესს მოვკარ ყური კაკუნს, რომ ისმოდა გარს.
გავიფიქრე, „რადგან ავდარს შუალამე უღძრავს მადას,
აშრიალებს ქარი ფარდას და ხმას ინვევს ამდაგვარს“.
შევაჩერე სუნთქვა წამით და ყური მივუგდე ქარს.
მე რაც მცემდა შიშის ზარს.

სხვა რა უნდა მექნა აბა, გამოვალე მე დარაბა
და ყორანი დავინახე, შავს რომ ისწორებდა ფრთას.
მივხვდი, ჩემი იყო ბედი, ეს სიკვდილის შავი გედი,
როგორც ლორდი, ანდა ლედი

თითქოს სახლში გრძნობდა თავს.

კართან თეთრ პალადას ბიუსტს

დინჯად მოსჯდომოდა თავს.

იჯდა და არ მცემდა ხმას.

ვგრძნობდი, სევდაც უკვე მივლის

და ვერ ვიკავებდი ღიმილს,

რომ ვხედავდი მის უცნაურ და სულელურ ასეთ როლს.

ვკითხე: „ფერი რომ გაქვს შავი,

თუმცა მოგიხოტრავს თავი.

ყორანი ხარ შენ თუ ყვავი, რომ დაეძებს ლეშს და მძორს?
იქ რა გქვია, სადაც წყვდიადს ღამისაგან სივრცე ქსოვს?“
გადმომჩხავლა: „ვერასდროს!“

აფეთქებას ჰგავდა ნაღმის გაგონება ჩემთვის ამ ხმის.

თუმცა ფაქტსაც მისი ნახვის მე ვერ დავარქმევდი სწორს.

ამ მონაცოლს ჩემსას ამბად

ვინც მოისმენს, ეჭვობს, ალბათ,

რამე ხომ არ მოელანდათ, რად ჰყვებიან ასეთ ჭორს?

ან სად ნახავთ ღამით ყორანს,

თეთრ ბიუსტის თავზე მჯდომს,

მეტსახელად „ვერასდროს?“

და მზირალი ასე მკაცრად

ამ ერთ სიტყვას, სხვათა ნაცვლად,

დამჩხაოდა და თან დებდა მასში მთელ სულს იმავ დროს.

არ ამოძრავებდა ფრთებს ის,

თითქოს ხვდებოდა, რომ მესმის.

ამოღება ვცადე მე ხმის: „ნასულ სატრფოსავით შორს ხვალ დამტოვებს ისიც, ალბათ, უიმედოდ სახლში მწოლს“. თქვა ფრინველმა: „ვერასდროს“.

მისი პასუხისგან სხარტის,

თითქოს ახსნას მივხვდი მარტივს.

„ეჭვგარეშეა, – ვთქვი, – რომ ერთს

ის ასრულებს მუდამ როლს.

სხვა რა დარჩენია მარტოს, ჰოდა, ბაძავს თავის პატრონს, ვის დაბრუნებასაც ნატრობს, სევდიანს რომ არჩევს ტონს, და ვინც უმღეროდა ხშირად იმედისგან დაცლის დროს ამ ერთ სიტყვას – „ვერასდროს“.

სავსემ ცქერისაგან იმის შევაფარე თავი ღიმილს, სავარძელი მიუგორე ყორანს, თეთრ ბიუსტზე მჯდომს. ჩაძირული ფიქრში თითქმის პასუხს დავეძებდი კითხვის, ნამდვილ ახსნას მე ამ სიტყვის

და მის მნიშვნელობას სწორს,

თუ რისი თქმა სურდა ფრინველს, თავზე დამჩხაოდა როს ჩახლექილ ხმით: „ვერასდროს?“

თითქოს, ჩავარდნილი მძევლად, მე ვიჯექი გაუნძრევლად, ვგრძნობდი ყორანს, თვალეებით რომ

სულს მიღრღნიდა, როგორც მძორს,

განათებულს მკთრალი ჭაღით და ნამძინარევი სახით, გაოგნებულს მისი ნახვით, რბილად სავარძელში მჯდომს. და მივხვდი, რომ გვერდით უკვე ველარ მოვიწვევნი ღინორს. სამწუხაროდ, ვერასდროს.

მერე მომეჩვენა დაღლილს სუნი უხილავი კვამლის.

და ვხედავდი სერაფიმებს, ჩემს ოთახში ნოხზე მქროლს.

და ნამომცდა: „ეს მგვრის შვებას.

ალბათ, ღმერთსაც ასე ნებავს.

მიგზავნის რა განკურნებას, რაც მავინყებს გულის სწორს.
აჰა, შესვი დავინყება, ნარსულს შეეშვი ლინორს“,
გადმომჩხავლა: „ვერასდროს!“

მე მივმართე ფრინველს მეტყველს:

„ჰგავხარ შენ წინასწარმეტყველს,
თუ ეშმაკის გამოგზავნილს, ან ქარიშხლის მონასროლს.
ჭერქვეშ მოხვდი ჩემი სახლის,
გამოსაღვიძებლად ნალვლის,
მითხარ, ნება ღმერთის მალლის,
გალაადის მთებთან მდგომს,
გევედრები, მიპასუხე, ნუ მიმალავ პასუხს სწორს“.
ყორანმა თქვა: „ვერასდროს“.

ვკითხე: „ბოროტი ხარ სული თუ ნათელმხილველი სრული,
თუკი მალლა ცაში ღმერთი ჩემს საქციელს ჯერ არ გმობს,
მიპასუხე, სული ჩემი, როგორც უცხო ნაპირს გემი,
გამოჩნდება, რომ ედემში ეღირსება კი ამბორს?
მისას სახელს, ვინც წმინდანის დღეს ატარებს იქ ლინორს“.
გადმომჩხავლა: „ვერასდროს!“

განგების ვგრძნობ ისეთ ნიშანს,

შენი წასვლის დროა, ნიშნავს.
წამოვხტი და დავიყვირე: „გაეცალე ჩემს თვალს ორს,
შავს ნუ დამიტოვებ ბუმბულს.
და არ ჰგავხარ რადგან ბულბულს,
მკერდს დარდისგან გადაბუგულს
გაეცალე, მოსწყდი შორს.
ეს ნისკარტიც ამ გულიდან ამომადრე, როგორც მძორს!“
გადმომჩხავლა: „ვერასდროს!“

გუყურებდი ყორანს დინჯს და ის კი იჯდა, ისევ იჯდა.

ახლაც იქ ზის. თეთრზე შავად ვხედავ შუალამის სწორს.
ვამჩნევ დემონურ მის თვალებს,
სულ მუდამ რომ მითვალთვალეებს,
სასიცოცხლოს მაცლის ძალებს
და ჩრდილს ტოვებს ნოხზე მწოლს.
ამ ჩრდილიდან ჩემი სული ველარ აფრინდება შორს.
ახლა უკვე ვერასდროს.

* * *

ორიგინალური ლექსწყობით არის წარმოდგენილი კოტე ყუბანეიშვილისეული რიგით მეცხრამეტე თარგმანი „ყორანისა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ქომაგში“ (2001 წ., აგვისტო, გვ. 31-33). ორიგინალობა კი გამოიხატება იმით, რომ ყოველი ექვსტრიქონიანი სტროფის I და III პნკარები თექვსმეტმარცვლიანია, II, IV და V – თხუთმეტმარცვლიანი, ხოლო VI სტრიქონი – შვიდმარცვლიანი. თარგმანში ხშირია შიდა რითმები, რეჟრენად გამოყენებულია „ვერასდროს“. კოტე ყუბანეიშვილის „ყორანი“ უნდა ჩაითვალოს თავისუფალ თარგმანად. უცნობია – იგი დედნიდან ითარგმნა თუ არა.



ჟორანი

თარგმნა ლელა ებრალიძემ

იმ ავბედით შუალამეს,
სევდა გულს რომ ალავსებდა,
და ვფურცლავდი ბრძენთა წიგნებს,
გამეფანტა იქნებ სევდა,
მომერია უცებ რული
და მომესმა ყრუ კაკუნი.
„სტუმარია, – ვამბობ, – თითქოს
აკაკუნებს. შველას ითხოვს,
აკაკუნებს დიდი რიდით,
კართან მიხმობს, შველას ითხოვს,
აბა სხვა რა უნდა იყოს“.

მახსოვს, მოხდა თითქოს გუშინ:
დეკემბერი იდგა ქუში,
ლანდი მიმქრალ მუგუზალთა
კრთოდა ბუხრის ჩუმ ღულუნში.
და ვნატრობდი კვნესით ცისკარს,
ვით იმ ძველი წიგნებისგან
ნუგეშს, მაინც კვლავ რომ ველი,
მე, ლენორის დამკარგველი,
ანგელოსნი მისებრ ღვთისა

ედახიან ასე ვისაც,
აქ კი არ აქვს ან სახელი.

ძონისფერი აბრეშუმის
თხელ ფარდების შარიშურიც,
ო, სიმშვიდეს ისე მიფრთხობს,
არ სმენოდეთ ქვეყნად თითქოს
ეს ხმა. და რომ არ შელონდეს
გული, ელდით გათანგული,
დავიჟინებ: „სტუმარია,
კართან მიხმობს, შველას ითხოვს,
ლამის მგზავრი აბეზარი
აკაკუნებს, შველას ითხოვს,
აბა სხვა რა უნდა იყოს“;

მოვიკრიბე მერე ძალი
და მივმართე სტუმარს კრძალვით:
„მაპატიეთ, სერ თუ მადამ,
გალოდინეთ დიდხანს კართან,
მაგრამ ვიყავ ქანცგაცლილი,
მომერია უცებ ძილი,
და ამ ჩემი ბინის კარზე
მე კაკუნი თქვენი ფრთხილი
ვერ შევიცან“. – ვთქვი ეს მარდად
და გავაღე კარი ფართოდ –
იქ სიბნელე დამხვდა მარტო.

გავცქეროდი უკუნს დიდხანს,
ვიხილეო, ვერვინ მითხრას,
მე რომ მაშინ ზმანებანი
დამეხვივნენ ეგზომ ფიცხლად.

დგას სიჩუმე საზარელი,
არსაიდან ხმას არ ელი,
და ამ უღვთო სიჩუმეში
გავიგონე, ითქვა თითქოს
„ლენორ?“ – ეს ხომ მე ვთქვი ჩუმად,
დამიბრუნა ექომ უმაღ
„ლენორ!“ – აი, სულ ეს იყო.

შემოვბრუნდი უკან, გული
მეწვის, მიძგერს, სავსე ზაფრით,
და გაისმის კვლავ კაკუნი,
თანაც ახლა უფრო მძაფრი,
უფრო მძლავრად, უფრო ლაღად
გამოსცემდა კაკუნს რაღაც.
„მშვიდად, გულო, – ვამბობ, – ვინძლო
ნუთი ნუთზე გამოვიცნო:
ეს ქარია, ალბათ, ფანჯრის
გისოსებში მონაბერი,
ქარი, მეტი არაფერი“.

მეც დარაბა ჩემი ფანჯრის
გამოვალე – და მყის გავშრი:
ყორანია, ო, რა პრანჭვით,
თითქოს არც კი შემომხედა,
შემოფრინდა შიგ ფართხუნით,
ვით გარდასულ წმინდა დღეთა
მონმე, ლამის ლორდის, ლედის
მანერებიც დაიჩემოს,
მერე, იცით, ჩემს კარს ზემოთ
თვით პალადას ბიუსტს, ვხედავ,
დაასკუპდა თავს თავხედად.

იმ ყორანმა, შავ სამოსით,
ხეს რომ ჰგავდა აბანოზის,
მაცქერალმა ეგზომ მკაცრად,
თითქოს სევდა გამიქარწყლა,
და შევეკადრე მას ღიმილით:
„გაქუცული თუმცა დახვალ,
ვხედავ, მორცხვი მაინც არ ხარ,
მაშ მითხარი, მსურს ვიცოდე:
იქ, პლუტონის საუფლოში,
რას გიხმობენ, რა გინოდეს?“
დაიჩხავლა: „არასოდეს“.

მან ეს სიტყვა ერთადერთი
თქვა, თან ისე გამოკვეთით,
რომ გავოცდი: „ტლანქს, უჭკუოს
რალა ეთქვა ამის მეტი!
არ მგონია, რაც მე ვნახე,
ვინმემ სხვამაც დაიჩემოს –
შესწრებოდეს ასეთ სეირს,
რომ ყორანი მის კარს ზემოთ
თვით პალადას ნაზ ბიუსტზე
დასკუპული ბაასობდეს,
თან სახელად „არასოდეს“.

ის, ბიუსტზე მჯდარი კენტად,
ამ ერთ სიტყვას ქადაგებდა,
მთელ დარდასა და გულის ნადილს
თითქოს მარტო მას აქსოვდეს,
მერე დუმდა მინაბული,
არ ეძვროდა თვით ბუმბულიც.
„გამიფრინდნენ მეგობრები, –
ვამბობ ურვით გათანგული, –

დილით ესეც გაფრინდება:
რა მალელეებს, რა მამფოთებს?“
კვლავ დამჩხავლა: „არასოდეს!“

გაოგნებულს მესმის მისი
ეს პასუხიც საკადრისი,
და ვბუტბუტებ: „სხვა რამ სიტყვა,
ტყუილია, მას ახსოვდეს,
ეს კი, ალბათ, იმ პატრონმა
დაასწავლა, ვისაც მტრობამ
დაუბნელა მალლით ზეცა
და ერთ გაბმულ გლოვად ექცა
სიმღერები, სევდით სავსე,
და ყორანიც მისებრ გოდებს,
გაიძახის: „არასოდეს“.

ჩანს, ყორანი ისევე ცდილობს
გულიანად გამაცინოს,
მეც ცდუნებას ველარ ვუძღებ
და სავარძელს ფაფუქს სწრაფად
მივიჩოჩებ იმ ბიუსტთან,
ზედ რომ ზის და თვალებს ნაბავს,
ფანტაზია ფანტაზიას
მსურს გუმანით გადავაბათ –
ბოროტ მისანს წარსულისას
რის თქმა უნდა, რა აბოდებს,
როცა ჩხავის: „არასოდეს“.

მეც ფიქრს მივეც თავი, ვინძლო,
რას დამჩხავის, გამოვიცნო,
და ამრეზით ვზივარ ჩუმად,
ხმას აღარ ვცემ ბოროტ სტუმარს,

ცეცხლოვანი მზერა ვისიც
შუბლს მიბურღავს, სულს მიმძიმებს;
ამ იისფერ რბილ ბალიშებს,
ლამპის შუქზე რომ ციმციმებს,
ვერა, ჩემებრ ნებიერად
ის, ვის გამოც გული გოდებს,
მიესვენოს ვერასოდეს.

მეჩვენება მერე, თითქოს
სურნელებით სავსე იყოს
აქ ჰაერი; სერაფიმი
უხილავი საცეცხლურით
დადის ჩუმად ხალიჩაზე
და საკმეველს აკმევს მურის.
ყვეირი: „ღმერთი ანგელოსთა
ხელით შარბათს რომ მანოდებს,
იმ დაკარგულ ლენორისა
სურს სახელიც არ მახსოვდეს!“
ყეფს ყორანი: „არასოდეს“.

„მისანი ხარ ავი, შმაგი!
ხარ ფრინველი თუ ეშმაკი!
რა მაცდურმა, ბნელმა ძალამ,
რა გრივალმა მოგაბრძანა,
თქვი, ამ მხარეს და ამ სახლში,
ჯადო რომ აქვს მოდებული,
როგორ მოხველ უშიშარი,
თუმც ყველასგან ოტებული?
გალაადში ბალსამონი
არის? თქვი, გთხოვ ამას ოდენ!“
მიპასუხა: „არასოდეს“.

„მისანი ხარ ავი, შმაგი!
ხარ ფრინველი თუ ეშმაკი!
ცას გაფიცებ და ღმერთს მალაღს,
ორივენი რომ ვცემთ თაყვანს,
უთხარ ჩემ სულს, სულ რომ ხვნიშის:
იქ, შორეულ სამოთხეში,
თუ შეხვდება ის ასული,
ო, ეს სული ვისზეც გოდებს, –
წმინდას, სათნოს, თვით ანგელოსთ
მას ლენორი რომ უწოდეს“.
მიპასუხა: „არასოდეს“.

და მე ვყვირი: „კმარა, მგონი,
ხარ ფრინველი, თუ დემონი!
დაუბრუნდი გრიგალს, გესმის,
და საუფლოს ბნელ ჰადესის!
აქ არ დაგრჩეს შავ ბუმბულის
ერთი ღერიც, ნა, გაფრინდი!
ჩემს კარს ზემოთ ლამაზ ბიუსტს
ნუ აზიხარ ცრუ და ფლიდი,
რომ მე, ეულს, მზერა შენი
გულში ნისკარტს არ მასობდეს!“
დაიჩხავლა: „არასოდეს“.

ზის ყორანი შეურხეველად,
არად აგდებს რისხვას, წყევლას,
ზის პალადას მქრქალ ბიუსტზე
გაბლენძილი ჩემ კარს ზემოთ,
და თვალები მინაბული,
იციოთ, უგავს მძინარ დემონს,
ლამპის შუქი ზედ ეცემა

და ძირს ჩრდილებს დააბოტებს,
ჩემი სულიც მოცახცახეს
ამ ჩრდილს, ვერა, ვერ აშორდეს –
ზე აფრინდეს ვერასოდეს!

* * *

ლელა ებრალიძის ნათარგმნი „ყორანი“ ჩემს კოლექციაში ბოლოსწინაა და რიგით მეოცე. ტექსტი, ფაქტობრივად, თარგმნილია 16-მარცვლიანი ლექსით, მაგრამ დაბეჭდილია 8-მარცვლიანად. ამიტომ თერამეტივე სტროფი შეიცავს 11-11 პნკარს, რომელშიც მეთერთმეტე სხეებივით სრულ სტრიქონად წარმოგვიდგება. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან. იგი გამოაქვეყნა გაზეთმა „ჩვენი მწერლობა“ (2003 წ., 1-7.08) და ახლავს მოზრდილი მინაწერი „რედაქციისაგან“. ამ საინტერესო მინაწერში ნახსენებია „ყორანის“ ექვსი ქართველი მთარგმნელი (ვაჟა-ფშაველა, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გიორგი ნიშნიანიძე და კონსტანტინე ზ. გამსახურდია).

მინაწერის ავტორი ასევე გვამცნობს, რომ ქართულად არსებობს „ყორანის“ ოცამდე თარგმანი მაინც (მთარგმნელთა დაუსახელებლად. – გ. ბ.). და ყველაზე მნიშვნელოვანი: „ამ ათი წლის წინათ კრებულიც კი შედგა ედგარ პოს ამ ლექსის იმჟამად ცნობილ ყველა თარგმანს რომ უყრიდა თავს... აუხსნელი მიზეზების გამო კრებული გამომცემლობაში დაიკარგა და უთუოდ ხელახლა გახდება აღსადგენი და შესავსები – მას შემდეგ კიდევ გამოჩნდა რამდენიმე ვერსია“. სამწუხაროდ, მინაწერის ავტორი არ გვისახელებს რომელ გამომცემლობაში და როგორ დაიკარგა კრებულად შედგენილი თარგმანები და ვინ იყო მისი შემდგენელი.

მთარგმნელი რეფრენად იყენებს ოთხმარცვლიან სიტყვას „არასოდეს“.

ყორანი

თარგმნა ბაგრატი ბადიძმა

I

ეს მოხდა ზამთრის უკუნი ღამით,
წიგნს ჩავცქეროდი, სავსე ბალღამით,
დაღლილმა, თვალი მივლულე წამით,
კრთოდა ბუხარი წითლად ნაფერი.
ამ დროს კაკუნი გაისმა წყნარი,
მე გავიფიქრე: „გავალო კარი?
გზასაცდენილი იქნება მგზავრი,
აქ ეგულება მყუდრო ნაპირი.
შემოალამდა ვილაცას ალბათ
და აქ იპოვა მყუდრო ნაპირი,
მგზავრია, მგზავრი, სხვა არაფერი“.

II

ჰო, კარგად მახსოვს: ამინდი ცივი,
დეკემბრის სუსხი ძვალ-რბილში მივლის,
ბჟუტავს ნაკვერჩხლის უღონო სხივი
და ნოხს ეღვრება ჩემს წინ დაფენილს.
ალარ თენდება... ჩავცქერი წიგნებს
და ვიფქრობ: „სევდა გამიქრეს იქნებ“,

მაგრამ კვლავ მისკენ მივყავარ ფიქრებს,
ვისაც უჩუმრად ცაში აფრენილს, –
„ლინორს“ უხმობენ ანგელოსები,
„ლინორს“, უჩუმრად ცაში აფრენილს,
აქ კი არ დარჩა მას არაფერი.

III

აჰ, მაშინ შიშით დაზაფრულს ვგავდი,
ჩუმი შრიალი ალისფერ ფარდის
გულს მიღონებდა, მავსებდა დარდით,
მაკრთობდა ლანდი მოპირდაპირე...
გულამღვრეული, კაემნით სავსე,
თავს ვიმშვიდებდი, ვამბობდი ასე:
„რატომ მაშინებს კაკუნი კარზე?
მგზავრი იქნება, განა ვამპირი...
შემოლამდა ვილაცხას ალბათ,
ჰპოვა ალაგი აქ, შესაფერი...
მგზავრია, მგზავრი, სხვა არაფერი“.

IV

ამგვარ სიტყვებით თავს ვიმშვიდებდი
და დავიძახე: „მისტერ თუ ლედი,
გთხოვთ, მაპატიოთ დუმილი, ვთვლემდი,
ქარი მეგონა, აქ მონაბერი...
აკაკუნებით თქვენ ისე ფრთხილად,
რომ ვერ გავიგე, ნამძლია ძილმა...
ჩემმა დუმილმა თუ გაგანბილათ, –
მსურს, გცეთ პატივი, ან, შესაფერი...“
მობრძანდით-მეთქი, გავალე კარი,
ვდგავარ და ღამის წყვილადს გავცქერო...
უკუნი ღამე, სხვა არაფერი.

V

მიჭერებოდი წყვილიადს, მდუმარი,
მაგრამ არ ჩანდა ჩემი სტუმარი,
კაკუნი კარზე, ყრუ, უჩუმარი,
არ ისმის, ნეტავ, რად ვიზაფრები?..
შიშმა შემიპყრო... იმგვარი შიში
ალბათ არავის უგრძნია ძილშიც,
და უცებ: თითქოს ხელახლა ვიშვი...
აღმომხდა: „ლინორ!“ და გამძაფრებით
გაიმეორა ექომ ჩემი ხმა.
„ლინორ!“ – შევძახე ცას გამძაფრებით,
ისმოდა: „ლინორ!“ – სხვა არაფერი.

VI

აღელვებული შევედი სახლში.
ენტო ლადარი ჩემს გულში მაშინ,
მივხურე კარი, და უცებ, წამში,
ისევ აუშვა შიშმა აფრები...
კვლავ განმეორდა კაკუნი ნელი,
უფრო ხანგრძლივი და საშინელი.
მე ვთქვი: „ამალამ არავის ველი,
ქარი იქნება, აქ მონაფრენი,
ფანჯრებს აწვალებს, კარს აზანზარებს,
ქარი ხმაურობს – აქ მონაფრენი...
ქარია, ქარი, სხვა არაფერი.

VII

დარაბებს ნელა შევახე ხელი...
და უცებ: დიდი და შიშის მგვრელი,
შემოფრთხილდა ყორანი ძველი
და მომაჩერდა შიშით გაბერილს.
წინ წამოსწია ამაყად მკერდი,

ჩუმი სალამიც არ უთქვამს ჩემთვის,
ზის როგორც „ლორდი“ ან როგორც „ლედი“,
აქვს გამოხედვა მას აღმაცერი...
ათენას ქანდაკს შემოასკუპდა,
აქვს გამოხედვა მას აღმაცერი...
დუმს მედიდურად, სხვა არაფერი.

VIII

იჯდა ყორანი, ფისივით შავი,
ისე ამაყად ეჭირა თავი,
რომ გამელიმა... ავივსე კრძალვით
და მზერა მისკენ კვლავ გამეპარა...
„არ შეგრჩენია თმის ღერი თავზე,
თამამი კი ხარ, – მივმართე ასე, –
შენს გულადობას დიდად ვაფასებ
და ძლიერ მინდა, მახსოვდე მარად,
ო, იქ, პლუტონის ცივ სამეფოში
რას გეძახიან? – მითხარი ჩქარა!“
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!...“

IX

ჯერ გამიკვირდა, გავშეშდი სულმთლად,
რადგან ხმა იყო საოცრად სუფთა,
მერე ვთქვი: „ბოდავს, რალა თქმა უნდა“.
მან კი ბრძენივით თავი დახარა...
მაინც შემთხვევა არის პირველი,
სწვეოდეს ვინმეს ღამით ფრინველი,
დიდრონი, შავი და საკვირველი,
ირგვლივ აფრქვევდეს დარდსა და ვარამს,
ბიუსტს თამამად შემოასკუპდეს,
ირგვლივ აფრქვევდეს ნუხილს და ვარამს,
სახელად ერქვას იმ ფრინველს: „არა...“

X

სიტყვა არ უთქვამს მას ამის მეტი,
უცებ დადუმდა ბრიყვი, ჩერჩეტი.
„სხვა რამ სათქმელი არა აქვს ჩემთვის,
თუ, საიდუმლოს დუმილით ფარავს?“ –
ვთქვი მაშინ გულში, მან კი წყეულმა,
ისე, რომ სულაც არ შერხეულა,
თავი ჩაქინდრა ანაზდეულად.
მე ვეუბნები: „სტუმრობა კმარა!
ხვალ ჩემი ძველი მეგობრებივით
დატოვებ ამ სახლს, მშვიდად და წყნარად“.
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!..“

XI

დუმდა ყორანი. ესა თქვა მარტო.
მე ვთქვი: „ამ ფრინველს რად ვეკამათო?
უეჭველია – მის საწყალ პატრონს,
როცა ცხოვრებამ არ გაახარა,
ეს სიტყვა დასცდა... რად უნდა კითხვა,
ო, ალბათ ტანჯვა ითმინა დიდხანს
და მაშინ დასცდა ის ერთი სიტყვა,
რაც მე გულს მიკლავს და შიშით მზარავს,
ყორანმა მისგან თუ შეითვისა
ის, რაც გულს მიკლავს, და შიშით მზარავს,
საბედისწერო, ის ცივი: „არა...“

XII

ზის. მედიდურად იგრძელებს კისერს,
თან ნალვლიანი თვალებით მიმზერს.
მე მელიმება, ვიხრები მისკენ
და ვაკვირდები მშვიდად და წყნარად...
ფუმფულა ბალიშს მივადე თავი

და მომეძალა ფიქრების შვავი.
წავილულლულე: „რისთვის დამჩხავის?
ამ შუალამით რად გამამწარა?
ნუთუ ის ჩემი მისანი არის?
ამ შუალამით რად გამამწარა?
რატომ დამჩხავლა ყორანმა: „არა?!“

XIII

ო, ყორნის სიტყვებს ვერა და ვერა
ვერ ვივინყებდი, ვლელავდი ჯერაც,
გულს მითუთქავდა მე მისი მზერა..
სიტყვა ჩამიწყდა, ხმა გამებზარა,
თავი მივადე სავარძლის ხავერდს
და უბედურმა, ცრემლები ვღვარე,
ბუჭტავდა ლამპა შუქმონარნარე...
ო, გაქრა ის დრო, თვალს მიეფარა,
როცა ლინორი, სავარძლის ბალიშს
შუბლს რომ ადებდა მშვიდად და წყნარად...
არ დაბრუნდება ის უამი, არა...

XIV

ფიქრმა წამიღო... ჩამთვლიმა ნუთით,
აჰ, სიზმარ-ცხადში ვბორგავდი, ვწუხდი,
სერაფიმების დაჰქროდა გუნდი...
და შუბლზე ოფლი მდიოდა ღვარად.
შევძახე ჩემს თავს: „აი, მიზანი!
სულელო, ნუთუ ვერ შეიცანი:
ღმერთი საამო შარბათს გიგზავნის,
მას დაგავინყებს, ვინც შეგაყვარა...
შესვი შარბათი! – ის დაგავინყებს
შენს ლინორს, – თავი ვინც შეგაყვარა...“
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!...“

XV

შევადახე ფრინველს: „კრულ იყავ, კრული,
შენ ფრინველი ხარ, თუ მავნე სული?!
თუ ქვესკნელიდან, ხარ ამოსული, –
გთხოვ, დაუბრუნდე ქვესკნელს და წკვარამს!
თუ ხარ მისანი, მითხარ უდავოდ,
ოდეს დავტოვებ მე ამ უდაბნოს
და დავსახლდები იქ სამუდამოდ, –
შვებას თუ ვპოვებ ედემის კარად?
თავდავინყების შარბათს ვიპოვი? –
იქ, გალაადში, ედემის კარად?“
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!...“

XVI

შევადახე ფრინველს: „კრულ იყავ, კრული!
შენ ფრინველი ხარ, თუ მავნე სული?!
თქვი: ჩემს წამებას, აქვს დასასრული?
მეც და შენც, უფლის ნათელი გვფარავს...
თუ მისანი ხარ, მითხარი მაშინ:
ბედის სამანებს გავცდები საშიშს?
გადავებხვევი? ედემის ბაღში
იმ წმინდა ასულს, თვალეზცისკარას?
ანგელოზები რომ ეძახიან:
„ლინორს“, – იმ ასულს თვალეზცისკარას?“
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!..“

XVII

მყის მივადახე: „გაფრინდი გარეთ!
უკან მიჰყევი წვიმებს და ქარებს
და დაუბრუნდი პლუტონის მხარეს,

რომელსაც ღამის წყვდიადი ფარავს...“
ნელა შეირხა და გაიზმორა,
მე კი მრისხანედ შევეძახე ყორანს:
„ბურტყელიც არ დაგრჩეს აქ, მოსაგონრად –
მაგ ცრუ სიტყვების... გაფრინდი ჩქარა!
და მოაშორე ჩემს გულს ნისკარტი,
დამტოვე მარტო, მომშორდი ჩქარა!...“
დაიყრანტალა ყორანმა: „არა!...“

XVIII

და ის ყორანი, მას შემდეგ, ასე
ზის პარმალს ზემოთ, ქანდაკის თავზე;
გაშეშებული, ნალველით სავსე
და სდუმს მთვლემარე დემონის დარად.
ლამპის მკრთალ შუქში, კუშტი, დიდგული,
ჩანს იატაკზე მისი ფიტული...
იმ აჩრდილიდან, ოჰ, ჩემი სული,
ვინც წუთისოფელს ბედმა გაჰყარა,
სამარადისოდ ფერფლად ქცეული,
ვინც წუთისოფელს ბედმა გაჰყარა, –
არ წამოდგება არასდროს, არა!...

* * *

ჩემი მოპოვებული თარგმანებიდან ჯერჯერობით ბოლო, ოცდამეერთეა ბაგრატ ბადიდის (ელგუჯა გელენავას) მიერ თარგმნილი „ყორანი“. იგი სულ ახლახან გამოქვეყნდა (გაზეთი „ხმა ერისა“, 2010 წ., სექტემბერი, 5, გვ. 18-19). მთარგმნელს, ვაჟა-ფშაველასავით, ათმარცვლიანი ლექსით გაუმართავს ნათარგმნი. მის თვრამეტსავე სტროფში 11-11 სტრიქონია. რეფრენად გამოყენებულია უმარტივესი, ყორნისთვის ადვილად სათქმელი და ხმიანი „არა“.

თარგმანს წამძღვარებული აქვს შემდეგ მოკლე შესავალი:
„ცდა, ეთარგმნათ ედგარ პოს „ყორანი“ ქართულ ენაზე, ბევრჯერ იყო.“

ვაჟა-ფშაველამაც სცადა ამ მინი-პოემის თარგმნა, მაგრამ არა ფშაურ ყაიდაზე, არამედ სალიტერატურო ქართულით, რაც არ იყო მისი სტიქია.

უამრავ თარგმანთაგან გამოირჩევა კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანი. იგი ნორმალური თარგმანია. არსებობს სუსტი თარგმანებიც (გივი გაჩეჩილაძის, სტეფანე მხაგრძელის, კოტე ყუბანეიშვილის, ბათუ დანელიასი) და იმდენად უბადრუკი ნამუშევრებიც, რომლებსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „თარგმანები“.

თარგმანი უშუალოდ დედნიდან უნდა კეთდებოდეს, მაგრამ, აკაკისა არ იყოს: „მარტო წვრთნა რას შველის, თუ ბუნებამც არ უშველა“. შოთასი არ იყოს: „კოკასა შიგან რაც სდგას, იგივე წარმოსდინდების“. კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანი თუმცა რუსულიდან არის გაკეთებული, მაგრამ კარგი თარგმანია, ხოლო ის თარგმანები, რომლებსაც აწერია: „თარგმანი ინგლისურიდან“, არის კურიოზულად დაბალი დონისა.

წინამდებარე თარგმანი დიდი ხნის წინათ არის გაკეთებული, იბეჭდება პირველად.

ალბათ, ერთი ნორმალური თარგმანი ესეც არის“.

როგორც ვხედავთ, აქ „ნორმალურ“ და „კარგ“ თარგმანად მიჩნეული მხოლოდ კონსტანტინე ჭიჭინაძისეული „ყორანი“. დასახელებულია აგრეთვე სუსტი მთარგმნელები, მათ შორის გივი გაჩეჩილაძე. სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიე ამ თარგმანს. უსწოროა ბაგრატი ბადიდის ცნობა, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძეს „ყორანი“ რუსულიდან ეთარგმნოს. რაც შეეხება თვით ბაგრატი ბადიდის თარგმანს, იგი მას „ნორმალურად“ მიაჩნია. თარგმანი დიდი ხნის წინ შეუსრულებია, მაგრამ, რატომღაც, მხოლოდ 2010 წელს დაუბეჭდავს პირველად თავისსავე გაზეთში.

ყორანი

თარგმნიდა გალაკტიონ ტაბიძე

გარემოცულს მძიმე შხამით, მიმელულა ერთხელ ღამით
ფოლიანტზე, რომლის აზრი ნისლით იყო დანაფერი,
ვთვლემდი, თვლემდა ჩემი ბინა: უცებ კართან დაიგმინა
ვიღაც უცხომ . . .

* * *

1915 თუ 1916 წელს გალაკტიონმა თავის სავიზიტო ბარათზე
ოლიას ჩანაწერი დაუტოვა

– ოლოლი! მე ძლიერ კარგ სულიერ განწყობილებაზე ვარ, მაგრამ
სახლში საღამოს არ ვიქნები, რადგან ქალაქში უნდა წავიდე გვარამიას
სანახავად... ხვალ საღამოს კი ლანჩხუთში მივდივარ საღამოზე. რას იზამ.
მე მინდა გონორარზე მოვურიგდე. უნდა შევიტყო, ფულს მაძლევენ თუ
არა, ეხლა, ოლოლი, ვთარგმნი ედ. პოეს „ყორანს“. ხვალ დილით მოხვალ?
უსათუოდ მოდი, გესმის, უსათუოდ... მარადი! შენი გალაკტიონი.

როგორც ხედავთ, სამწუხაროდ, თარგმნა აღარ გააგრძელდა და
აღარ დაასრულა, მეოთხე სტრიქონის მეოთხედზე შეჩერდა, მიუხედავად
იმისა, რომ აშკარად კარგი პირი უჩანდა და რითმებიც მომარჯვებული
ჰქონდა.

– არაფერი-ანაფერი-შაფერი-დანაბერი-ანაბარი-დანაფარი-დაიფარა
ფერი.

– არასოდეს-არა სოდეს-დარაზოდეს-და რა სცოდეს-არ ათოვდეს-
არ ასოდეს-შარას ოდეს-დაფასოდეს-დღეის ამას ოდეს-არ დასნოდეს-
გადასოდეს-მამანოდეს-არ მახსოვდეს- დანაზოდეს.

ედგარ პო, ფრანგ სიმბოლისტებთან ერთად, გალაკტიონის კერპი იყო. განუწყვეტლივ იხსენიებს ლექსებში, ჩანაწერებში.

მოთხრობის თარგმანიც წამოიწყო ედგარისა – „გული მამხილებელი“ – და ისიც რამდენიმე წინადადების შემდეგ მიატოვა.

ამერიკელი პოეტის პორტრეტიც ჩახატა ჩარჩოში და საკუთარი ფაქსიმილედ მიანერა.

ავტოპორტრეტიც დახატა 1915 წელს: ყორნების ესკადრილია თავს ესხმის დაფიქრებულ პოეტს.

1927 წლის აპრილში კი ოლიამ შესჩივლა გალაკტიონს:

– Мой рок всегда мне каргал, как ворон Эдгара: „Невермор“.

P. S. ეს მასალა პოეტმა ვახტანგ ჯავახიძემ მოგვაშველა, რისთვისაც უზომოდ მადლობას მოვახსენებთ (რედ.).



ედგარ ალან პო

კომპოზიციის ფილოსოფია

ჩარლზ დიკენსი ერთ-ერთ წერილში¹, წინ რომ მიდევს, „ბერნები რეჯის“ აგებულების ჩემულ განხილვას² იხსენიებს და ამბობს: „სხვათა შორის, თუ გსმენიათ, რომ გოდვინმა „კალებ უილიამსი“ უკულმა დანერა? გმირი ჯერ სიძნელეთა ქსელში გაჰხვია, შეჰქმნა მეორე ტომი და მერე ჩამოაყალიბა გმირის სახე პირველი ტომისათვის, რაც თავიდანვე უნდა ექნა“.

არა მგონია, ეს სიტყვები ზუსტად აღწერდეს გოდვინის წერის პროცესს, – და მართლაც, რასაც იგი აღიარებდა, არ ესადაგებოდა დიკენსისეულ ნარმოდგენას, – მაგრამ „კალებ უილიამსის“ ავტორი იმდენად ჩინებული ხელოვანი გახლდათ, რომ შეუძლებელია არ შეენიშნა ამგვარად წერის უპირატესობა. უაღრესად აშკარაა, რომ ყოველი სიუჟეტის კვანძის გახსნა მანამ უნდა დაიხვეწოს, სანამ წერას დავიწყებდეთ. სიუჟეტის სრულყოფისა და დასრულებისათვის ყოველთვის კვანძის გახსნა აუცილებელი და ცალკეული შემთხვევები და, განსაკუთრებით, საერთო განწყობილება გვეხმარება განზრახული განვახორციელოთ.

თხრობის აგების საყოველთაოდ გავრცელებულ ხერხს, ჩემი აზრით, ერთი ძირითადი ნაკლი ახასიათებს. ან ამბავი გვიბიძგებს დასაწერად – ან იმ დღით მომხდარი რაიმე შემთხვევა – ან, კიდევ უკეთესი, ავტორი ჯდება სამუშაოდ, რათა ერთმანეთს შეურწყას არაჩვეულებრივი ეპიზოდები, თხრობის საყრდენი რომ მაინც შეჰქმნას – ძირითადად ისეთნაირად გეგმავს, რომ შეავსოს აღწერით,

დიალოგით, ავტორისეული შენიშვნებით, ხოლო მოვლენები თუ მოქმედება ფურცლიდან ფურცელზე თვითონვე, საკმაოდ მკაფიოდ, მოგვითხრობს თავის ამბავს. მე ვამჯობინებ ისეთნაირ თხრობას, რომ შედეგი, წინასწარ ვიცოდე. ყოველთვის ორიგინალური უნდა ვიყო, რადგან თავისთავს ლაღატობს ის, ვინც ბედავს უარყოს ასეთი ნათელი და იოლად მისანვდომი ხერხი ცნობისნადილის გასაღვივებლად – უწინარეს ყოვლისა, ჩემს თავს ვეუბნები – „უამრავი ზეგავლენიდან და შთაბეჭდილებათაგან, გულზე, ინტელექტზე ან (უფრო სწორად) სულზე რომ მოქმედებენ, რომელი ღირს ამჯერად რომ ამოვარჩიო-მეთქი?“¹ როგორც კი აღმოვაჩენ რაიმე სიახლეს და მერე მისგან აღძრულ აშკარა შთაბეჭდილებას, მაშინვე გავიზარებ, როგორ ემჯობინებოდა დანერა, ფაბულის მოშველიებით თუ ინტონაციისა – ჩვეულებრივი ფაბულითა და არაჩვეულებრივი ინტონაციით თუ, პირიქით, არაჩვეულებრივი ფაბულითა და ინტონაციით – და შემდეგ ჩემს თავს ვუკვირდები (უფრო სწორად, სულში ჩავიხედავ) შემთხვევისა და განწყობილების ამგვარი შერწყმა თუ მოახდენს ღრმა შთაბეჭდილებას. X

ხშირად მიფიქრია, რა კარგი იქნებოდა რომელიმე ავტორს მოენდომებინა – იქნებ უმჯობესი იყოს გვეთქვა, შესძლებოდა – და ჟურნალში გამოექვეყნებინა დეტალური აღწერა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენილი პროცესი, თუ როგორ მიაღწია რომელიმე მისმა თხზულებამ სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალს. ვერ გეტყვით, მსოფლიოში ასეთი წერილი რატომ არ არსებობს – მაგრამ, ვფიქრობ, ეს უფრო ავტორთა პატივმოყვარეობის ბრალია, ვიდრე სხვა რაიმე მიზეზისა. მწერალთა უმრავლესობას – განსაკუთრებით პოეტებს – ურჩევნიათ თავი დაიწინააღმდეგონ, რომ ისინი ჰქმნიან მშვენიერი, უჩვეულო სახეებით² – ექსტაზური ინტუიციით – და თავით-ფეხამდე აკანკალდებიან, ხალხმა მათი დაუხვეწავი და აბურღული ფიქრების კულისებში შეჭვრეტა რომ მოიხურვოს – დაინახოს, თუ როგორ აღწევენ საბოლოო მიზანს მხოლოდ უკანასკნელ ნუთს – თუ როგორ გამოკრთის მათი უამრავი მოუმწიფებელი იდეა – თუ როგორ უკუაგდებენ სავსებით მომწიფებულ, მაგრამ განუხორციელებელ ჩანაფიქრს – თუ როგორ მტკივნეულად

შლიან და ამატებენ – ერთი სიტყვით, დაინახოს მთელი ბორბლები და ფრთები – ფარდის ამწევი ხელსაწყოები – კიბეები და ეშმაკის მახე-ები – მამლის ფრთები, წითელი ფერი და შავი ლაქები, რაც ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ლიტერატურის მსახიობის რეკვიზიტს წარმოადგენს.

მეორეც, დარწმუნებული ვარ, იშვიათია, რომ მწერალმა თვალი მიადევნოს იმ გზას, რამაც მისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა. საერთოდ, დაუხვეწავ ფრაზებს, როგორც პოულობენ, ისევე ივინყებენ.

ჩემი მხრივ, დასამალი არაფერი მაქვს და მზად ვარ ყოველთვის ძალდაუტანებლად აღვადგინო ჩემი ნებისმიერი ნაწარმოების წერის პროცესი; და რადგან ჩემთვის სასურველი ანალიზისა თუ რეკონსტრუქციის ღირებულება სრულებით არ არის დამოკიდებული გასა-ანალიზებელი საგნის რეალურსა თუ წარმოსახვით ბუნებაზე, მე არაფრით არ დავარღვევ მოქმედების განვითარების კანონს, რითაც აგებულია ჩემი ყოველი თხზულება. ვირჩევ „ყორანს“, როგორც საყოველთაოდ ცნობილს. ჩემი მიზანია ნათელი გავხადო, რომ მის კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური – და რომ ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტითა და სიმკაცრით არის განსაზღვრული.

მოდით, არაფერს ვიტყვი ლექსისათვის, თავისთავად ზედმეტ მიზეზსა – თუ, ვთქვათ, აუცილებლობაზე – რამაც განმაზრახებინა შემექმნა ლექსი, ერთდროულად რომ დააკმაყოფილებდა ხალხისა და კრიტიკოსთა გემოვნებას.

დავინყოთ განზრახვიდან.

თავიდან ვიფიქრე რა სიდიდის ლექსი დამენერა. თუ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები ძალზე გრძელია და მას ერთი დაჯდომით ვერ ნავიკითხავთ, უნდა შევურიგდეთ აზრს, რომ ვკარგავთ იმ დიდმნიშვნელოვან ეფექტს, ერთიანი შთაბეჭდილება რომ შეგვიქმნიდა – რადგან, თუ ორჯერ დაჯდომა მოითხოვა, გონებაში გარეგანი მოვლენები შემოიჭრება და მთლიანობა ერთბაშად ირღვევა. მაგრამ სანამ ამგვარ პირობებში არც ერთ პოეტს არ შეუძლია უარყოს რ ა ი მ ე, რაც მისი მიზნის განხორციელებას შეუწყობს ხელს, ისღა

დაგვრჩენია ვნახოთ, აქვს თუ არა სიდიდეს რაიმე უპირატესობა, რათა შევაკავოთ მთლიანობის რღვევა, რაც თან სდევს ამ სიდიდეს. ახლავე უნდა მოგახსენოთ, რომ არა. რასაც გრძელ ლექსს ვარქმევთ, არსებითად უბრალო მემკვიდრეა მოკლე ლექსებისა – ასე ვთქვათ, მოკლე პოეტური ეფექტებისა, უსარგებლოა მტკიცება იმისა, რომ ლექსი იმდენად არის ლექსი, რამდენადაც ძლიერ გვაღელვებს და სულს გვიმაღლებს; ხოლო ყოველგვარი ძლიერი მღელვარება, რადგან ადამიანი მეტს ვერ აიტანს, ხანმოკლეა, ამ მიზეზის გამო, თითქმის ნახევარი „დაკარგული სამოთხისა“ არსებითად პროზაა – პოეზიისაგან მოგვირღვრულ ალფრთოვანებას უ ე ჟ ე ლ ა დ სდევს თან დამთრგუნველი ძალა – „დაკარგული სამოთხის“ უსაზღვრო სიდიდის გამო ყველაფერი უკუგდებულა უაღრესად საჭირო არტისტული მთლიანობისა თუ ერთიანობის მისაღწევად.

რაც შეეხება სიდიდეს, ნათლად იკვეთება, რომ არსებობს მკაფიო ზღვარი ყველა სახის ლიტერატურული ნაწარმოების წასაკითხად – ერთხელ დაჯდომის ზღვარი, და თუმცა შესაძლოა პროზაულ თხზულებათა გარკვეული ჯგუფისათვის, როგორც არის „რობინზონ კრუზო“ (ერთიანობას რომ არ მოითხოვს), ეს ზღვარი მომგებიანად გადავლახოთ, ლექსში მისი გადალახვა შეუძლებელია. ამ ზღვარის შიგნით ლექსის სიდიდეს შესაძლოა მათემატიკური დამოკიდებულება ჰქონდეს მის ღირსებასთან – სხვა სიტყვებით, ალფრთოვანებასთან ან აღმაფრენასთან – კვლავ სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ჭეშმარიტ პოეტურ ზემოქმედებასთან, რისი გამონკვევაც ლექსს შეუძლია, რადგან სიმოკლე პირდაპირპროპორციული უნდა იყოს სასურველი ზემოქმედების სიმძაფრისა: – ამ პირობით – დროის გარკვეული მონაკვეთი მთლიანად არის საჭირო, როგორც გნებავთ, შთამბეჭდაობის შესაქმნელად.

ამ მოსაზრებას რომ ვითვალისწინებდი, ისევე როგორც აღმაფრენის ხარისხს, რასაც არც პოპულარულ გემოვნებაზე მაღლა ვაყენებდი და არც კრიტიკულ გემოვნებაზე დაბლა, მე ერთბაშად მოვისაზრე შესაფერისი ს ი დ ი დ ე განზრახული ლექსისა – სიდიდით დაახლოებით ასი სტრიქონი უნდა ყოფილიყო. „ყორანი“ არსებითად სულ ასრეა სტრიქონია.

მერე დავუფიქრდი სათქმელის გამომხატველობასა თუ შთამბეჭდაობას; აქვე დავუმატიებ, რომ ლექსის აგებისას მტკიცედ მივდედვი ერთ მიზანს – ყოფილიყო ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს გასაგები. ჩემს უშუალო თემას ძალზე დავშორდები, თუკი გამოვთქვამ შეხედულებას, რასაც მუდამ დაჟინებით ვიმეორებ და რასაც არავითარი მტკიცება არ სჭირდება. ვგულისხმობ იმას, რომ მშვენიერება ერთადერთი კანონიერი სფეროა ლექსისა. რამდენიმე სიტყვით აგისხნით ჩემს ჩანაფიქრს, რაც ზოგიერთმა ჩემმა მეგობარმა დამახინჯებულად წარმოადგინა. მეჯერა, რომ სიამოვნება, რაც მაშინვე ყველაზე მძაფრია, ყველაზე ამაღლებული და ყველაზე წმინდა, მშვენიერების ჭვრეტისას აღიძვრის. მართლაც, როცა ადამიანები მშვენიერებაზე საუბრობენ, გულისხმობენ არა გარკვეულ თვისებას, როგორც ჰგონიათ, არამედ შთაბეჭდილებას – მოკლედ, ისინი გულისხმობენ იმ მძაფრსა და წმინდა აღმაფრენას სულისას, – არა გონებისა ან გულისა, – რის შესახებაც მოგახსენეთ და რასაც „მშვენიერების“ ჭვრეტა ბადებს. ამრიგად, მე მივიჩნევ მშვენიერებას ლექსის სფეროდ უბრალოდ იმიტომ, – ეს არის ნათელი წესი ხელოვნებისა, – რომ ზემოქმედება უშუალო მიზეზიდან უნდა გამომდინარეობდეს – რომ მიზანს საუკეთესო შეხამებით უნდა მივაღწიოთ; ისეთი სუსტი აზროვნებისა არავინ ყოფილა, უარი ეთქვა, რომ აღნიშნულ თავისებურ აღმაფრენას ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ო ლ ა დ ლექსი აღწევს, ამგვარად, თუკი მიზანი – ჭეშმარიტება ან ინტელექტუალური კმაყოფილება, ანდა მიზანი – ვნება ან მღელვარება გულისა, ასე თუ ისე პოეზიაშიც მიიღწევა, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა პროზაში, ფაქტია, რომ ჭეშმარიტება სიცხადეს თხოულობს და ვნება – უ ბ რ ა ლ ო ე ბ ა ს (ამას ნამდვილად მგზნებარე გამოიგებს), რაც სრულიად საპირისპიროა იმ მშვენიერებისა, ისევ და ისევ ვიმეორებ, მღელვარება თუ ნეტარი აღმაფრენა რომ არის სულისა. ყოველივე აქ თქმულიდან, ცხადია, გამომდინარეობს, რომ ვნება ან, თუნდაც, ჭეშმარიტება არ შეიძლება წარმოგვიდგეს ან, თუნდაც, მომგებიანად წარმოგვიდგეს ლექსში – რადგან მათ უნდა აგვიხსნან ან გამოჰკვეთონ საერთო შთაბეჭდილება, ისე, როგორც დისონანსმა მუსიკაში, კონტრასტის მეშვეობით – მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვანი

ყოველთვის მოახერხებს, ჯერ ერთი, გარკვეული ინტონაცია მიანიჭოს მათ, და მეორეც, რამდენადაც კი შესაძლებელია შებუროს მშვენიერება, რაც ლექსის ძირეული ბუნებაა.

მაშასადამე, მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ჩემს სფეროდ ჩავთვალე. შემდეგი საკითხი გახლდათ ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა და მისი საუკეთესოდ გამოხატვა – გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ინტონაცია ს ე ე დ ი ა ნ ი უნდა ყოფილიყო. ყოველგვარი მშვენიერების უმაღლესი გამოვლენა მუდამ ცრემლს ადენს მგრძნობიარე მკითხველს. ამიტომაც მელანქოლია ყველაზე უფრო კანონზომიერია პოეტური ინტონაციებიდან.

როცა განვსაზღვრე სიდიდე, სფერო და ინტონაცია, მე მიეუბრუნდი ჩვეულებრივ ინდუქციას, რათა დაეუფლებოდი გარკვეულ მხატვრულ სიმახვილეს, რაც ლაიტმოტივად გამომადგებოდა ლექსის აგებისას – რალაც საყრდენ ნერტილად, რომელსაც მთელი ლექსი დაეფუძნებოდა. ჩვეულებრივი მხატვრული ეფექტის ფრთხილი ძიებისას – ან, უფრო სწორად, პ უ ნ ქ ტ ი რ ე ბ ი ს ა ს , თეატრალური გაგებით – მოვახერხე მსწრაფლ ჩაენვდომოდი, რომ არაფერს ისე ფართოდ არ მიმართავენ, როგორც რ ე ფ რ ე ნ ს , რ ე ფ რ ე ნ ი ს გამოყენების საყოველთაო ხასიათმა დამარწმუნა მის ჭეშმარიტ ღირებულებაში და თავი აღარ მიმტვრევია. ვფიქრობდი, ის დახვეწილი უნდა იყოს-მეთქი და მალე მივხვდი, რომ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. რ ე ფ რ ე ნ ი , ანუ მისამლერი, არა მარტო შეზღუდულია ლირიკულ ლექსებში, არამედ მხოლოდ მონოტონურობის გამოსახატავად გამოიყენება – როგორც ბგერითი, ისე აზრობრივი მხრივ. სიამოვნებას აღძრავს მხოლოდ ერთგვარობა – განმეორება. გადავწყვიტე მრავალფეროვნებისათვის მიმემართა და შთაბეჭდილება გამეძლიერებინა ძირითადად მონოტონური ბგერისადმი ერთგულებით, მაშინ, როცა გამუდმებით შეეცვლიდი აზრს: ამგვარად, გადავწყვიტე, რომანისებური მუდმივობის შთამბეჭდაობა აღმეძრა რ ე ფ რ ე ნ ი ს გამოყენების ცვალებადობით – თვით რ ე ფ რ ე ნ ი , უმრავლეს შემთხვევაში, შეუცვლელი დარჩებოდა.

ეს საკითხები რომ მოვათავე, რ ე ფ რ ე ნ ი ს ბ უ ნ ე ბ ა ზ ე დავიწყე ფიქრი. რ ე ფ რ ე ნ ი ს განმეორებადი ცვალებადობა ცხადს

ხდიდა, რომ რ ე ფ რ ე ნ ი სხარტი უნდა ყოფილიყო, რათა მის უეცარ ცვალებადობას სხვადასხვა სიგრძის ფრაზაში დაუძლეველი სირთულე არ წარმოეშვა. რა თქმა უნდა, ცვალებადობის მოქნილობა ფრაზის სიმოკლის შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ამან მაშინვე მიმახვედრა, რომ უმჯობესი იქნებოდა რ ე ფ რ ე ნ ა დ ერთ სიტყვას თუ გამოვიყენებდით.

მერე სიტყვის ხ ა ს ი ა თ ზ ე დაფიქრდი. როგორც კი რ ე ფ რ ე ნ ზ ე შევაჩერე არჩევანი, ამით, ცხადია, ლექსის სტროფებად დალაგების იდეა გამიჩნდა: რ ე ფ რ ე ნ ი თითოეულ სტროფს დაასრულებდა. ამგვარ დასასრულს ძალა რომ ჰქონოდა, უეჭველად უნდა ყოფილიყო მჟღერი და შთამბეჭდავი და გაგრძელებულ მახვილიანი: და ამ მოსაზრებებმა შეუმცდარად მიმიყვანა გრძელ ო-მდე (O), როგორც ყველაზე მჟღერ ხმოვნამდე, რაც უნდა შერწყმოდა რ-ს (r), როგორც ყველაზე ნაყოფიერ თანხმოვანს.

როცა რ ე ფ რ ე ნ ი ს ჟღერადობა ასეთნაირად გადავწყვიტე, საჭირო გახდა, შემერჩია სიტყვა, რომელსაც ეს ჟღერადობა ექნებოდა და, ამავე დროს, მთელი სისავსით გამოავლენდა მელანქოლიას, რითაც ადრევე განვსაზღვრე ლექსის ინტონაცია. ამ ძიებისას სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, რომ დამეინყებოდა სიტყვა Nevermore („ალარასოდეს“). არსებითად, სიტყვამ თვითვე აღმომაჩენინა თავი.

შემდგომ სასურველი იყო მეპოვნა საბაბი ამ სიტყვის ხშირი გამოყენებისათვის. მისი ხშირი განმეორებისათვის ყოველმხრივ გასამართლებული მიზეზის ძიებისას, მაშინვე წავეწყდი სიძნელეს; არ გამჭირვებია ჩვენვდომოდი, რომ სიძნელე წარმოშვა მხოლოდ და მხოლოდ წინასწარმა განსაზღვრამ – ეს სიტყვა ძალზე ხშირად და მონოტონურად ეთქვა ა დ ა მ ი ა ნ ს – მოკლედ, მივხვდი, სიძნელეს ჰქმნიდა ის, რომ ამ სიტყვას მონოტონურად გონიერი არსება არ გაიმეორებდა. უმაღლვე მომაფიქრდა, ეს ეთქვა არაგონიერ არსებას, ვისაც ლაპარაკი შეეძლებოდა: და, სავსებით ბუნებრივია, პირველ რიგში თუთიყუში გამხსენებოდა, მაგრამ ის მოგვიანებით შეცვალა ყორანმა, რომელსაც ასევე შეუძლია ლაპარაკი და ყოველნაირად ესადაგებოდა განზრახულ ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა ს .

ასე გამიჩნდა იდეა ყორანისა – ავის მომასწავებელი ფრინველი-სა – მონოტონურად რომ იმეორებს ერთ სიტყვას Nevermore ყოველი სტროფის დასასრულს, დაახლოებით ასი სტრიქონის ოდენობის მელანქოლიური განწყობილების ლექსში. ახლა კი, რათა არ დამეკარგა უ მ თ ა ვ რ ე ს ი რამ, ანუ სრულყოფილება ყოველი დეტალისა, ჩემს თავს ვკითხე – ყველა მელანქოლიური თემიდან, კაცობრიობის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აზრით, რომელია ყ ვ ე ლ ა ზ ე მელანქოლიური-მეთქი. სიკვდილი, იყო მკაფიო პასუხი(და მაშინ, ვთქვი მე, არის კი ყველაზე მელანქოლიური ყველაზე პოეტურიც? აქედან უკვე გამოვიტანე გარკვეული, ცხადი პასუხი – ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სიკვდილი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს უკავშირდება: ამრიგად, ულამაზესი ქალის სიკვდილი უეჭველად ყველაზე პოეტური თემაა მსოფლიოში – და ასევე უეჭველია, რომ ყველაზე უკეთ ამას სატრფოდაკარგული მიჯნურის ბაგენი ილაღადებენ.)

ახლა კი უნდა შემერწყა ორი იდეა – მიჯნურისა, დაკარგულ სატრფოს რომ იგლოვს; და ყორანისა, გამუდმებით რომ იმეორებს სიტყვას Nevermore. უნდა შემერწყა ყოველი სიტყვის მერე ერთი და იმავე სიტყვის ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ი თ; მაგრამ ამგვარი შერწყმის ერთადერთი შესაძლო გზა არის წარმოდგენა იმისა, რომ ყორანი ამ სიტყვას ხმარობს მიჯნურის შეკითხვების პასუხად, და აქ მოხდა, რომ უეცრად ვიგრძენი შესაძლებლობა იმ ეფექტის შექმნისა, რასაც ვიმედოვნებდი – ასე ვთქვათ, ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ი ს ეფექტისა. ვიგრძენი, რომ შემეძლო პირველი შეკითხვა მიჯნურის პირით წარმომეთქვა – პირველი შეკითხვა, რაზეც ყორანი მიუგებდა „აღარასოდეს“ – და რომ შემეძლო პირველი შეკითხვა ბანალური შემთხზა – მეორეც ასევე, მესამეც ასევე და ასე შემდეგ – სანამ მიჯნური, შეშფოთებული უცნაური გ უ ლ გ რ ი ლ ო ბ ი თ თვით სიტყვის მელანქოლიური ბუნებისა – მისი ხშირი განმეორებით – ამ სიტყვის წარმომთქმელი ფრინველის ავისმომასწავებელი სახელით – ცრურწმენით აღლევებული ბოლოს და ბოლოს ცხარედ მიაყრის ბევრად განსხვავებული შინაარსის შეკითხვებს – შეკითხვებს, გულს რომ უგზნებენ – აღმოთქვამს მათ თან რწმენით და თან ერთგვარი იმედგა-

ცრუებით, რაც თვითგვემის სიამოვნებას ანიჭებს – აღმოთქვამს ამ შეკითხვებს არა იმიტომ, რომ სჯერა წინასწარმეტყველური ან დემონური ბუნება ფრინველისა (რომელიც, კაცს ასე სჯერა, მექანიკურად იმეორებს დასწავლილს), არამედ იმიტომ, რომ განიცდის ჭკუიდან შემშლელ ნეტარებას, რათა პასუხად მიიღოს მოსალოდნელი „ალარასოდეს“-აგან განუზომლად ტკბილი, თავისი აუტანლობით, ნალველი. ამგვარად, ეს შესაძლებლობა რომ დავინახე – ან, უფრო ზუსტად, გამომიჩინა აგებულების მსვლელობამ – გონებაში პირველად ჩამოვყალიბე კულმინაცია ანუ დამამთავრებელი შეკითხვა – შეკითხვა, რომლის პასუხსაც აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა – რომ ამ პასუხში ეს სიტყვა „ალარასოდეს“ – ადამიანისათვის ძნელად მისაწვდომი ოდენობით ჩააქსოვდა ნალველსა და განწირულობას.

შეიძლება ითქვას, რომ ლექსი აქედან იწყება – ბოლოდან, საიდანაც ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოები უნდა დაიწყოს – რადგან პირველად კალამი ფურცელს სწორედ აქ, ამ სტროფის შესათხზველად შევახე:

„წინასწარმეტყველო“, ვთქვი მე, „ბოროტო სულო! წინასწარმეტყველო. ფრინველი ხარ თუ სატანა! გაფიცებ ზეცას, თავს რომ დაგვეყურებს – გაფიცებ იმ ღმერთს, ორივე რომ ვეთაყვანებით, უთხარი ჩემს დასევედილ სულს, იმ შორეულ ქვეყანაში თუ გადაეხვევა ნეტარად შერაცხილ ქალწულს, ვისაც ანგელოზური სახელი ჰქვია – ლენორი, გადაეხვევა იშვიათ და სხივოსან ქალწულს, ვისაც ანგელოზური სახელი ჰქვია – ლენორი“. თქვა ყორანმა: „ალარასოდეს“⁴.

თავდაპირველად ეს სტროფი შევთხზე, ჯერ ერთი, რათა დამედგინა კულმინაცია, უკეთ რომ შემძლებოდა გამრავალფეროვნება და გააზრება – თუ როგორი უნდა ყოფილიყო მიჯნურის წინა შეკითხვები – და მეორე, გარკვეულად ჩამომეყალიბებინა რიტმი, მეტრი, სიდიდე და ძირეული წესრიგი ამ სტროფისა – და გამეაზრებინა წინა სტროფები, რათა არც ერთი არ ამოვარდნილიყო ამ რიტმული წყობიდან. რომ შემძლებოდა ამ ლექსში უფრო ძლიერი სტროფების შექმნა, უყოყმანოდ შევასუსტებდი მათ, რათა უმთავრესი ეფექტი არ დამერღვია.

ზედმეტი არ იქნება აქ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ვერსიფიკაციაზე. ჩემი უპირველესი მიზანი (როგორც ყოველთვის) ორიგინალობა გახლდათ. აუხსნელია, თუ რატომ არ აგდებენ არაფრად მთელ ქვეყანაზე ლექსის ვერსიფიკაციულ ორიგინალობას. მაგალითად, არსებობს მცირე შესაძლებლობა რ ი ტ მ ი ს გამრავალფეროვნებისა, ისიც აშკარაა, რომ მეტრისა და სტროფის გამრავალფეროვნების შესაძლებლობანი განუსაზღვრელია – და მაინც, საუკუნეების მანძილზე, ლექსში არავის შეუქმნია, ჩანს, არ უფიქრია შექმნა, რაიმე ორიგინალური. ფაქტია, რომ ორიგინალობა (დიადი გონების მქონეთა გარდა) არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, იმპულსისა თუ ინტუიციისაგან მომდინარედ. საერთოდ, რათა აღმოვაჩინოთ ჩვენი ორიგინალობა, ბეჯითად უნდა ვეძიოთ ის; მიუხედავად იმისა, რომ ამალღებულის მისალწევად უარყოფა უფროა საჭირო, ვიდრე გამომგონებლობა.

ცხადია, არც რიტმი და არც მეტრი „ყორანისა“ ორიგინალური არ არის. რიტმი – ტროქეულია, მეტრი – აკატალექტიკური ოქტამეტრი, რომელსაც ენაცვლება კატალექტიკური ჰექსამეტრი, შემდეგ კვლავ მეორდება მეხუთე ლექსის რეფრენად, და ბოლოვდება კატალექტიკური ტეტრამეტრით. ნაკლებ პედანტურად რომ ვთქვა, მუხლები (ტროქეები) შედგება გრძელი მარცვლისაგან, რომელსაც მოსდევს მოკლე: სტროფის პირველი ტაეპი შედგება რვა ამგვარი მუხლისაგან; მეორე – შვიდნახევრისაგან (ან შვიდი და ორი მესამედისაგან მაინც), მესამე – რვისაგან; მეოთხე – შვიდ-ნახევრისაგან; მეხუთე – ასევე; მეექვსე – სამ-ნახევრისაგან. ამ ზომის ტაეპები ცალ-ცალკე ადრეც გამოუყენებიათ, „ყორანის“ ორიგინალობა ის არის, რომ აქ ერთ სტროფში არიან გაერთიანებულნი; არავითარი მსგავსი, თუნდაც შორეულად რომ ეხმაურებოდეს ამ შეერთებას, ადრე არ უცდიათ. ამ ორიგინალური შერწყმის ეფექტს ეხმარება სხვა უჩვეულო, სრულიად ახალი ეფექტები, რომელთაც წარმოშობს რითმისა და ალიტერაციის სიუხვე.

შემდგომი გასათვალისწინებელი საკითხი გახლდათ ის, თუ როგორ დამეკავშირებინა მიჯნური და ყორანი – და უპირველესად

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი უნდა მეპოვნა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამისთვის შესაფერისი ადგილი ტყე ან მინდვრებია, მაგრამ ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ჩ ა კ ე ტ ი ლ ი გ ა რ ე მ ო ყველაზე უკეთ ვეძებოდი განმარტობის ეფექტს: – მას აქვს ისეთივე ძალა, რაც ჩარჩოს სურათისათვის. აქვს ეჭვშეუტანელი მორალური ძალა ყურადღების მიზიდვისა, და, რა თქმა უნდა, ჩ ა კ ე ტ ი ლ ი გ ა რ ე მ ო არ უნდა ავრიოთ ადგილის ერთიანობაში.

მაშინ გადავწყვიტე მიჯნური ოთახში ყოფილიყო – ოთახში, რომელიც მიჯნურს ალუძრავს მისთვის წმინდა მოგონებებს იმის შესახებ, ვინც ხშირად მოეკვლინებოდა ხოლმე. ოთახი მდიდრულადაა მორთული – ეს არის უბრალო განხორციელება იმ იდეებისა, რაც უკვე ავხსენი, მშვენიერებას რომ შეეხება, როგორც ერთადერთ პოეტურ თეზისს.

ასე რომ, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი გადაწყდა; ახლა ფრინველი უნდა შემომეყვანა. ბევრი აღარ მიფიქრია, ფრინველის შემოყვანა ფანჯრიდან ვარჩიე. იდეამ იმისა, რომ თავიდან მიჯნურს ფანჯრის რაფაზე ფრინველის ფრთების ტყლაშუნი მოსჩვენებოდა კარზე „კაკუნად“, მომანდომებინა თანდათან გამემძაფრებინა მკითხველის ცნობისმოყვარეობა და მოვინადინე შემექმნა მოულოდნელობის ეფექტი, რასაც ის ალძრავს, მიჯნური კარს რომ გამოაღებს, მხოლოდ წყვილია და ხედავს და წარმოსახვით ეჩვენება, ეს ჩემი სატრფოს სულმა დააკაკუნაო. ღამე გავხადე ქარიშხლიანი, ჯერ ერთი, რათა ამეხსნა ყორნის სურვილი, სადმე შეეფარებინა თავი, და მეორეც, ოთახის (ფიზიკურ) სიმშვიდესთან დასაპირისპირებლად.

ფრინველი პალადას ბიუსტზე დავსვი, იმისთვის, რომ მარმარილოსა და ბუმბულის კონტრასტით ეფექტი შემექმნა – ჰგონიათ, თითქოს ბიუსტი მხოლოდ და მხოლოდ ფრინველის გულისთვის მქონდეს ნ ა ხ ს ე ნ ე ბ ი – პალადას ბიუსტი ამოვარჩიე, ჯერ ერთი, მიჯნურის განსწავლულობის საჩვენებლად, და მეორე, თვით სიტყვის პ ა ლ ა დ ა ჟღერადობისათვის.

თავი ვაიძულე ლექსის შუაშიც შემექმნა კონტრასტი, რათა საბოლოო შთაბეჭდილება გამეღრმავებინა. მაგალითად, ფანტასტიკურრობას – იმდენად სასაცილოს, რამდენადაც წარმოდგენა შეიძლება – ბადებს ყორნის შემოსვლა. ის შემოდის „დიდი ფართი-ფურთით“:

„ამას არც თავი დაუხრია – არც ერთი წამით არ შეჩერებულა, არ დაუცდია, არამედ ღორღივით თუ ლედივით დაჯდა ჩემი ოთახის კარს ზემოთ“.

ორ მომდევნო სტროფში ჩანაფიქრი უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი:

„შემდეგ ამ შავმა ფრინველმა შემაცვლევინა სევდიანი წარმოსახვა ღიმილით, ისეთი კუშტი და შეუვალი ჩანდა, „თუმცა შენტვის ქოჩორი გაუკრეჭავთ და გადაუპარსავთ“, ვთქვი მე, „შენ, რა თქმა უნდა, ლაჩარი არა ხარ, საშინლად შეუბრალებელო და უძველესო ყორანო, ღამეული ნაპირებიდან მოხეტებულო – მითხარი, რა არის შენი ბატონკაცური სახელი ღამის პლუტონურ ნაპირზე?“ თქვა ყორანმა: „ალარასოდეს“. ძალიან გავოცდი, უეცრად ფრინველმა გარკვევით რომ დაილაპარაკა, თუმცა მის პასუხს მცირე აზრი ჰქონდა – უადგილო იყო, რადგან შეუძლებელია არ ვალიაროთ, რომ არც ერთ ადამიანს არასდროს ღირსებია ეხილა ფრინველი თავისი ოთახის კარს ზემოთ – ფრინველი თუ ცხოველი ნაქანდაკარ ბიუსტზე, ოთახის კარს ზემოთ, ასეთი სახელით, „ალარასოდეს“.

ამგვარად, როცა კ ვ ა ნ ძ ი ს გ ა ხ ს ნ ი ს ეფექტი გარდაუვალი გახდა, მაშინვე უკუვაგდე ფანტასტიკურობა, რათა უფრო ღრმა და დამაფიქრებელი განწყობილებისათვის მიმეღნია – ეს განწყობილება იწყება ზემოთ ციტირებული ბოლო სტროფის მეორე სტრიქონით: „მაგრამ ყორანი მარტოდმარტო იჯდა უშფოთველ ბიუსტზე და ამბობდა მხოლოდ...“

ამ ნუთიდან მიჯნური აღარ ხუმრობს – ველარაფერს ხედავს, თუნდაც ფანტასტიკურს, ყორნის ქცევაში. იგი ესაუბრება ყორანს, როგორც „ავის მომასწავებელ, უხეშ, მოჩვენებით, მოქუფრულ, შესაზარ ფრინველს გარდასული დროისა“, და გრძნობს, რომ „მკვესავი თვალები“ „გულის ფიცარს“ უწვავენ. ნავარაუდები იყო მიჯნურის ფიქრისა თუ წარმოსახვის ამ გარდაქმნას მკითხველში აღეძრა ისეთივე განცდა – მოემზადებინა მკითხველის გონება კვანძის გახსნისათვის – რაც, რამდენადაც კი შესაძლებელია, სწრაფად და ზ უ ს ტ ა დ მოსდევს.

კვანძის დროული გახსნით – ყორნის პასუხი „ალარასოდეს“ მიჯნურის უკანასკნელ თხოვნაზე, ჩემს სატროფოს იმ ქვეყანაში თუ მაინც

შეხვედებიო - ლექსის ჩვეულებრივი თხრობა სრულყოფილებას აღწევს. ამრიგად, ყველაფერი მისულია სიცხადის, რეალობის მიჯნამდე. ყორანი, მექანიკურად რომ დაუსწავლია ერთადერთი სიტყვა „აღარასოდეს“ და პატრონს გამოჰქცევია, შუალამისას, ქარიშხლის მძვინვარებას იძულებული გაუხდია თავშესაფარი ეძია ფანჯარაში, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა - სწავლულის ოთახის ფანჯარაში, სწავლულისა, ვინც თან წიგნებს ჩაჰკირკიტებს და თან დაკარგული სატრფო ახსენდება. ფრინველის ფრთების ტყლაშუნზე დარაბა იღება და ფრინველი თვითვე აგნებს ყველაზე მოსახერხებელ ადგილს სწავლულის სიახლოვეს, სწავლული გოცნებულია ამ შემთხვევითა და სტუმრის საქციელის უცნაურობით და ხუმრობით ცდილობს, ისე, რომ პასუხს არც ელოდება, მისი სახელის გაგებას. ყორანი შეკითხვაზე პასუხობს დასწავლილი სიტყვით „აღარასოდეს“ - სიტყვით, რაც მაშინვე პოულობს გამოძახილს სწავლულის დასევდიანებულ გულში, იგი ხმამაღლა წარმოსთქვამს ფიქრებს, ამ შემთხვევამ რომ წამოუტივტივდა და კვლავ შეშფოთებულია ფრინველის პასუხით - „აღარასოდეს“. სწავლული ახლა უკვე წვდება მომხდარ ვითარებას, მაგრამ აღძრულია, როგორც ადრე აგისხენით, თვითგვემის ადამიანური წყურვილით, და, ცოტა არ იყოს, ცრურწმენითაც შეპყრობილი, ფრინველს უსვამს ისეთ შეკითხვებს, რაც მას, მიჯნურს, შესაძლოა, აღუძრას უზომო სევდამ პასუხის მოლოდინისა - „აღარასოდეს“. რათა გავამართლო უსაზღვრო თვითგვემა, თხრობას, რითაც გამოვხატე ამ თვითგვემის პირველი და მკაფიო ეტაპი, ბუნებრივად ვავითარებ და, ამრიგად, არსად ვცილდები რეალობის მიჯნას.

მაგრამ ასეთნაირად გადმოცემულ ამბავში, როგორი დახვეწილი და შემკულიც არ უნდა იყოს, შემთხვევები ყოველთვის ერთგვარად მძიმე და მოუქნელი ხდება, რაც ხელოვანს თვალში არ მოსდის. აუცილებელია ორი რამ - პირველი, გარკვეული ოდენობის სირთულე, ან, უფრო ზუსტად, შემგუებლობა; და მეორე, გარკვეული ოდენობა მრავალმნიშვნელობისა - რაღაც წყალქვეშა დინება აზრისა, როგორი გაურკვეველიც არ უნდა იყოს ეს აზრი. სწორედ ეს გახლავთ ის, ხელოვნების ნაწარმოებს რომ სძენს ამდენ ს ი მ დ ი დ რ ე ს (ოფიციალურ ტერმინს რომ დავესესხო), რაც ხშირად იდეალი გვგონია.

სწორედ გადაჭარბებული ახსნა ნაგულისხმევისა – გამოტანა იმისა, რაც დაფარული უნდა იყოს – გადააქცევს პროზად (და ისიც ძალზე მდარე პროზად) ეგრეთ წოდებულ პოეზიას ეგრეთ წოდებული ტრანსცენდენტალისტებისა.

ამ მოსაზრებით ლექსს დავუმატე ორი დამაგვირგვინებელი სტროფი – მათი მრავალმნიშვნელობა გამომდინარეობს წინარე თხრობიდან. ნყალქვეშა დინება აზრისა პირველად გადმოცემულია სტრიქონებში: „ამოიღე ნისკარტი ჩემი გულიდან, მოაშორე სხეული ჩემს კარს!“ თქვა ყორანმა: „ალარასოდეს“.

ნათელია, რომ სიტყვები „ჩემი გულიდან“ პირველი მეტაფორული სახეა ლექსში. ეს სიტყვები და პასუხი – „ალარასოდეს“ – განწყობენ გონებას, ეძიოს მორალი ყოველივეში, რაც მანამდე იყო მოთხრობილი. მკითხველი ყორანს უკვე სიმბოლოდ წარმოიდგენს, მაგრამ უკანასკნელი სტროფის ბოლო სტრიქონამდე მკაფიოდ არ ჩანს განზრახვა მისი მგლოვიარე და დაუსრულებელი მოგონების სიმბოლოდ გააზრებისა: „და ყორანი აღარ მიფრინავს, კვლავ ზის, კვლავ ზის პალადას თეთრ ბიუსტზე, ჩემი ოთახის კარს ზემოთ; და მისი თვალები მოჰგავს დემონის თვალებს, როცა ოცნებობს, და ლამპის შუქი, მის ზურგს უკნიდან რომ იღვრება, მის ჩრდილს იატაკზე აფენს; და ჩემი სულიც ამ ჩრდილიდან იატაკზე რომ დაცურავს, აღარ წამოდგება – ალარასოდეს“.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

შენიშვნები:

1. იგულისხმება ჩარლზ დიკენსის წერილი ედგარ პოსადმი, დათარიღებული 1842 წლის 6 მარტით. წერილში დიკენსი ეხება კომპოზიციას ინგლისელი მწერლის, უილიამ გოდვინის, რომანისა „კალებ უილიამსის თავგადასავალი, ანუ საგნები ისე, როგორც არიან“ (1794). პოს ციტატი კი არ მოაქვს დიკენსის წერილიდან, არამედ თავისი სიტყვებით გადმოსცემს იქ გამოთქმულ ერთ-ერთ თვალსაზრისს. დიკენსს მხედველობაში ჰქონდა „კალებ უილიამსის“ 1832 წლის გამოცემის ავტორისეული წინასიტყვაობა, სადაც მოთხრობილია რომანის შექმნის ისტორია. გოდვინს თურმე რომანი უკულმა დაუნერია – ჯერ შეუქმნია მესამე ტომი, მერე – მეორე, ბოლოს – პირველი.
2. დიკენსის რომანის, „ბერნები რეჯი“, პირველი თერთმეტი თავი (გამოქვეყნდა 1841 წლის გაზაფხულზე) რომ წაიკითხა, პომ „სეთერდი ივინგ პოსტში“ (1841 წლის 1 მაისის ნომერი) დაბეჭდა წერილი, რომელშიც წინასწარმეტყველებდა, თუმცა არა დაწერილებით, რომანის სიუჟეტის შემდგომ განვითარებას. „ბერნები რეჯის“ შესახებ გამოქვეყნებულ ესეიში („გრეჰემს მეგეზინ“, 1842 წლის თებერვლის ნომერი) ედგარ პო იხსენებს თავის ამ წინასწარმეტყველებას.
3. ვარაუდობენ, რომ აქ პო ეკამათება პერსი ბიში შელის შეხედულებას, რაც ჩამოყალიბებულია ტრაქტატში „პოეზიის დასაცავად“: „განსხვავებით გონებისაგან, პოეზია არ არის ისეთი ნიჭი, რომელსაც ჩვენი სურვილისდა მიხედვით წარვმართავთ. ადამი-

ანი ვერ იტყვის – აი, ახლა დავჯდები და ლექსს დავწერო. მინდა ვკითხო ჩვენი დროის საუკეთესო პოეტებს, ნუთუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საუკეთესო პოეტური სტრიქონები შრომისა და განსწავლის ნაყოფია?”

4. ქართულ ენაზე „ყორანის“ ოცზე მეტი პოეტური თარგმანი არსებობს, მაგრამ რადგანაც ედგარ პო მსჯელობს ისეთ სიღრმეებსა და ნიუანსებზე, რისი გადმოცემაც თარგმანში სრულიად შეუძლებელია, ამ თარგმანებით აღარ გვისარგებელია და აქაც პნკარედით დავკმაყოფილდით.



სარჩევი

THE RAVEN.....	3
ვაჟა-ფშაველა.....	8
სანდრო შანშიაშვილი.....	18
გრიგოლ მეგრელიშვილი.....	23
კონსტანტინე ჭიჭინაძე.....	32
ფილიპე ბერიძე.....	41
გიორგი გამყრელიძე.....	47
გიორგი ნიშნიანიძე.....	54
სტეფანე მხარგრძელი.....	62
ჯემალ ინჯია.....	67
პორფირე იაშვილი.....	72
სილოვან ნარიმანიძე.....	77
ვაჟა შიუკაშვილი.....	84
ვანო ყვავილაშვილი.....	92
კონსტანტინე ზ. გამსახურდია.....	98
გია ბენიძე.....	104
ზვიად მუსელიანი.....	111
ბათუ დანელია.....	119
კოტე ჯანდიერი.....	124
კოტე ყუბანეიშვილი.....	129
ლელა ებრალიძე.....	135
ბაგრატ ბადიდი.....	143
თარგმნიდა გალაკტიონ ტაბიძე.....	152
კომპოზიციის ფილოსოფია.....	154
(ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა)	